

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის  
ინსტიტუტი



## პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში



ლოგოსი  
თბილისი 2008

**SVETLANA BERIKASHVILI**

**THE PRINCIPLES OF CLASSIFICATION OF  
THE DECLENSION SYSTEM  
IN ANCIENT AND MODERN GREEK**



**ΣΒΕΤΛΑΝΑ ΜΠΕΡΙΚΑΣΒΙΛΙ**

**Η ΤΑΞΙΝΟΜΗΣΗ ΤΟΥ ΚΛΙΤΙΚΟΥ  
ΣΥΣΤΗΜΑΤΟΣ  
ΣΤΑ ΑΡΧΑΙΑ ΚΑΙ ΝΕΑ ΕΛΛΗΝΙΚΑ**

სვეტლანა ბუჩიჯაშვილი

ბიჯნების სისტემის  
ხანსოფილანსიის ზიონსივები  
ქვანსა და ახან ბიქნანში

წინამდებარე ნაშრომი ჩემი საკანდიდატო დისერტაცია იყო. მისი წიგნად გამოცემის იდეა ეკუთვნის თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ რისმაგ გორდეზიანს. უღრმეს მადლობას მოვახსენებ მას მხარდაჭერისა და სამეცნიერო კვლევისას განეული დახმარებისათვის.

მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ირინე დარჩია, რომელიც ამავდროულად წიგნის რედაქტორია.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემ რეცენზენტს თინათინ გიორგობიანს, ოფიციალურ ოპონენტებს: ნელი მახარაძეს, იამზე გაგუას, ნეოგრეცისტიკის კათედრის გამგეს სოფიო შამანიდს, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ პიტერ მაკრიჯს, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ კონსტანტინოს დიმადისს მათი საყურადღებო რჩევების, სურვილებისა და შენიშვნებისათვის.

ასევე, დიდ მადლობას მოვახსენებ პროგრამა „ლოგოსის“ თანამშრომლებს: ირინე სტროგანოვას, ალექსანდრე ჯიქურდიძეს, გოჩა კველიშვილს და დავით მუჯირს.

დიდი მადლობა ირინე ლობჯანიძეს ყდის დიზაინის მოფიქრებისათვის. განსაკუთრებული მადლობა დარეჯან ხუროშვილს და მარსელა ბახტაძეს წიგნზე მუშაობისას საჭირო ბიბლიოგრაფიის მოძიებაში განეული დახმარებისათვის.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი ირინე დარჩია

ყდის დიზაინი: ირინე ლობჯანიძე, ალექსანდრე ჯიქურდიძე

დაკაბადონება: ირინე სტროგანოვა

© პროგრამა „ლოგოსი“, 2008

© სვეტლანა ბერიკაშვილი, 2008

ISBN 978-9941-401-15-2

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,  
თბილისი 0179

ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81

ელ. ფოსტა: greekstudies@caucasus.net

## ს ა რ ჩ ე ბ ი

შესავალი	7
ბეჩძნელი გჰამატიკის სათავეებთან	10
§ 1. ძველი ბერძნული ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიური პერიოდი	10
§ 2. ძველი ბერძნული ლინგვისტური აზროვნების გრამატიკული პერიოდი	26
თავი I	38
ბრუნვათა საკითხი ანტიკური ეპოქის გრამატიკოსებთან	38
თავი II	48
ბრუნვების ისტორიისათვის	48
თავი III	65
ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის ისტორიულ- შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე	65
§ 1. შუა საუკუნეები	65
§ 2. აღორძინების ხანა	73
თავი IV	80
ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის (XVII – XIX საუკუნეები)	80
§ 1. ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა	80
§ 2. ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლის ჩამოყალიბება	94
თავი V	101
ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის	101
ძველი ბერძნული ენის უახლეს გრამატიკულ სახელმძღვანელოებში	101
თავი VI	108
ახალი ბერძნული ენის ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის	108
§ 1. ახალი ბერძნული ენის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მანოლის ტრიანდაფილიდისი	108

§ 2. ახალი ბერძნული ენის ბრუნების ალტერნატიული კლასიფიკაციები.....	118
დასვენა	135
THE PRINCIPLES OF CLASSIFICATION OF THE DECLENSION SYSTEM IN ANCIENT AND MODERN GREEK (SUMMARY) .....	139
Η ΤΑΞΙΝΟΜΗΣΗ ΤΟΥ ΚΛΙΤΙΚΟΥ ΣΥΣΤΗΜΑΤΟΣ ΣΤΑ ΑΡΧΑΙΑ ΚΑΙ ΝΕΑ ΕΛΛΗΝΙΚΑ (ΠΕΡΙΛΗΨΗ).....	158
ბიბლიოგრაფია	181
სახელთა საძიებელი	190

## შესავალი

სიტყვის ფორმაცვალებას ბრუნვათა მიხედვით ბრუნება ჰქვია. ბრუნება შეიძლება ახასიათებდეს სახელებს, ნაცვალ-სახელებსა და სახელზმნებს. ბრუნვის მნიშვნელობები ყველა ენაში გვხვდება, მაგრამ ყველა ენას არ მოეპოვება ბრუნება. ბრუნების დროს ბრუნვას უნდა ჰქონდეს რეგულარული მორფოლოგიური გამოხატულება ანუ სიტყვის ფორმა, იგი, როგორც წესი, ყველა სიტყვას ან სიტყვათა უმრავლესობას ახასიათებს.

ენის მორფოლოგიური ტიპიდან გამომდინარე, ბრუნების ფორმებს სხვადასხვანაირი გრამატიკული შინაარსი აქვთ. ფლექსიურ ენებში ბრუნვის ფლექსია გამოხატავს არა მხოლოდ ბრუნვის, არამედ რიცხვისა და სქესის გრამატიკულ კატეგორიებსაც. მაგალითად, ლათინურ ენაში, გენეტივის ფორმაში *librorum*, ფლექსიას *-orum* აქვს არა მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის, არამედ მრავლობითი რიცხვისა და მამრობითი სქესის მნიშვნელობაც. აგლუტინაციურ ენებში ბრუნვის ნიშნები გამოხატავენ მხოლოდ ბრუნვის მნიშვნელობებს.

ბრუნების სისტემა ბევრ ენაში მრავალფეროვნებას გვიჩვენებს მეტყველების ერთი ნაწილის ფარგლებშიც კი. ინდოევროპულ ენებში სახელის ბრუნების რამდენიმე ტიპი არსებობს. ეს ტიპები სახელის ფუძეზეა დამოკიდებული. ამასთანავე, ბრუნების ტიპი განისაზღვრება სახელის ხმოვანფუძიანობით ან თანხმოვანფუძიანობით. მაგალითად, გამოიყოფა *a* ფუძიანი, *o* ფუძიანი, *s* ფუძიანი ბრუნება და ა. შ. სხვადასხვა ბრუნება ასევე შეიძლება გამოიყოს რომელიმე ბრუნვის ნიშნის მიხედვით. მაგალითად, მხოლობითი რიცხვის გენეტივის ფორმის მიხედვით. სიტყვების ზოგიერთი ჯგუფი მიეკუთვნება შერეულ ბრუნებას, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ბრუნების პარადიგმებს.

ენის ისტორიული განვითარების შედეგად, ბრუნების სისტემა შეიძლება გამარტივდეს და უნიფიცირება განიცადოს. ზოგიერთ ენაში ბრუნების სისტემა შეიძლება საერთოდ გაქ-

რეს. თანაც, სისტემის დაშლა არსებით სახელებში უფრო სწრაფი ტემპით ხდება, ვიდრე ნაცვალსახელებში. მაგალითად, თანამედროვე ფრანგულ ენაში არსებითი სახელი არ იცვლება ბრუნვების მიხედვით, მაშინ როდესაც ნაცვალსახელებში შენარჩუნებულია ორი, პირდაპირი და ირიბი ბრუნვის ფორმა, მაგალითად, ფრანგ. je და me.<sup>1</sup> ბრუნების გაქრობა ძირითადად იმის მომასწავებელია, რომ ენაში ანალიტიკური გამოხატვის საშუალებები ვითარდება, რის შედეგადაც ბრუნვათა ფლექსიის ფუნქციას დამხმარე სიტყვები (არტიკლი, წინდებული) ასრულებენ.

ჩვენი ნაშრომით შევეცადეთ გვეჩვენებინა ბრუნების სისტემის განვითარება ბერძნულ ენაში ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე. ვინაიდან ბრუნების დროს ყველაზე მეტ ცვლილებას არსებითი სახელი გვიჩვენებს, ამიტომ ბერძნული ენის ბრუნების სისტემაში მომხდარ ცვლილებებს არსებითი სახელის მაგალითზე წარმოვადგენთ.

ბერძნული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება და, შესაბამისად, მას ახასიათებს ის ნიშნები, რაც ინდოევროპული ბრუნებისას გვხვდება. ინდოევროპულ ენებში მაშინვე თვალში გვეცემა ბრუნების ტიპების მრავალფეროვნება ფუძეების ჯგუფების მიხედვით. თითოეულ ჯგუფს ბრუნვების თავისებური წარმოება ახასიათებს (ფუძეები -o-, -a-, -i-, -u-, -r-ზე და ა. შ.). ერთსა და იმავე ბრუნვას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ბოლოკიდური იმისდა მიხედვით, თუ რა ბგერაზე ბოლოვდება სახელის ფუძე. ამ მრავალფეროვნების მიზეზები ინდოევროპული ენების ისტორიულ განვითარებაში უნდა ვეძიოთ. სუფიქსების მრავალფეროვნება არის ანარეკლი სახელთა უძველესი სემანტიკური კლასიფიკაციისა, რომელიც ახასიათებდა ინდოევროპულ ენებს იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ბრუნების სისტემა.

<sup>1</sup> Булыгина Т. В., Крылов С. А., Склонение, Лингвистический энциклопедический словарь, Главный редактор Ярцева В. Н., "Советская энциклопедия", Москва 1990, 457.



ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ყველა საგნის დიფერენციაცია ჯგუფებად განსაზღვრული ნიშნის მიხედვით, ანუ ხდება სახელთა დაჯგუფება მათი სემანტიკის შესაბამისად. მაგალითად, -r- ფუძიანებში შედის ნათესაობის აღმნიშვნელი სახელები: ო πατήρ, ἡ μήτηρ, ἡ θυγάτηρ, აგრეთვე, ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელები: τὸ ἦπαρ, τὸ πῖναρ, τὸ κῆρ, τὸ μέναρ და ა. შ.

სახელების უძველესმა სემანტიკურმა დიფერენციაციამ გამოიწვია ინდოევროპულ ენებში ბრუნების ტიპების მრავალფეროვნება<sup>1</sup> და, შესაბამისად, განაპირობა მათი ნაირსახეობები ცალკეულ ენებში, მათ შორის ბერძნულშიც.

ბერძნული ენის მკვლევარები თავდაპირველად ბრუნების სისტემის კლასიფიკაციას აფუძნებდნენ ე. წ. ლინგვისტურ პრინციპს, ანუ ფუძის დაბოლოებას, შემდგომში კი იგი დაუკავშირეს სქესის გრამატიკულ კატეგორიას, ანუ მას საფუძვლად მნემოტიქნიკური პრინციპი დაუდეს. თუმცა იგი ნაკლებად შეესაბამება ბერძნული ენის სტრუქტურას და ბრუნებისას მრავალ სირთულეს ქმნის. ეს საკითხი მეტად აქტუალურია თანამედროვე ენათმეცნიერებაში. მოცემული ნაშრომით შევეცადეთ გვეჩვენებინა, როგორ მიმდინარეობდა ბერძნულ ენაში ლინგვისტური პრინციპიდან მნემოტიქნიკურზე გადასვლა, რამ განაპირობა ეს ცვლილება და რა ტიპის კლასიფიკაცია უფრო მისაღებია დღეს ბერძნული ენისათვის. ბუნებრივია, რომ ბერძნულში მომხდარი არსებითი მორფოლოგიური ცვლილებების გამო ბრუნების კლასიფიკაციაც შეიცვლებოდა. მთავარი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც ვცადეთ არის სწორი პრინციპის, ანუ კონცეფციის შერჩევა.

<sup>1</sup> Десницкая А. В., Именные классификации и проблема индоевропейского склонения, Известия Академии Наук Союза ССР, № 3, 1941, 49-55, <http://feb-web.ru/feb/izvest/1941/03/413-049.htm>

## ბახძნელი ბიამახინის სათავეებთან

### § 1. ძველი ბერძნული ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიური პერიოდი

ენათმეცნიერების განვითარებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ძველი ინდოეთისა და ძველი საბერძნეთის ფილოლოგიამ. ჩვენამდე მოღწეული უძველესი გრამატიკული ნაშრომი – შუმერული ენის გრამატიკული აღწერა – დაახლოებით ოთხი ათასწლეულის წინ შეიქმნა, ხოლო გრამატიკა, როგორც მეცნიერება, ძველ ინდოეთში ძვ. წ. V საუკუნეში ჩამოყალიბდა. გრამატიკისადმი დიდი ინტერესი წმინდა ტექსტების "ვედების" ხელუხლებლად დაცვის საჭიროებით იყო გამოწვეული. "ვედების" კითხვას განსაკუთრებული, რიტუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. აუცილებელი იყო თითოეული სიტყვის სწორად წარმოთქმა. სწორედ ამ მიზნით დაიწერა "პადაპათხა" /Padapātha/, სადაც თითოეული სიტყვის გამოთქმის თავისებურება იყო აღწერილი. აქედან დაიწყო სიტყვების გრამატიკული ანალიზი. ფონეტიკურ მეცნიერებას საფუძველი ჩაეყარა ნაშრომებში "პრატიშაკხიები" /Prātiśākhya/ და "შიქშები" /Śikṣā/. ამავე პერიოდისაა პირველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომები. ყველაზე ადრეულია "ნიგჰანტუ" /Nighantu/, რომელიც შედგება "ვედების" რთული სიტყვებიდან. ამ სიტყვების კომენტარები, დანერგილი დაახლოებით ძვ. წ. IV საუკუნეში იასნეს მიერ, არის გრამატიკის საკითხების სისტემატიზებული განხილვის პირველი ცდა. აქ უკვე გამოყოფილია მეტყველების ნაწილები: სახელი /nāman/, ნაცვალსახელი /servanāman/, ზმნა /ākhyāta/, წინდებული /upasagra/ და ნაწილაკი /nipāta/.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Барроу Т., Санскрит, перевод с английского Лариной Н., "Прогресс", Москва 1976, 49.

თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს ამ მეცნიერებამ პანინის ხელში მიაღწია. მისი ნაშრომი "ძველი ინდური ენის გრამატიკა" ინდური გრამატიკული აზროვნების მწვერვალია. პანინის გრამატიკა "ასტადჰიკაი" /Astādhyāyī/ – "გრამატიკული წესების რვა ნაწილი" 3996 წესს (სუტრას) შეიცავს, მასში წარმოდგენილია ფონეტიკა, მორფოლოგია, ეტიმოლოგია, სიტყვათწარმოებისა და სინტაქსის საკითხები.<sup>1</sup>

პანინი დაახლოებით ძვ. წ. IV საუკუნეში ცხოვრობდა. ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, მისი მოღვაწეობა მეფე მაგადხი ნანდის მმართველობის ხანას ემთხვევა. პანინის ცხოვრების შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. ცნობილია, რომ იგი დაიბადა ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთში, შალატურაში. მისი ნაწარმოები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მან შეიმუშავა სანსკრიტის გრამატიკის კანონები. სუტრებისა და მათი კომენტარების წყალობით, მან შეაგროვა, გააანალიზა და წესების სახით ჩამოაყალიბა იმდროინდელი ენობრივი მასალა. შემდეგ გრამატიკულ სკოლებში პანინის გრამატიკა ზეპირად ისწავლებოდა.

პანინისა და მისი მიმდევრების შრომების წყალობით, ენის ამ სისტემურმა ფორმამ ნორმატიული ხასიათი მიიღო. პანინის მოღვაწეობის მომდევნო პერიოდში უამრავი გრამატიკული ნაშრომი შეიქმნა, მაგრამ არც ერთ მათგანს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამ გრამატიკების მიზანი იყო პანინის გრამატიკაში მოცემული მასალის წარმოდგენა შედარებით მარტივი ფორმით.

რაც შეეხება ბერძნულ გრამატიკას, იგი დაახლოებით მეორე და პირველი საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა. მაგრამ ინტერესს ლინგვისტური საკითხებისადმი, უკვე ძვ. წ. V საუკუნეში ვხვდებით. ლინგვისტური დაკვირვებები, ძირითადად სიტყვის ბუნებასა და ეტიმოლოგიას ეხებოდა. უკვე ჰომეროსთან და ჰე-

---

<sup>1</sup> Pauly N., Enzyklopädie der Antike, Band 4, Verlag J. B. Metzler, Stuttgart - Weiman 1998, 1199.

სიოდესთან გვაქვს ცდები სახელთა ხალხური ეტიმოლოგიის დადგენისა, მაგ:

τὸν ῥ' Ἔκτωρ καλέεσκε Σκαμάδριον, αὐτὰρ οἱ ἄλλοι  
' Ἀστιάνακτ' οἶος γὰρ ἔρυστο Ἴλιον Ἐκτωρ.<sup>1</sup> (VI, 402-403)  
"მამა ეძახდა სკამანდრიოსს, ტროის მცხოვრებნი  
კი - ასტიანაკტს: ტროის ბურჯი ჰქეტორიაო".<sup>2</sup> (VI, 402-403)

ევრიპიდეს "პალამედესის" ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტში და დემოკრიტესთან კი ფონეტიკური კლასიფიკაციის პირველი მცდელობაა, მაგ:

ἄφωνα καὶ φωνήεντα συλλαβὰς τε θεῖς  
ἔξευρον ἀνθρώποισι γράμματ' εἰδέναι...<sup>3</sup> (582, 2)  
"უხმო და ხმოვან ერთად დასმულ მარცვალთა  
აღამიანთათვის გამოგონილი ასოებით გადმოცემა..."<sup>4</sup>

ბერძნული ლინგვისტური აზროვნების ორი პერიოდი გამოიყოფა: ფილოსოფიური და გრამატიკული. ფილოსოფიურ აზროვნებაში ძირითად საკითხად სახელდების პრობლემა იქცევა, კვლევა ძირითადად საგნისა და სახელის ურთიერთმომართების გზით მიდის. ფილოსოფოსებს აინტერესებთ, რა კავშირშია ერთმანეთთან საგანი, აზრი მის შესახებ და ამ აზრის გამომხატველი სიტყვა. ზუსტად ეს საკითხებია ასახული პლატონის დიალოგში "კრათილოსი" ("Κρατύλος").

ჯერ კიდევ პლატონამდე ბერძნულმა ფილოსოფიამ საგანთა სახელდების ორი თეორია წამოაყენა - ბუნებრივი და კონვენციური. კონვენციური თეორია გულისხმობს წინასწარი შეთანხმების შედეგად საგანთა სახელდებას პირობითად, აზრის ყოველგვარი გათვალისწინების გარეშე, ე. ი. სიტყვები საგნებს

<sup>1</sup> Homer, Iliad, books I-XII, with an introduction, a brief homeric grammar and notes by D. B. Monro, Clarendon Press, Oxford 1958.

<sup>2</sup> თარგმანი მოგვყავს შემდეგი გამოცემის მიხედვით: პომეროსი, ილიადა, ძველბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო რ. მიმინოშვილმა, "საბჭოთა საქართველო", თბილისი 1964.

<sup>3</sup> Evripidis, Perditarum Tragoediarum, Fragmenta, Edidit Nauk A., in Aedibus B. G. Teurneri, Lipsiae MCMVIII, 155.

<sup>4</sup> მოგვყავს ჩვენული თარგმანი.

გამოხატავენ ჩვეულების გამო (νόμος, θέσς). ამ თეორიის წარმოშობა დემოკრიტეს მოძღვრებას უკავშირდება. ბუნებრივი თეორიის მიხედვით კი, სახელი ასახავს საგნის არსს, განუყოფელად მიეკუთვნება საგანს და გარკვეულწილად განსაზღვრავს კიდევ მის არსებობას, ე. ი. სიტყვები გამოხატავენ საგნებს მათი ბუნების მიხედვით (φύσς). ეს თეორია სათავეს იღებს პერაკლიტე ეფესელის ფილოსოფიაში.<sup>1</sup>

საბოლოოდ, ამ თეორიების ერთად თავმოყრა და φύσς – νόμος (ბუნება – კანონი), φύσς – θέσς (ბუნება – შეთანხმება) დაპირისპირების ჩამოყალიბება პლატონის "კრატილოსში" ხდება. კრატილოსის აზრით (იგი პერაკლიტეს მოძღვრებას ეყრდნობა), სიტყვები ბუნების მიერ არის შექმნილი. სახელი თავისი არსით საგნის გარკვეულ ელემენტს გამოხატავს, მაგ:

ἀσφραπίος ἀσφραεῖ τιντι ὄ ὄπασσεν<sup>2</sup> (399 c.)

"ფიქრობს იმას, რასაც ხედავს"

საწინააღმდეგო აზრისაა სოკრატე (იგი დემოკრიტეს შეხედულებებს გეთავაზობს), რომელიც თვლის, რომ სახელებს არ მიეყავართ მათ მიერ ასახული საგნების ელემენტებამდე. იმის დასამტკიცებლად, რომ სახელები დადგენილია, ჩვეულების შედეგია, სოკრატეს ოთხი საბუთი მოჰყავს: ომონიმების არსებობა, სინონიმები, საგნები, რომელთაც სახელები არა აქვთ და სახელების გამეორება.

როგორც დიალოგიდან ჩანს, პლატონი მთლიანად არც ერთ შეხედულებას არ იზიარებს. აქვე გვერდს ვერ ავუვლით დიალოგის პრობლემატიკას. მეცნიერებაში ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს:

პლატონის "კრატილოსი" ენის ფილოსოფიის საკითხებს ეძღვნება (ფ. ლასალე, ე. კოსერიუ, ე. შააგი, ჯ. დერბოლავი);

პლატონი სამეცნიერო გრამატიკას უყრის საფუძველს (ლ. ლერში);

<sup>1</sup> დოლიძე ნ., ძირითადი ენათმეცნიერული ტენდენციები ანტიკურ ფილოსოფიაში და პლატონის "კრატილოსი", "ლოგოსი", თბილისი 1978, 15.

<sup>2</sup> Platonis, Dialogi, Vol. I., in Aedibus B. G. Teubneri, Lipsiae MDCCCXC.

დიალოგის ძირითადი საკითხია ენის სემანტიკის სფერო (ი. დოიშლე, პ. შტეინტჰალი);

"კრატილოსი" ენის ლოგიკურ სისტემას განიხილავს (ფ. შობლინი);

პლატონური ენის ფილოსოფია ემყარება პირველადი სიტყვების ანალიზსა და ფონეტიკურ-ფიზიოგნომურ თეორიების მიმართებას ობიექტურ რეალობასთან (მ. ლეკი);

პლატონმა გამოავლინა ენის ფილოსოფიის ისეთი პრინციპები, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერებაში არ დაუკარგავთ აქტუალობა. პირველ რიგში, ეს არის ენის კომუნიკაციური ფუნქცია (ა. ნერინგი);

პლატონი იყო პირველი, ვინც ჩასწვდა სემანტიკის ძირითად პრობლემას და განსაზღვრა ენობრივი ნიშნის ორმაგი ფუნქცია – მისი მიმართება ერთი მხრივ ობიექტთან, მეორე მხრივ კი – მნიშვნელობასთან (ა. პაგლიარო);

პლატონი საერთოდ არ განიხილავს ენის ნატურალური და კონვენციური წარმოშობის პრობლემას; იგი დიალოგის ცენტრში ენობრივი ნიშნის რელაციას აყენებს (ე. კოსერიუ);

პლატონის ძირითადი მიზანი არის ენისა და შემეცნების მიმართების განხილვა (ფ. შლაიერმაჰერი);

დისკუსიის თემაა არა ენა, არამედ სიტყვათა (სახელთა) სისწორე (რ. რობინსონი).<sup>1</sup>

ლინგვისტიკისათვის უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პლატონის "კრატილოსში" მოცემულია სიტყვების პირველი ფონოლოგიური ანალიზი ეტიმოლოგიის გზით, აღნიშნულია "ბარბაროსული" ენებიდან ნასესხები სიტყვები, სიტყვების არქაული ტიპები, ადგილობრივი დიალექტები, გამოყოფილია სახელი და ზმნა, ბგერები დაყოფილია ხმოვნებად და თანხმოვნებად.

პლატონი ბგერით ელემენტებს (რომლებიც გაიგივებულია ასოებთან – γράμματα) უწოდებს στυχία-ს, რომლებიც, თა-

<sup>1</sup> მეცნიერებაში არსებული თვალსაზრისები მოცემულია ნ. დოლიძის ზემოთ აღნიშნული მონოგრაფიის მიხედვით, 25-29.

ვის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფია τὰ φανήεντα (ხმოვნები), ხოლო მეორე ჯგუფი τὰ ἄφωνα καὶ ἄφθογγα (უხმონი და მუნჯი ბგერები).

Ἄρ' οὐν καὶ ἡμᾶς οὕτω δεῖ πρῶτον μὲν τὰ φανήεντα δι-  
ελέσθαι, ἔπειτα τῶν ἑτέρων κατὰ εἶδη τὰ τε ἄφωνα καὶ  
ἄφθογγα... (424 d)<sup>1</sup>

"ამგვარად, ჩვენ უნდა განვასხვაოთ ჯერ ხმოვნები, შემდეგ მათი სახეების შესაბამისად სხვა – უხმონი და მუნჯი..."<sup>2</sup>

პლატონი გამოყოფს სახელებსა და ზმნებს (ὄνοματα καὶ ῥήματα); ὄνομα არის საგნის სახელი, ხოლო ῥήμα გამო-  
ნათქვამი საგნის შესახებ. რ. პფაიფერის აზრით, "ეს არც მორ-  
ფოლოგიური დაყოფა იყო (სახელი და ზმნა) და არც სინ-  
ტაქსური (ქვემდებარე და შემასმენელი, არისტოტელესთან  
ὑποκείμενον καὶ κατηγορούμενον). ეს დაყოფა პლატონმა შე-  
მოგვთავაზა არსის (τὰ ὄντα) მნიშვნელობის გასაგებად, რაც  
მის მთავარ დებულებას წარმოადგენდა".<sup>3</sup>

მაგ.: Δὲν φίλος-ში φίλος არის ῥήμα, Δίφίλος კი ὄνομα.

οἷον Δὲν φίλος· τοῦτο ἀντὶ ῥήματος ὄνομα ἡμῖν γένηται...  
(399 b)

"მაგალითად, Δὲν φίλος გამონათქვამიდან სახელი რომ გა-  
მოვიდეს..."

ორივეს ერთად პლატონი δηλήματα-ს უწოდებდა, სადაც ὄνομα მიეკუთვნებოდა παράττοντες (იმას, ვინც მოქმედებს), ხოლო ῥήμα – πράξις (მოქმედებას). მაგრამ სახელსა და ზმნას თავისთავად არაფრის გამოხატვა არ შეუძლიათ, თუ ისინი ერთმანეთს არ უკავშირდებიან და წინადადებას არ ქმნიან.

გარდა ამისა, პლატონი გვაძლევს სიტყვების, ძირითადად, ანტიკურ ლმერთებისა და გმირების სახელების ეტიმოლო-  
გიას.

მაგ.:

<sup>1</sup> Platonis, op. cit., 237.

<sup>2</sup> მოგვყავს პლატონის "კრატილოსის" ჩვენეული თარგმანი.

<sup>3</sup> Pfeifer R., History of Classical Scholarship, From the Beginnings to the End of the Hellenistic Age, Clarendon Press, Oxford 1968, 59-60.

'Απόλλων < ἀπολούω (ὡς ἰατρός), ἀπλοῦν (κατὰ δὲ τὴν  
μαντικὴν καὶ τὸ ἀληθές), αἰεὶ βάλλων (διὰ δὲ τὸ αἰεὶ βολῶν  
ἐγκρατής), ὁμοπολῶν (ἐπιστατεῖ δὲ οὗτος ὁ θεὸς τῆ ἁρμονίᾳ)  
(405 c)

"აპოლონი მხსნელი (როგორც ექიმი), ჭეშმარიტი (წინას-  
წარმეტყველებისა და სიმართლის გამო), მუდამ ისრის მტყ-  
ორცნელი (ისრების ტყორცნის ხელოვნების გამო), პოლუსების  
ერთობლივი ბრუნვის ზედამხედველი (რადგან ეს ღმერთი  
ზედამხედველობს ჰარმონიას)".

Μούσα < μῶσθαι

...τὰς δὲ Μούσας τε καὶ ὄλως τὴν μουσικὴν ἀπὸ τοῦ  
μῶσθαι, ὡς ἔοικεν, καὶ τῆς ζητήσεώς τε καὶ φιλοσοφίας τὸ  
ὄνομα τοῦτο ἐπανόμασεν (406 d)

"ხოლო მუზებს და მუსიკას საერთოდ ეს სახელი ეწოდა,  
როგორც ჩანს, ფილოსოფიური სიბრძნის ძებნისა და მისდამი  
მისწრაფების გამო".

Ληθῶ < λείων ἦθος

...ἔοικεν οὖν πρὸς τὸ μὴ τραχὺ τοῦ ἦθους ἀλλ' ἡμερόν τε  
καὶ λείων (406 d)

"როგორც ჩანს, საუბარია არა ეკლიან, არამედ წყნარ და  
მოალერსე ხასიათზე და ა. შ."

ზოგიერთ სახელში ყურადღება გამახვილებულია ისეთ  
ფონეტიკურ მოვლენაზე, რომელსაც კეთილხმოვანება ანუ  
ევეფონია ჰქვია. მაგ.: 'Ηθουόη – Αθηνά

...Ἰσως δὲ οὐδὲ ταύτη, ἀλλὰ ὡς οἶσαν τὴν θεὸν ταύτην  
'Ηθουόην μὲν βούλεισθαι προσεῖπειν· παραγαγὼν δὲ ἢ αὐτὸς ἢ  
τινες ὕστερα ἐπὶ τὸ κάλλιον ὡς ᾤοντο, 'Αθηνάαν ἐκάλεσαν  
(407 c).

"...შეიძლება სურდა მიეცა სახელი ქალღმერთისათვის მისი  
არსის მიხედვით – ეთონოე, ხოლო შემდეგ ან თვითონ კანონმ-  
დებელმა ან სხვა ადამიანებმა უწოდეს მას ათენაა, ფიქრობდ-  
ნენ რა, რომ შეცვალებს მისი სახელი უკეთესისკენ".

Φερέπαφα – Φερρέφαττα (404 c-d)

Φίξ – Σφίγγ

ὥσπερ καὶ τὴν σφίγγα ἀντὶ φιγγός σφίγγα καλοῦσιν, καὶ  
ἄλλα πολλά (414 c).



"როგორც სვინქს ფინგის ნაცვლად სვინქს უწოდებენ, და სხვა მრავალი".

ამავე ფონეტიკურ პროცესს – მეტათეზისს (ბგერათა გადასმას) კაკაფონიის (არაკეთილხმოვნების) თავიდან ასაცილებლად დღესაც იყენებენ ლინგვისტები სხვადასხვა ფორმის გარჩევის დროს.

"კრატილოსში" დასმული საკითხები მეტად მნიშვნელოვანია ლინგვისტური აზროვნების ფორმირებისათვის, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ არის საუბარი გრამატიკულ სისტემაზე. აქ წინა პლანზე ენის ფილოსოფიის პრობლემებია წამოწეული.

პლატონის შემდეგ ენათმეცნიერებამ ვინრო დესკრიფციული მნიშვნელობა მიიღო და ენის ფილოსოფიის საკითხები ბერძენ სწავლულთა ყურადღების მიღმა დარჩა.

ძველი ბერძნული გრამატიკული აზროვნების შემდეგი ეტაპი არისტოტელეს სახელს უკავშირდება, რომელთანაც უკვე მოიძებნება ბერძნული გრამატიკის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების საფუძველი.

დიონ ქრისოსტომოსი თავის ნაშრომში "ჰომეროსის შესახებ" ("Περὶ Ὅμηρου") აღნიშნავს, რომ არისტოტელემ სათავე დაუდო კრიტიკასა და გრამატიკას:

Ἄριστοτέλης ἄφ' οὗ φασὶ τὴν κριτικὴν τε καὶ γραμματικὴν ἀρχὴν λαβεῖν (36, 274 R II, 4).<sup>1</sup>

"არისტოტელემ კრიტიკა დაამკვიდრა და გრამატიკას სათავე დაუდო".

ლოგიკისა და გრამატიკის ურთიერთმიმართების საკითხი სწორედ არისტოტელეს ნაშრომებში დაისვა.

თავის ნაშრომში "განმარტების შესახებ" ("Περὶ ἑρμηνείας") არისტოტელე ამბობდა, რომ სიტყვებისა და წინადადებების კვლევა რიტორიკის ან პოეტიკის საგანი უნდა იყოს: "ῥητορικῆς γὰρ ἢ ποιητικῆς οἰκειότερα ἢ σκέψις". "პოეტიკასა"

<sup>1</sup> Dionis Prusaensis quem vocant Chrysostomum, OMNIA, edidit apparatu critico instruxit J. De Arnim, vol. I, oratio LII, Περὶ Ὅμηρου, Apud Weidmannos, Berolini MDCCCLXXXIII.

("Ποιητική") და "რიტორიკაში" ("Ῥητορική") იგი გვთავაზობს თავის დაკვირვებებს მეტყველების ნაწილთა შესახებ.<sup>1</sup>

"პოეტიკაში" არისტოტელე გამოყოფს მეტყველების რვა ნაწილს, დანყებული უმცირესი ელემენტიდან (στοιχείον – ბგერა) წინადადებამდე (λόγος). ესენია: ბგერა, მარცვალი, კავშირი, სახელი, ზმნა, არტიკლი, ბრუნვა, წინადადება.

Τῆς δὲ λέξεως ἀπάτης τὰδ' ἐστὶ τὰ μέρη, στοιχείον συλλαβῆς σὺνδεδεσµὸς ὄσιμα ῥήµα ἄρθρον πᾶσις λόγος (1456 b, 20).<sup>2</sup>

"ყოველ სათქმელს შემდეგი ნაწილები აქვს: ასო, მარცვალი, კავშირი, სახელი, ზმნა, სახსარი (სადრეკი), მთხვევა და დებულება".<sup>3</sup>

შემდეგ გვთავაზობს მეტყველების თითოეული ნაწილის დეფინიციას. აღსანიშნავია, რომ პლატონისაგან განსხვავებით, თანხმობებისა და ხმობების გარდა, არისტოტელე ნახევარხმობებს (ἡμίφωνα Σ, Ρ) გამოჰყოფს.

...ταύτης δὲ μέρη τό τε φωνήεν καὶ τὸ ἡμίφωνον καὶ ἄφωνον (1456 h, 25).

"ამ უკანასკნელის სახეებია ხმოვანი, ნახევრად ხმოვანი და უხმო".

მარცვალთა ფორმირებაზე, მათ რაოდენობასა და პროსოდიაზე არისტოტელე არ მსჯელობს, რადგანაც თელის, რომ ეს მეტრიკის საგანია (τῆς μετρικῆς ἐστίν).

"რიტორიკაში" არისტოტელე მეტყველების იმ ნაწილებს, რომელიც არც ზმნაა და არც სახელი, კავშირს (σὺνδεδεσµὸς)

<sup>1</sup> Pfeifer R., op. cit., 67.

<sup>2</sup> Ἀριστοτέλης, Ἄπαντα, τόμος τριακοστός τέταρτος, Περί Ποιητικῆς, εἰσαγωγή-μετάφραση: Νικολαΐδης Η., Σχόλια: φιλοσοφικὴ οἰκία Κάκτου, "Κάκτος", Ἀθήνα 1995.

<sup>3</sup> თარგმანი მოგვყავს შემდეგი გამოცემის მიხედვით: არისტოტელე, პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები ს. დანელიასი, "განათლება", თბილისი 1979. თუმცა, ჩვენი ნაშრომის გაცნობისას, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ნ. მახარაძემ აღნიშნა, რომ ბ-ნ სერგი დანელიას მიერ შესრულებულ თარგმანში ტერმინები ოდნავ განსხვავებულია იმისაგან, როგორც ის დღეს შეიძლება თარგმნილიყო, ტერმინისათვის იმისაგან, ის ირჩევს "სახსარი" ("სადრეკი") და არა "არტიკლი", πᾶσις მისთვის არის "მთხვევა" და არა "ბრუნვა", λόγος – "დებულება", როდესაც კონტექსტით ის მხოლოდ "წინადადებას" გულისხმობს.

უნოდებს (1407 a, 20; 1413 b, 33), ხოლო "პოეტიკაში" ცალკე გამოყოფს აგრეთვე ართრონს (ἄρθρον), როგორც დამოუკიდებელ მნიშვნელობას მოკლებულ სიტყვას. კავშირსაც და ართრონსაც ფუნქცია მხოლოდ სახელთან ან ზმნასთან ერთად გამოყენებისას ენიჭებათ.

მეტყველების ნაწილთაგან სახელსა და ზმნას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ. ამასთან, სახელია მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმა, მისი სხვა ფორმები – ბრუნვებია, ანუ ს.დანელიას მიხედვით, მთხვევები, ვინაიდან ის, რასაც არისტოტელე გულისხმობს ტერმინში: πᾶσις, აერთიანებს როგორც სახელის, ისე ზმნის ცვლილებას, ე. ი. ბრუნებას და უღლებას. ზმნად არისტოტელესთან ითვლება მხოლოდ ახლანდელი და სრული დროის ფორმა. რაც შეეხება დანარჩენ დროებს (მომავალი და უსრული დროები), მათ არისტოტელე ზმნების ბრუნვებს / მთხვევებს (πᾶσις ῥημάτων) უწოდებს. იყენებს იმავე ტერმინს, რომელიც გამოიყენება სახელის ირიბი ბრუნვებისათვის.

არისტოტელე "რიტორიკის" მესამე თავში აღნიშნავდა, რომ არსებობს სახელის სამი სქესი: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო:

ἄρρενα καὶ θήλεα καὶ σκεύη (1407 b, 7).<sup>1</sup>

<sup>1</sup> Αριστοτέλης, Ἄπαντα, τόμος τριακοστός, Ρητορικὴ 3, εισαγωγή-μετάφραση: Νικολαΐδης Η., Σχόλια: φιλοσοφικὴ ὁμάδα Κάλτσου, "Κάκτος", Αθήνα 1995. საინტერესოა არისტოტელეს მიერ საშუალოს მნიშვნელობით ნახმარი ტერმინი σκεύη, სახელთა იმ ჯგუფის დასახასიათებლად, რომლებიც საშუალო სქესისაა, მაგრამ დაბოლოებათა მიხედვით, ზოგი მდედრობითის მსგავსია და ზოგი – მამრობითის. ნ. მახარაძის მითითებით, "σκεύη-ს თარგმნა როგორც "საშუალოსი" – უკვე მისადაგებული გრამატიკული ინტერპრეტაცია და არა საკუთრივ ამ ლექსემა-ტერმინის შინაარსობრივი სახის ჩვენება, რომელშიც არისტოტელეს თვალსაზრისი კარგად იკვეთება; σκεῖν როგორც რაღაც ქურჭელი, შთასადებელი (შესაძლოა სკივრი აქედანაც იყოს), რომელიც არისტოტელურ კონტექსტში უნდა ნიშნავდეს იმას, რაშიც თავს იყრის სხვადასხვა ტიპის სიტყვები, მსგავსად ყუთისა, სკივრისა, კიდობნისა... სხვათა შორის, ძველი ქართული მთარგმნელები – როგორც ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის მასალებიდან ჩანს – მას როგორც წესი თარგმნიდნენ

"პოეტიკაში" იგი იწყებს სახელების დაყოფას დაბოლოებათა მიხედვით, მესამე ჯგუფი ანუ საშუალო სქესის სახელები დაბოლოებათა მიხედვით მიჰყვება მამრობით ან მდედრობით სქესს, ამიტომ არისტოტელე ტოვებს საშუალო სქესის სახელებს როგორც შეუსაბამო ფორმებს, რომლებიც შუალედურ ფუნქციას ასრულებენ (τὰ μεταξύν).

Αὐτῶν δὲ τῶν ὀνομάτων τὰ μὲν ἀρρένα τὰ δὲ θήλεα τὰ δὲ μεταξύν (1458 a, 8).

"თვით სახელებიდან ზოგი არის მამრობითი, ზოგი – მდედრობითი, ზოგი – საშუალო".

მეტყველების ბოლო ნაწილი არის წინადადება.

Λόγος δὲ φωνῆ συσθετῆ σηματικῆ ἦς ἔνια καθ' αὐτὰ σημαίνει τι (1457 a, 23).

"წინადადება არის მნიშვნელობის შემცველი რთული ბგერა, რომლის ცალკეული ნაწილები თავისთავად რამეს ნიშნავს".

ამ დეფინიციით არისტოტელე ხაზს უსვამს ფაქტს, რომ ზოგი მეტყველების ნაწილი, სახელდობრ, სახელი და ზმნა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. აქ იგი ეწინააღმდეგება პლატონს, რომელიც ამბობდა, რომ ცალკე აღებული სახელი და ზმნა არაფერს ნიშნავს, თუ ისინი წინადადებას არ ქმნიან.

οὐδὲμίαν γὰρ οὐτε οὐτως οὐτ' ἐκείνας πᾶμῶν οὐδ' ἀπραξίαν οὐδὲ οὐσίαν οὐτος οὐδὲ μὴ οὐτος δηλοῖ τὰ φωνηθέντα, πρὶν ἂν τις τοῖς ὀνόμασι τὰ ῥήματα κεράσῃ (262 C).<sup>1</sup>

"გამონათქვამი არ გამოხატავს არც მოქმედებას, არც უმოქმედობას, არც არსებულის არსს, არც არაარსებულის არსს, სანამ ერთმანეთს არ დავუკავშირებთ სახელებსა და ზმნებს".<sup>2</sup>

რა თქმა უნდა, არისტოტელეს მიერ მოცემული მეტყველების ნაწილთა სია ჯერ კიდევ არ იყო ლინგვისტური სისტემა,

---

სიტყვით "ჭური", რომელსაც ცხადია მრავალგვარი კონტექსტური გაგება და გადატანითი მნიშვნელობა აქვს".

<sup>1</sup> ΣΟΦΙΣΤΗΣ, Platonis Opera, Rognovit brevique andonatione critica instruxit Ioannes Burnet, Tomus I, Tetralogias I-II continens, OXONII, Typographeo Clarendoniano.

<sup>2</sup> მოგვყავს ჩვენეული თარგმანი.

მაგრამ ეს იყო მცდელობა გრამატიკული ტერმინების ანალიზისა. არისტოტელეს აქვს ზოგიერთი სხვა ცნობაც ენის შესახებ. ის მსჯელობს სინონიმებზე, რთულ, იშვიათ და მოძველებულ სიტყვებზე (γλῶσσαι). Γλῶσσαι უპირისპირდება ძირითად სიტყვებს და თავისი არსით დიალექტურ ფორმებს წარმოადგენს.<sup>1</sup>

ბერძნული გრამატიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი სტოელთა სკოლას უკავია. სტოელთა ფილოსოფიამ განვითარების საკმაოდ ვრცელი გზა განვლო. მასში გამოყოფენ ძველ, საშუალო და ახალ ანუ გვიანდელ ფაზებს. მის ფუძემდებლად მიიჩნევენ ძენონს (ძვ. წ. 335-326), ხოლო მოძრაობის სახელს უკავშირებენ ბერძნულ ტერმინს ἡ ποικίλη στήα ("ჭრელად მოხატული სვეტებიანი დერეფანი, სტოა").<sup>2</sup> სამწუხაროდ, სტოელების არც ერთ ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია და მათ მსოფლმხედველობაზე მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ. სტოელების აზრით, ენაში არსებობს აღმნიშვნელი (σημαίον), აღსანიშნი (σημαινόμενον) და გადმოსაცემი აზრი (τύχχασον).<sup>3</sup> აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ფ. დე სოსიურის კონცეფცია, ძირითადად, აგებულია აღმნიშვნელისა და აღსანიშნის შორის არსებულ ურთიერთობაზე.

ცნობილია, რომ მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრების შექმნა სტოელთა დამსახურებაა. მართალია, არისტოტელესთან გვხვდება მეტყველების ცალკეულ ნაწილთა სახელწოდებანი, მაგრამ არისტოტელეს არც ერთ ნაშრომში მეტყველების ნაწილებზე ცალკე მსჯელობა არ გვაქვს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Pfeifer R., op. cit., 78.

<sup>2</sup> გორდუზიანი რ., დანელია მ., კლასიკური ფილოლოგიის შესავალი, "ლოგოსი", თბილისი 2004, 217.

<sup>3</sup> Φιλάρετος Θ., Πλάτων και Αριστοτέλης, Ιστορία της Ελληνικής γλώσσας, επιμέλεια του Κοπιδάκη Η., Ελληνικό λογοτεχνικό και ιστορικό αρχείο, Αθήνα 1999, 80.

<sup>4</sup> J. ... დიონისიოს თრაკიელის "გრამატიკის ხელოვნება" და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება, "ლოგოსი", თბილისი 2000, 14.

დიოგენე ლაერტელის (ახ. წ. III ს.) ცნობით, სტოელმა ქრისიპოსმა მეტყველების ხუთი ნაწილი გამოყო: საკუთარი სახელი (ὄνομα), საზოგადო სახელი (πρῶτονον), ზმნა (ῥήμα), კავშირი (σύνδεσμος) და ართრონი (ἄρθρον).<sup>1</sup> მეტყველების ოთხი ნაწილი მან არისტოტელესგან გადმოიღო. დიოგენე ბაბილონელი თავის ნაშრომში "ხელოვნება ბგერის შესახებ" ("Τέχνη περὶ φωνῆς") აღნიშნავს, რომ ცალკე მეტყველების ნაწილად საკუთარი სახელიცაა გამოყოფილი.<sup>2</sup> ძვ. წ. II საუკუნეში ანტიპატროს ტარსოსელმა ამ მეტყველების ნაწილებს მიუმატა კიდევ ერთი – ზმნიზედა, რომელსაც მან μεσότης (შუა) ან παυδέκτης (ყოვლადმიღებული) უწოდა.<sup>3</sup>

ართრონში სტოელები გულისხმობდნენ ნაცვალსახელებსაც და საკუთრივ ართრონსაც, ხოლო კავშირში – საკუთრივ კავშირის გარდა წინდებულებსაც.

სახელთა ბრუნვების სისტემაზე სტოელებმა ჩამოაყალიბეს. ტერმინს πᾶσις სტოელები მხოლოდ სახელებისათვის იყენებდნენ (მაშინ, როდესაც არისტოტელე ამ ტერმინს ზმნის უღლებისა და ზმნიზედებისათვისაც იყენებს). სტოელებმა სახელობითიც ბრუნვად მიიჩნიეს და ბრუნვები ორ ნაწილად დაყვეს: პირდაპირი (ῥημὴ) და ირიბი (πλάγιαί). სქესების მიხედვით სახელების ტრადიციული დაყოფა მათ შეინარჩუნეს, მხოლოდ საშუალო სქესის სახელებს ახალი ტერმინი მოუნახეს: ὀσδέτερον (საშუალო, ნეიტრალური, არც ეს, არც ის), ადრე მას μετὰξὺ (შუალედური) ეწოდებოდა.

სტოელებმა ცალკე გამოყვეს გარდამავალი და გარდაუვალი, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები. ზმნაში დროის კატეგორია დააფიქსირეს, სულ ექვსი დრო გამოყვეს: ოთხი

<sup>1</sup> Scholia in Dionysii Thracis *Artem Grammaticam*, Ed. Hilgard, Lipsiae 1901, 174.

<sup>2</sup> Диоген Вавилонский, Фрагмент 21, в кн.: Античные теории языка и стиля, под редакцией Фрейденберг О., ОГИЗ, Государственное социально-экономическое издательство, Москва-Ленинград 1939, 70.

<sup>3</sup> Pauly N., op. cit., 1199.

ბრისმენი (ένεστώς, παρατατικός, παρακείμενος, υπερσυστέλικος) და ორი άβριστοι (μέλλων, άβριστος).<sup>1</sup>

სტოვლებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ენაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანომალიას. ამით ხსნიდნენ ომონიმების, სინონიმების, მამრობითი სქესის დაბოლოებების მქონე მდებრობითი სქესის სახელების არსებობას.

გრამატიკის ძირითადი ცნებების შექმნით სტოვლებმა საფუძველი მოუმზადეს გრამატიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებას, რაც ელინიზმის ეპოქაში მოხდა.

ანტიკური ეპოქის ფილოსოფიური პერიოდის "გრამატიკოსების" ძირითადი ენობრივი დაკვირვებები სქემების სახით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

### ლინგვისტური დაკვირვებები მოცემული პლატონთან

სახ. ეტი- მოლოგია	ფონეტიკა		მორფოლოგია	
	ბგერითი ელემენტები στοιχεία		δηλώματα	
	I ჯგუფი	II ჯგუფი		სახელი ὄνομα
	ხმოვნები τὰ φωνήεντα	თანხმოვ- ნები τὰ ἄφωνα	უბგეროები τὰ ἄφθογγα	ზმნა ῥήμα

<sup>1</sup> ქაროსანიძე ლ., op. cit., 19-20.

ლინგვისტური და კვირვებები მოცემული არისტოტელესთან

ფონეტიკა, მორფოლოგია მეტყველების წარიღები სინტაქსი		სოცო დინაბაგვი		
		სინტაქსი ინგრა	ეგრე	სინაბაბ
	სინაბაბ		ინგრა	
	რობბბ სინაბაბ			
	მინაბ ეგრე	საბა	სინაბაბ	სინაბაბაბა
	მინაბ სინაბაბ	სინაბ	რბბბბ 'სინაბაბ სინაბაბაბა	
			მინაბ სინაბაბაბა	
			რბბბბ სინაბაბაბა	
	სინაბაბაბა სინაბაბა			
	სინაბაბა სინაბაბა			
	სინაბაბა სინაბაბა	სინაბაბა	სინაბაბა	სინაბაბა სინაბაბა
			სინაბაბა	სინაბაბა სინაბაბა
			სინაბაბა	სინაბაბა სინაბაბა





## § 2. ძველი ბერძნული ლინგვისტური აზროვნების გრამატიკული პერიოდი

ფილოსოფიისაგან გრამატიკის საბოლოო გამოყოფა და დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბება ელინიზმის ეპოქას უკავშირდება. ამ პერიოდში ფილოლოგები აგროვებდნენ და სწავლობდნენ ხელნაწერებს, მიმართავდნენ ლიტერატურული ტექსტების კრიტიკას, ფილოლოგიურ განმარტებებს.<sup>1</sup>

მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრები ამ პერიოდში ოყო პერგამონი მცირე აზიაში და ალექსანდრია – ეგვიპტეში. ალექსანდრიაში შეიქმნა ბიბლიოთეკა, რომლის დამაარსებლებმა მიზნად დაისახეს, თავი მოეყარათ ბერძენთა ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის. ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში შეგროვდა ბერძნული პოეზიისა და პროზის საუკეთესო ხელნაწერები, რომელთა შესასწავლად ინვევდნენ გამოჩენილ მეცნიერებს.<sup>2</sup> ლიტერატურის კლასიკური ნიმუშების გამოცემისა და კომენტარების საჭიროებამ მძლავრი ბიძგი მისცა ენათმეცნიერების განვითარებას.

პერგამონელ და ალექსანდრიელ ფილოლოგთა შორის დავა წარმოიშვა ანომალიისა და ანალოგიის საკითხებზე. პერგამონელი ფილოლოგები, სტოელების მსგავსად მიიჩნევდნენ, რომ სიტყვის ძირი მოცემულია ბუნებით, ხოლო მისგან ნაწარმოები სიტყვები, მაგალითად ბრუნება და უღვლილება, ხელოვნურია. და მაშინ, როცა ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლები ენობრივ ფორმათა ცვალებადობაში კანონზომიერებას ხედავდნენ და ხაზს უსვამდნენ ანალოგიის (ἀναλογία) როლს, ე.ი. გრამატიკულ ფორმათა ერთფეროვნებისაკენ სწრაფვას, პერ-

<sup>1</sup> გიორგობიანი თ., ბერძნული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, *Ανάμνησις*, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის საიუბილეოდ, "ლოგოსი", თბილისი 1999, 97.

<sup>2</sup> ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1950, 243.

გამონელები ამ კანონზომიერებას უარყოფდნენ (ἀνσμάλια).<sup>1</sup> გრამატიკაში არის წესები (ანალოგიები) და გამონაკლისები (ანომალიები). დავა ანალოგიებისა და ანომალიების შესახებ ხელს უწყობდა ენის უფრო ღრმად შესწავლას, გრამატიკის უმნიშვნელოვანესი ცნებების შემუშავებას.

ამ დროის გრამატიკულმა სკოლამ ალექსანდრიული სკოლის სახელწოდება მიიღო. როგორც ჩანს, ამ პერიოდშივე უნდა შემუშავებულიყო ტერმინი "გრამატიკოსი" ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით (ამ დრომდე γραμματικός-ს ან γραμματιστής-ს წერა-კითხვის მასწავლებელს უწოდებდნენ).<sup>2</sup> სამწუხაროდ არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ დაამკვიდრა ეს ტერმინი და ვინ მიანიჭა მას ახალი მნიშვნელობა. იბადება კითხვა – ვინ იყო პირველი გრამატიკოსი? ამის შესახებ დიონისიოს თრაკიელის სქოლიოში ვკითხულობთ:

Ἄντιδωρος δὲ τὴν Κυμαῖος συγγραψάμενος "λέξις" ἐπέγραψεν Ἀντιδώρου γραμματικῶν λέξεις, καὶ ἐκ τούτου ἢ ποτε κριτικῆ γραμματικῆ λέλεκται καὶ γραμματικοὶ οἱ ταύτην μετιόντες.<sup>3</sup>

"ანტიდოროს კიმაიოსმა დანერა "სიტყვა", რომელსაც შემდეგი წარწერა გაუკეთდა "ანტიდოროს – გრამატიკოსის სიტყვა", იმ დროიდან კრიტიკა გრამატიკად იწოდება, და გრამატიკოსები მას შეისწავლიან".<sup>4</sup>

ამ უცნობი ანტიდოროსის შესახებ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. მისი სახელი შეცვლილი სახით რამდენიმე ხელნაწერშია დადასტურებული; სავარაუდოა, რომ იგი ძვ. წ. III საუკუნეში მოღვაწეობდა. სხვა წყაროს მიხედვით, კლემენს ალექსანდრიელის კატალოგში დასახელებულია ორი გრამატიკოსი: ერატოსთენესი, რომელმაც ორი წიგნი გამოსცა სახელწოდებით "გრამატიკა" (Γραμματικά) და პრაქსიფანესი, რო-

<sup>1</sup> იხ. ყაუხჩიშვილი ს., op. cit., 247-248; გიორგობიანი თ., op. cit., 97-98.

<sup>2</sup> Pfeifer R., op. cit., 157.

<sup>3</sup> Pfeifer R., op. cit., 157.

<sup>4</sup> მოგვეყავს ჩვენეული თარგმანი.

მელსაც ტრადიციის თანახმად, პირველს ეწოდა გრამატიკოსი: *Γραμματικός ὡς πῦρ ὀνομαζομεν πρῶτος Πραξιφάνης*.<sup>1</sup>

"დღემდე, პირველ გრამატიკოსად პრაქსიფანესი იწოდება".<sup>2</sup>

ერატოსთენესი თავის თავს გრამატიკოსად არ თვლიდა, მან ახალი ტერმინი შემოიღო "ფილოლოგი". მართალია ეს ტერმინი, როგორც ლექსიკური ფორმატივი უკვე პლატონთან გვხვდება, მაგრამ აქ მას ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყალიბებული სემანტიკა და იგი მართლაც საკმაოდ ზოგადად შეიძლება აღნიშნავდეს სიტყვის მოყვარულს, ამ ცნების ყველაზე უფრო ფართო გაგებით.<sup>3</sup> ერატოსთენეს კალამს, გარდა ზემოთ ნახსენები წიგნებისა, მიეკუთვნება აგრეთვე რამდენიმე გრამატიკული ფრაგმენტი. დიონისიოს თრაკიელი გვანვდის ერატოსთენესის გრამატიკის დეფინიციას:

*Ἐρατοσθένης ἔφη ὅτι γραμματική ἐστὶν ἕξις παντελῆς ἐν γράμμασι, γράμματα καλῶν τὰ συγγράμματα*.<sup>4</sup>

"ერატოსთენესმა თქვა, რომ გრამატიკა დამწერლობისა და წესების სრულყოფილი ფლობაა".

აქ ტერმინები *γράμματα* და *συγγράμματα* ერთი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლები იყვნენ გამოჩენილი ფილოლოგ-მკვლევარები: ზენოდოტეს ეფესელი (დაახლ. 325-260 წწ.) – ჰომეროსის პოემების პირველი შემსწავლელი, ამ პოემათა 24-24 სიმღერად დამყოფი, ართრონისა და ნაცვლსახელის გამმიჯვნელი, ორობითი რიცხვის აღმომჩენი; კალიმაქოს კვირინელი (დაახლ. 315-240 წწ.) – ერთსა და იმავე დროს პოეტიცა და გრამატიკოსიც; ერატოსთენესი კვირინელი (დაახლ. 284-200 წწ.) – მეცნიერული გეოგრაფიისა და ქრონოლოგიის მამამთავარიც; არისტოფანე ბიზანტიონელი (დაახლ. 257-180 წწ.) – ენის, ლიტერატურისა და ტექსტუა-

<sup>1</sup> Pfeifer R., op. cit., 157.

<sup>2</sup> მოგვყავს ჩვენეული თარგმანი; როგორც ჩანს, ამ ფრაგმენტში "დღემდე" კლემენს ალექსანდრიელის მოღვაწეობის პერიოდი იგულისხმება.

<sup>3</sup> გორდეზიანი რ., დანელია მ., op. cit., 10.

<sup>4</sup> Pfeifer R., op. cit., 162.

ლური კრიტიკის მკვლევარი, პროსოდიული მახვილისა და ფშვინვის ნიშნების შემომღები; არისტარქოს სამოთრაკიელი (დაახლ. 217-145 წწ.) – ფილოლოგოს-კრიტიკოსი. სწორედ არისტარქოსმა განასხვავა მეტყველების რვა ნაწილი, რომელიც მისმა მოსწავლემ დიონისიოს თრაკიელმა იმავე რაოდენობითა და თანმიმდევრობით შეიტანა თავის გრამატიკაში. ამ ფილოლოგთა შრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ინფორმაცია, რაც მოგვეპოვება ალექსანდრიელ სწავლულთა შესახებ, ამოკრეფილია ჰომეროსის სქოლიოებიდან.<sup>1</sup> ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ დიონისიოს თრაკიელის "გრამატიკის ხელოვნება" ("Τέχνη γραμματική") წარმოადგენს. მნიშვნელოვანია აგრეთვე აპოლონიოს დისკოლოსის მოღვაწეობა, რომელიც სინტაქსის საკითხებზე მუშაობდა.

როგორც ვხედავთ, ნორმატიულ გრამატიკას სწორედ ალექსანდრიელი სწავლულების ნაშრომებში ჩაეყარა საფუძველი. შეიძლება ითქვას, რომ არისტოფანე ბიზანტიონელი არის პირველი ნორმატიული გრამატიკის ავტორი. ამ მხრივ, საინტერესოა მისი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი "სიტყვები" ("Λέξεις"), სადაც არისტოფანე სიტყვების ძველი და ახალი ფორმების შესახებ მსჯელობს. ერთ-ერთ თავს სათაურად აქვს წამძღვარებული "Περὶ τῶν ὑποπαθευμένων μὴ εἰρησθαι τοῖς παλαιῶν" ("სიტყვები უცნობი ძველი ბერძნებისათვის"), არისტოფანე გამოჰყოფდა სიტყვების ორ ჯგუფს: ნაცნობი παλαιῶν-თვის და უცნობი παλαιῶν-თვის, ანუ ახალი καισότεραι λέξεις.

აქვე არისტოფანე განიხილავს ზოგიერთი ზმნის უცნაურ ფორმებს ἐφεύρισαν καὶ ἐλέγισαν, ἔφεςυον καὶ ἔλεγυον-ის ნაცვლად. ამ ფორმებს არისტოფანე დიალექტურ ფორმებად მიიჩნევს. მას ცალკე აქვს განხილული ἄττικαὶ λέξεις (ატკური სიტყვები) და λακωνικαὶ γλῶσσαι (სპარტული გლოსები). მნიშვნელოვანი ადგილი მის ნაშრომში უკავია ὀνομαστικά-სა და ἔτυμολογία-ს. არისტოფანე სათანადოდ მსჯელობს

<sup>1</sup> ქაროსანიძე ლ., *op. cit.*, 4-5.

სიტყვების ფორმაცვალებაზე, სადაც იყენებს არისტოტელეს მიერ შემოღებულ ტერმინს  $\alpha\theta\eta\ \tau\eta\varsigma\ \lambda\acute{\epsilon}\xi\epsilon\omega\varsigma$ .<sup>1</sup>

არისტოფანე გვანვდის ცნობებს გრამატიკული ფორმების შესახებაც. მან ყურადღება მიაქცია სახელის ფორმაცვალებას ბრუნვების მიხედვით, ასევე დააფიქსირა ბრუნებისას რეგულარულად განმეორებადი მაგალითები. ამ რეგულარულობას მან ანალოგია უწოდა. ანალოგიის წესის მიხედვით არისტოფანეს დაუმუშავებია ბერძნული მორფოლოგიის საკითხები.

რაც შეეხება არისტარქოს სამოთრაკიელის მოღვაწეობას, იგი ცნობილია, უპირატესად, როგორც კრიტიკოსი, მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები: "განმარტებანი" ("Ἰππομαρτὰ"), "შესწორებანი" ("Διορθώσεις") და სხვ. მან მოგვცა სინონიმების ახსნა-განმარტება, ყურადღება მიაქცია ძველი სიტყვების მნიშვნელობების შეცვლას, არისტოფანეს მიერ შემოღებულ ფლექსიის წესებს კიდევ ერთი მიუმატა, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ არისტარქოსმა მეტყველების რვა ნაწილი გამოჰყო: სახელი ( $\delta\omicron\iota\mu\alpha$ ), ზმნა ( $\rho\acute{\eta}\mu\alpha$ ), მიმღეობა ( $\mu\epsilon\tau\omicron\chi\eta$ ), ნაცვალსახელი ( $\acute{\alpha}\nu\tau\alpha\sigma\mu\acute{\iota}\alpha$ ), ართრონი ( $\acute{\alpha}\rho\theta\omicron\iota\sigma$ ), ზმნიზედა ( $\acute{\epsilon}\pi\acute{\alpha}\rho\theta\eta\mu\alpha$ ), წინდებული ( $\pi\alpha\rho\acute{\omicron}\theta\epsilon\sigma\tau\epsilon\varsigma$ ) და კავშირი ( $\sigma\upsilon\gamma\delta\epsilon\sigma\mu\omicron\varsigma$ ).<sup>2</sup>

არისტარქოსის დროიდან ჩვენ უკვე შეგვიძლია საუბარი გრამატიკაზე ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. ამ დროს გრამატიკა გამოიყო როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა. თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს გრამატიკულმა ხელოვნებამ არისტარქოსის მოწაფის, დიონისიოს თრაკიელის ნაშრომში "გრამატიკის ხელოვნება" მიაღწია, რომელიც მთლიანადაა შემორჩენილი. დიონისიოს თრაკიელის ამ პატარა მოცულობის თხზულებამ არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა. "Τέχνη γραμματικῆ" ითარგმნა მრავალენაზე, დაინერა კომენტარები, ანუ სქოლიოები. გვიან ანტიკურ პერიოდში კრიტიკოსები უარყოფდნენ დიონისიოს თრაკიე-

<sup>1</sup> Pfeifer R., op. cit., 199-202.

<sup>2</sup> Pfeifer R., op. cit., 229.

ლის ავტორრობას და ამ წიგნს შემდეგი დროის კომპილატორს მიაწერდნენ.

დიონისიოსი დაიბადა ალექსანდრიაში; თრაკიელი მას ეწოდა იმის გამო, რომ მამამისი, ტერესი, წარმოშობით თრაკიიდან იყო. ალექსანდრიაში განათლების მიღების შემდეგ, პოლიტიკური ვითარების გამო, დიონისიოსი გადასახლებულა როდოსზე, სადაც სკოლა დაუარსებია. მიუხედავად იმისა, რომ დიონისიოსი არისტარქოსის მოწაფე იყო, მის ნაშრომებს სტოელთა სკოლის ზეგავლენაც ეტყობა.<sup>1</sup> არისტარქოსის სკოლაში მისი მოღვაწეობის პერიოდიდან პომპროსის ტექსტის განმარტებების მცირე ნაწილია მოღწეული. გარდა ამ ნაშრომებისა, დიონისიოსს დაწერილი ჰქონდა სხვა ნაშრომებიც: *ὑπομνήματα* (კომენტარები) და *συσταγματικά* (სამეცნიერო ტრაქტატები).

"გრამატიკის ხელოვნება" სულ 20 თავს მოიცავს. ძირითადი საკითხები, რომლებსაც ეხება დიონისიოს თრაკიელი, შემდეგია: ა) გრამატიკის მიზანი და ამოცანები; ბ) ფონეტიკური საკითხები: ბგერები, მარცვლები, მახვილი; გ) მეტყველების ნაწილები. დიონისიოს თრაკიელის გრამატიკა კომპოზიციურად ცხრა ნაწილად იყოფა: პირველში განსაზღვრულია გრამატიკის მიზანი და ამოცანები (*Περὶ γραμματικῆς*), მეორე ნაწილი სახელსა და მის კატეგორიებს ეხება (*Περὶ ὀνόματος*), მესამე ნაწილშია განხილული ზმნა (*Περὶ ῥήματος*), მეოთხეში მიმღეობა (*Περὶ μετοχῆς*), მეხუთე ნაწილი ართრონს ეხება (*Περὶ ἄρθρου*), მეექვსე – ნაცვალსახელს (*Περὶ ἄντωνυμίας*), მეშვიდე ნაწილში წინდებულია განხილული (*Περὶ προθέσεως*), მერვე ნაწილი ზმნიზედას ეხება (*Περὶ ἐπιρρήματος*), მეცხრე – კავშირს (*Περὶ συσδέσμου*).<sup>2</sup>

წიგნი იწყება გრამატიკის დეფინიციით:

<sup>1</sup> Σαρκιάς Ζ., *Ἡ γραμματικὴ τοῦ Διονυσίου τοῦ Θρακῆς*, *Ἱστορία τῆς Ἑλληνικῆς γλώσσας*, ἐπιμέλεια τοῦ Κοπιδάκη Η., Ἑλληνικὸ λογοτεχνικὸ καὶ ἱστορικὸ ἀρχεῖο, Ἀθῆνα 1999, 122-123.

<sup>2</sup> ქაროსანიძე ლ., *op. cit.*, 8.

Γραμματική ἐστὶν ἐμπειρία τῶν παρὰ ποιητᾶς τε καὶ συγγραφεύσιν ὡς ἐπὶ τὸ πολὺ λεγομένων.

"გრამატიკა არის გამოცდილებითი ცოდნა (ემპირია) პოეტებისა და პროზაიკოსების ჩვეულებრივ გამონათქვამთა შესახებ".<sup>1</sup>

დიონისიოსი განასხვავებს ორ გრამატიკას: მცირეს (μικρά), რომელიც წერა-კითხვის სწავლებას მოიცავს და უმაღლესს (μεγάλη):

μεγάλην δὲ γραμματικὴν λέγουσι τὴν καταγινωμένην περὶ τὴν ἐμπειρίαν τῶν ποιητῶν.<sup>2</sup>

"უმაღლეს გრამატიკას პოეტების გამოცდილებითი ცოდნა ეწოდება".

გრამატიკა, დიონისიოს თქმით, ექვსი ნაწილისაგან შედგება:

ἀνάγνωσις – ხმამალალი კითხვა

ἐξήγησις – პოეტური ტროპების ახსნა

γλῶσσαι – მოძველებული სიტყვების გადმოცემა, მათი ისტორია

ἐτυμολογία – ეტიმოლოგიების დადგენა

ἀναλογίας ἐκλογισμὸς – ანალოგიის დადგენა

κρίσις ποιημάτων – ლიტერატურული კრიტიკა

პირველი ნაწილი მოიცავს ენის ფონოლოგიურ სისტემას. იწყება იგი ანბანის ბგერებით (στοιχεῖα) და მათი დაყოფით: ხმოვნებად (φωνήεντα), დიფთონგებად (δίφθογγοι) და თანხმოვნებად (σύμφωνα); თანხმოვნებში გამოიყოფა ნახევარხმოვნები (ἡμίφωνα), მაგალითად, ζ, ξ, ψ, λ, μ, ν, ρ, σ და უხმო თანხმოვნები (ἄφωνα), მაგალითად, β, γ, δ, κ, π, τ, θ, φ, χ. გარდა ამისა, გამოყოფილია მკვეთრი (ψιλὰ), მაგალითად, κ, π, τ; ფშვინვიერი (δασέα), მაგალითად, θ, φ, χ; და შუალედური (μέσα), მაგალითად, β, γ, δ თანხმოვნები. შემდეგ განხილულია გრძელი და მოკლე მარცვალი.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ქაროსანიძე ლ., op. cit., 91.

<sup>2</sup> Pfeifer R., op. cit., 268.

<sup>3</sup> ქაროსანიძე ლ., op. cit., 94-97.



შემდეგ მოცემულია მეტყველების ნაწილების სრული სქემა. ესენია: სახელი (ὄνομα), ზმნა (ῥήμα), მიმღეობა (μετοχή), ართრონი (ἄρθρον), ნაცვალსახელი (ἀντωνυμία), წინდებული (πρόθεσις), ზმნიზედა (ἐπίρρημα) და კავშირი (σύνδεσμος). მეტყველების ნაწილების აღსანიშნავად დიონისიოსი იყენებს ტერმინს სიტყვის ნაწილი (μέρη τοῦ λόγου).

დიონისიოსს თრაკიელის გრამატიკაში ყურადღება გამახვილებულია სახელისა და ზმნის გრამატიკულ კატეგორიებზე, რომელთაც იგი მდევრებს (παρὰπόμενον) უწოდებს. ასე, მაგალითად, სახელს, რომელიც წინადადების ბრუნებადი ნაწილია (μέρος λόγου πτωτικόν) ხუთი მდევარი აქვს: სქესი (γένος), სახე (εἶδος), ნაკვეთი (σχήμα), რიცხვი (ἀριθμός), ბრუნვა (πτῶσις). ამათგან სქესი სამია: მამრობითი (ἀρσενικόν), მდედრობითი (θηλυκόν) და საშუალო (οὐδέτερον); სახე ორი: პირველადი (πρωτότυπον) და ნაწარმოები (παράγωγον); ნაკვეთი სამი: მარტივი (ἄπλονον), რთული (σύνθετον) და რთულისაგან ნაწარმოები (παρασύνθετον); რიცხვიც სამია: მხოლობითი (ἑνικός), ორობითი (δυσικός) და მრავლობითი (πληθυντικός); ხოლო ბრუნვა ხუთია: წრფელობითი (ἄρθρη), ნათესაობითი (γενική), მიცემითი (δοτική), ბრალდებითი (ἀιτιατική) და წოდებითი (κλητική).<sup>1</sup> სახელს უკავშირდება აგრეთვე საკუთარი, საზოგადო, ზედსართავი და სხვ. სახელები, რომლებიც განხილულია როგორც სახელის ნაწილი და არა როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი.

ზმნას რვა მდევარი აქვს: კილო (ἔγκλισις), გვარი (διαθέσις), სახე (εἶδη), ნაკვეთი (σχήματα), რიცხვი (ἀριθμοί), პირი (πρόσωπα), დრო (χρόνοι), უღლება (συνγία). ამათგან კილო ხუთია: განსაზღვრებითი (ὀριστική), ბრძანებითი (προστακτική), ნატვრითი (ἐνκτική), პირობითი (ὑποτακτική) და განუსაზღვრელობითი (ἀπαρέμφατος); გვარი სამია: მოქმედება (ἑνέργεια), ვნება (πάθος) და საშუალო (μεσότης); სახე, ისევე როგორც სახელში, ორია: პირველადი (πρωτότυπον) და

<sup>1</sup> ქაროსანიძე ლ., op. cit., 98-106.

ნაწარმოები (παράγωγος); ნაკვეთი – სამი: მარტივი (ἀπλῶς), რთული (σύνθετος) და რთულისაგან ნაწარმოები (παρασύνθετος); რიცხვი სამია: მხოლობითი (ἑνικός), ორობითი (δυσικός) და მრავლობითი (πληθυντικός); პირი – სამი: პირველი (πρῶτος), მეორე (δεύτερος) და მესამე (τρίτος); დრო სამია: ახლანდელი (ἔνεστώς), წარსული (παρελθυσμός) და მომავალი (μέλλων).<sup>1</sup>

დიონისიოს თრაკიელის ნაშრომი არის პირველი მწყობრივ გრამატიკული სისტემა, რომელიც, რა თქმა უნდა, წინამორბედთა ნააზრევის შეჯამებას წარმოადგენს, მაგრამ მთელი გრამატიკული მასალა პირველად სწორედ მის გრამატიკაშია თავმოყრილი. დიონისიოს თრაკიელის გრამატიკით, ფაქტობრივად, იწყება გრამატიკული მეცნიერების ისტორია. მისი ძირითადი ენობრივი დაკვირვებები სქემის სახით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

---

<sup>1</sup> ქაროსანიძე ლ., *op. cit.*, 106-107.

დიონისოს თრაკიელის გრამატიკა

ბგერა / შთიქენა		ფონეტიკა		მარცვალ სუსაქენი		
		თანხმოვნები შუქქაქა	უხმო ძქაქა	გრძელ- ლი ქაქაძ	მოკლე ქქაქენა	საზიარო კიუსი
ხმოვნები ქაქაქენა	თანხმოვნები შუქქაქა	ნახევარ- ხმოვანი ქქაქაქა	უხმო ძქაქა	გრძელ- ლი ქაქაძ	მოკლე ქქაქენა	სვენეაგე ნეაქაგე
						სვენეაგეგელ სქა რენეაგე რენეაგე ნეაქაგე
						თანხმოვნები სვენეაგე
ხმოვნები ქაქაქენა	თანხმოვნები შუქქაქა	ნახევარ- ხმოვანი ქქაქაქა	უხმო ძქაქა	გრძელ- ლი ქაქაძ	მოკლე ქქაქენა	სვენეაგეგელ სქა რენეაგე რენეაგე ნეაქაგე თბენეაგე
						(ვ) თბენეაგეგელ
						(ვ) თბენეაგე
ხმოვნები ქაქაქენა	თანხმოვნები შუქქაქა	ნახევარ- ხმოვანი ქქაქაქა	უხმო ძქაქა	გრძელ- ლი ქაქაძ	მოკლე ქქაქენა	ბ, γ, δ
						χ, φ, θ
						κ, π, τ
ხმოვნები ქაქაქენა	თანხმოვნები შუქქაქა	ნახევარ- ხმოვანი ქქაქაქა	უხმო ძქაქა	გრძელ- ლი ქაქაძ	მოკლე ქქაქენა	σ
						ρ, η, ι, υ
						ψ, ξ, ζ
ხმოვნები ქაქაქენა	თანხმოვნები შუქქაქა	ნახევარ- ხმოვანი ქქაქაქა	უხმო ძქაქა	გრძელ- ლი ქაქაძ	მოკლე ქქაქენა	ι σ ' ι σ ' ι σ ' ι σ ' ι σ ' ι σ
						ρ, γ
						σ, σ, η, ε, θ
ხმოვნები ქაქაქენა	თანხმოვნები შუქქაქა	ნახევარ- ხმოვანი ქქაქაქა	უხმო ძქაქა	გრძელ- ლი ქაქაძ	მოკლე ქქაქენა	ρ, γ, θ
						σ, ε
						σ, η

მორფოლოგია

მეტყველების ნაწილები / μέρη τῆς γλώσσῃς

სახელი / ὄνομα

გრამატიკული კატეგორიები

		სომეხი / სუმეჩი
		თსიქქაჟ / ონცუცეც
		სომეხი / სანცინცეც
		თქიოთქი / სანცეცეცეცეც
		ოცეცეც / სეცეცეც
		ქოთქი / ოცანცეც
		თსიქ / ოცეც
სახელი / ὄνομα	ბრუნვა πάρσις	ქათქა / სთცინცეც
		სათსათქი / სთცინცეცეც
		ქათსეც / სთცეცეც
		ქათქეც / სთცეცეცეც
		ქეცეც / სთცეცანცეც
	რიცხვი ἀριθμός	სეცათსეცეც / სთცეცანცეც
		სეცეცეც / სთცეცეც
		სეცათქი / სთცეცანცეც
	ნაკვეთი σχῆμα	ოცეცეცეცეცეც / სეცეცეცეცეც
		ოცეცეცეც / სანცეც
		ოცეცეც / სეცეცეც
	სახე είδος	ოცეცეცეცეც / სეცეცეცეცეც
ოცათსათქი / სანცეცეცეც		
სქესი γένος	ოცეცეცეცეც / სანცეცეც	
	ოცათქი / სთცეცეცეც	
	ოცათსათქი / სთცეცეცეც	

<p>მორფოლოგია</p> <p>ზმნა / ბრუნა</p>		უღლება	სუცა
		დრო	χρόνος
<p>გრამატიკული კატეგორიები</p>		პირი	πρόσωπα
		რიცხვი	ἀριθμός
<p>სახე</p>		სახელი	ὄνομα
		სახე	εἶδος
<p>ბეჭდის</p>		ბეჭდის	μορφή
		ბეჭდის	εἶδος
<p>კლასი</p>		კლასი	ἴδιον
		კლასი	ἴδιον
		კლასი	ἴδιον
		კლასი	ἴδιον
		კლასი	ἴδιον

ბრუნვათა საკითხი ანტიკური ეპოქის გრამატიკოსებთან

ბერძნული ენის ბრუნების სისტემის განვითარების წარმოჩენა, რა თქმა უნდა, ანტიკური ეპოქიდან უნდა დავიწყოთ. მართალია, ანტიკურ პერიოდში ჯერ კიდევ არ არის საუბარი საკუთრივ ბრუნების სისტემასა და მის ტიპებზე, მაგრამ უკვე ვხვდებით ბრუნვათა მიხედვით სახელთა ფორმაცვალების სისტემატიზაციის ტენდენციას.

ძვ. წ. ა. IV საუკუნემდე არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ბრუნების სისტემის კლასიფიკაციის შესახებ. რ. პფაიფერის ცნობით, ზოგიერთი მეცნიერი ბრუნვების გრამატიკული სისტემის ჩამოყალიბებას შეცდომით ძვ. წ. ა. VI საუკუნის იონიელ გრამატიკოსებს მიაწერს. "ამ უცნაურ აზრს დიდად ყურადღებას არ მიაქცევდნენ ე. შვიცერს რომ არ შემოეთავაზებინა ყოველგვარი დახასიათების გარეშე თავის წიგნში "ბერძნული გრამატიკა" ("Griechische Grammatik")".<sup>1</sup> პეროდიანოსის რიტორიკულ წიგნში "ფორმების შესახებ" ("Περὶ σχημάτων") მოცემულია ანაკრეონის სამი სტრიქონი, რომლებიც განხილულია, როგორც ποσπτατου-ის (ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ბრუნვაში გამოყენების) პირველი მაგალითი.

"კლეუბულოსის ვარ მოყვარული,

კლეუბულოსს ვყვარ შეშლილი,

კლეუბულოსი მინდა ვიხილო".<sup>2</sup>

Κλευβούλου μὲν ἔγαγ' ἔρῶ,

Κλευβούλω δ' ἐπιμαίνομαι,

Κλεῦβουλον δὲ διοσκέω".<sup>3</sup>

<sup>1</sup> Pfeifer R., op. cit., 12.

<sup>2</sup> გორდეზიანი რ., ბერძნული ცივილიზაცია, ნაკვეთი I, "მერანი", თბილისი 1988, 224. მოგვყავს რ. გორდეზიანის თარგმანი, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს დედანში ბრუნვების მიხედვით სახელის ცვლას.

<sup>3</sup> Anacreon, book I, fragm. 3., LYRA GRAECA, edited and translated by J. M. Edmunds, in three volumes, Volume II, Harvard University Press, Cambridge MCMLVIII, 139.

აქ კლეუბულოსის სახელი მოცემულია სამ ბრუნვაში: გენეტიკში, დატივისა და აკუზატიკში. ამ ფრაგმენტის საფუძველზე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ VI საუკუნის იონიელ გრამატიკოსებს შემუშავებული ჰქონდათ სამბრუნვიანი სისტემა, რომელსაც ანაკრეონი იყენებს.

ჩვენთვის საინტერესო პასაჟი ჰეროდოანოსის ნაშრომში "ფორმების შესახებ" πολύπτωτον-ის დეფინიციით იწყება: "როცა ან ნაცვალსახელები ან სახელები ყველა ბრუნვაში იცვლება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია მეტყველება, როგორც კლეოქაროსმა ახსენა" (ὅταν ἦται τὰς ἀντιστοιμασίας ἢ τὰ ὀνόματα εἰς πάσας τὰς πτώσεις μεταβάλλουτες διατιθόμεθα τὸν λόγον ἄς παρὰ Κλεοχάρει).<sup>2</sup> შემდეგ საუბარია იმაზე, რომ კლეოქაროსი დემოსთენეს სახელს ხუთ ბრუნვაში, ხოლო არქილოქოსი ლეოფილუს სახელს ოთხ ბრუნვაში იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ხელნაწერში ლეოფილუს სახელი სხვადასხვანაირად იკითხება, ის ყველგან ჩნდება ოთხ ბრუნვაში, შემდეგი დაბოლოებებით: -ος, -ου, -α, -ου. აქვე ჰეროდოანოსი შეგვახსენებს, რომ ანაკრეონს მხოლოდ სამ ბრუნვაში აქვს გამოყენებული კლეუბულოსის სახელი. რა თქმა უნდა, მხოლოდ ლირიკოსებთან დადასტურებული მაგალითების საფუძველზე არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ბრუნვათა სისტემის არსებობაზე.

როგორც ვიცით, პლატონი იყო პირველი, ვინც მეტ-ნაკლებად მწყობრი სახით გადმოგვცა მის გარემომცველ საზოგადოებაში გაბატონებული ლინგვისტური თეორიები, რომლებიც შემდგომ ეპოქაში ენათმეცნიერებისა და ენის ფილოსოფიის საფუძვლად იქცა. მაგრამ პლატონის "კრატილოსში" ("Κρατύλος") არაფერია ნათქვამი სახელთა ბრუნებისა და ბრუნვათა სისტემის შესახებ.

არისტოტელე ბრუნვას მეტყველების ნაწილებთან აერთიანებს, და არა მხოლოდ სახელს, არამედ ზმნასაც უკავშირებს:

<sup>1</sup> მოგვყავს ჩვენული თარგმანი.

<sup>2</sup> Pfeifer R., op. cit., 13.

"მთხვევა (πᾶσις) აქვს სახელს და ზმნას: სახელში მთხვევა აღნიშნავს ან ისეთს მიმართებას, როგორცაა "ამისა", "ამას" და სხვა მსგავსი რამ, ან მხოლოდითისა და მრავლობითის მიმართებას, როგორცაა "კაცები" და "კაცი"; ზმნაში კი მთხვევა აღნიშნავს თქმის მოდალობას, მაგალითად, შეკითხვას ან ბრძანებას ἄρ' ἐβᾶνδ'ε; (განა გაიარა?) ან βᾶνδ'ε (იარე) არის თქმის ფორმების მიხედვით ზმნის მთხვევა".<sup>1</sup>

πᾶσις δ' ἔστιν ὀνόματος ἢ ῥήματος ἢ μὲν κατὰ τὸ τοῦτου ἢ τοῦτῃ σημαῖνον καὶ ὅσα τοιαῦτα, ἢ δὲ κατὰ τὸ ἐνὶ ἢ πολλοῖς, οἷον ἄσθραποι ἢ ἄσθραπος, ἢ δὲ κατὰ τὰ ὑποκριτικά, οἷον κατ' ἐρώτησιν ἢ ἐπίταξιν· τὸ γὰρ ἐβᾶνδ'ε; ἢ βᾶνδ'ε πᾶσις ῥήματος κατὰ ταῦτα τὰ εἶδη ἔστιν (1457a 20).<sup>2</sup>

თვით ტერმინი πᾶσις პირველად სწორედ არისტოტელესთან გვხვდება. ა. გუდემანი აღნიშნავს, რომ πᾶσις, როგორც ტერმინი, მანამდე არ დასტურდება. მისივე დასკვნით, არისტოტელესთან ამ ტერმინს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შემდგომში. πᾶσις არისტოტელესთან არის სიტყვის ყველა ის ფორმა, რომელიც გადახრილია "ნორმალური" (საწყისი) ფორმისაგან. ეს ეხება მეტყველების თითქმის ყველა ნაწილს.<sup>3</sup> მაგრამ არისტოტელე ჯერ კიდევ არ მსჯელობს სახელის ცალკეულ ბრუნვებსა და ბრუნების ტიპების კლასიფიკაციაზე.

სტოელებთან πᾶσις გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც დამახასიათებელია მეტყველების ნაწილთაგან მხოლოდ სახ-

<sup>1</sup> არისტოტელე, op. cit., 187. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბ-ნ სერგი დანელიას მიერ შესრულებული "პოეტიკის" ქართული თარგმანი ცხადყოფს, რომ ფილოსოფოსის აღქმა და ხელწერა ტერმინთა შერჩევისას განსხვავებულია იმისაგან, როგორც დღეს შეიძლება თარგმნილიყო. ნ. მახარაძის მითითებით, აქაც გვაქვს რიგი უზუსტობები, კერძოდ πᾶσις – "მთხვევა" "ბრუნვის" მაგივრად, ἢ δὲ κατὰ τὰ ὑποκριτικά "თქმის მოდალობა" და არა "წარმოთქმის მიხედვით".

<sup>2</sup> Ἀριστοτέλης, Περὶ Ποιητικῆς.

<sup>3</sup> Gudeman A., Grundriss der Geschichte der klassischen Philologie, Druck und Verlag von Teubner B. G., Leipzig und Berlin 1909, 190.



ელებისთვის, ნაცვალსახელისა და ართრონისათვის. ე. ი. ამ ტერმინს მათ მისცეს ის მნიშვნელობა, რომელიც დღესაც აქვს. სტოელები ოთხ, შესაძლოა, ხუთ ბრუნვას გამოყოფდნენ. ცნობილია, რომ ქრისტიანობის ერთ ნაშრომს ერქვა "ხუთი ბრუნვის შესახებ". ხუთწევრიანი ბრუნვათა სისტემა შედგებოდა "პირდაპირი ბრუნვისა" (ὀρθή πᾶσις) და ოთხი "ირიბი ბრუნვისაგან" (πλαγυαί πᾶσις). პირდაპირ ბრუნვას სახელობითი (ὀνομαστικὴ πᾶσις) ერქვა. ირიბ ბრუნვათაგან სამის სახელწოდებას დიოგენე ლაერტელი გვანვდის. ესენია: ნათესაობითი ბრუნვა (γενικὴ πᾶσις), მიცემითი ბრუნვა (δοτικὴ πᾶσις) და მიზეზობითი ბრუნვა (αἰτιατικὴ πᾶσις). ჰქონდათ თუ არა გამოყოფილი მეხუთე ბრუნვა სტოელებს, იმ მასალების მიხედვით, რომლებიც თანამედროვე მეცნიერებას გააჩნია მათ შესახებ, მკაფიოდ არ ჩანს.<sup>1</sup>

გერმანელი მეცნიერი ჰ. შტაინთალი ამტკიცებს, რომ არ შეიძლება სტოელებს მეხუთე ბრუნვად წოდებითი ჰქონოდათ, რადგან ისინი წოდებითის ფორმას ცალკე განიხილავდნენ, როგორც მიმართვასო (προσαγορευτικὸς).<sup>2</sup>

სტოელებმა სახელობითი ბრუნვად ჩათვალეს, მანამდე კი იგი ცალკე მეტყველების ნაწილად – სახელად ითვლებოდა. ამის შესახებ დიდი დავა იყო პერიპატეტიკოსებსა (არისტოტელეს მიმდევრებს) და სტოელებს შორის. ამონიუსი გადმოგვცემს:

"პერიპატეტიკოსები ეუბნებიან სტოელებს, რომ სხვა ბრუნვებს ჩვენ მართებულად ვუწოდებთ ბრუნვებს, რადგანაც ისინი პირდაპირი ბრუნვიდან დავარდა; მაგრამ რა საფუძველზე შეიძლება ვუწოდოთ პირდაპირს ბრუნვა, თითქოსდა საიდანღაც დავარდა?..

სტოელები პასუხობენ, რომ ეს ბრუნვაც დავარდა სულიერი წარმოდგენიდან: გვინდა რა გამოვხატოთ ჩვენი წარმოდგენა სოკრატეს შესახებ, ჩვენ ვამბობთ მის სახელს – სოკრატე. და

<sup>1</sup> ქაროსანიძე ლ., op. cit., 17.

<sup>2</sup> ქაროსანიძე ლ., op. cit., 18.

როგორც ზევიდან გაშვებულ და ვერტიკალურად მიწაში ჩარჭობილ გრიფელზე ამბობენ, რომ იგი დავარდა და ჰქონდა პირდაპირი მთხვევა, ამგვარად, ჩვენ ვთვლით, პირდაპირი (ბრუნვა) დავარდა წარმოდგენიდან და არის პირდაპირი, როგორც ბგერების საშუალებით გამოხატული პირველი სახე.

მაგრამ, თუ ასე ვიმსჯელებთ, საუბრობენ პერიპატეტიკოსები, თქვენ დაშვებულად მიგაჩნიათ საუბარი პირდაპირ ბრუნვაზე, მაშინ ბრუნვები უნდა ჰქონდეს ზმნებსაც და ზმნიზედებსაც, რომელთაც საერთოდ არ ახასიათებს ბრუნება; ეს კი აშკარად ეწინააღმდეგება თქვენს სწავლებას".<sup>1</sup>

ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელთა შორის საინტერესოა არისტოფანე ბიზანტიონელის ცნობები ბრუნვების შესახებ. მის ნაშრომებში მხოლოდ ერთგან ვხვდებით მითითებას გრამატიკულ კატეგორიებზე. აქ განხილულია ბრუნვების განმეორებადი მაგალითები და ფლექსიის რამდენიმე რეგულარული წესი. ამ რეგულარულ განმეორებას იგი ანომალიას უწოდებს. დონატუსი წერს:

"ამას (ე. ი. ანალოგიას) არისტოფანე ხუთ წესს ანიჭებს, ან სხვების აზრით – ექვსს. პირველი სქესი უნდა იყოს, მეორე – ბრუნვა, შემდეგ – დაბოლოება, მეოთხე – მარცვალი, შემდეგ კი – მახვილი".<sup>2</sup>

huic (sc. analogiae) Aristophanes quinque rationes dedit vel, ut alii putant, sex; primo ut eiusedmsint generis, dein casus tum exitus, quarto numeri syllabarum, item soni.<sup>3</sup>

სამწუხაროდ, ამ მწირი ინფორმაციის გარდა სხვა ცნობები ბრუნვების შესახებ არისტოფანე ბიზანტიონელთან არ მოგვეპოვება. შემდგომში არისტარქოს სამოთრაკიელი იმეორებს

<sup>1</sup> Амониус, Комментарий к "об Истолковании" Аристотеля 2, 5, в кн.: Античные теории языка и стиля, 70-71. ამონიუსის, დიომედეს, დიონისიოს თრაკიელის სქოლიოდან მოცემული ფრაგმენტები მოგვყავს შემდეგი გამოცემის მიხედვით: Античные теории языка и стиля, под редакцией Фрейденберг О., ОГИЗ, Государственное социально-экономическое издательство, Москва-Ленинград 1939.

<sup>2</sup> მოგვყავს ჩვენული თარგმანი.

<sup>3</sup> Pfeifer R., op. cit., 202.

არისტოფანეს მიერ შემოღებულ ფლექსიის წესებს და უმატებს კიდევ ერთს:

"მეექვსე, არისტარქოსმა, მისმა მონაფემ დაუმატა, რათა არ გამოვიყენოთ მარტივი კომპოზიტები".<sup>1</sup>

sextum Aristarchus, discipulus eius, illud addidit ne unquam simplicia compositis aptemus.<sup>2</sup>

საკუთრივ ბრუნებაზე დონატუსი არ მსჯელობს.

ვინაიდან ალექსანდრიელ ფილოლოგთა შრომებს ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევიათ, ამიტომ ვერ ვიმსჯელებთ მათ მოსაზრებებზე ბრუნების სისტემის შესახებ. დღემდე შემორჩენილი მწირი ფრაგმენტები ამის საშუალებას არ იძლევა.

ალექსანდრიელი სწავლულები ტერმინს ΠΑΨΩΣ შემდეგნაირად განმარტავენ:

დიომედე: "ბრუნვა არის ბრუნების გარკვეული საფეხური. მას ბრუნვა (მთხვევა) ეწოდება იმიტომ, რომ სახელთა უმრავლესობა იცვლება ბრუნვათა მიხედვით და ვარდება თავისი პირველადი მდგომარეობიდან".

დიონისიოს თრაკიელის სქოლიოდან: "ბრუნვა ბრუნებადი სიტყვის ფორმაცვალებაა, რომელიც ბოლო მარცვლის (სხვადასხვა მიმართულებით) ცვლილებით ხდება".<sup>3</sup>

ბრუნვებზე უფრო დაწვრილებით მსჯელობა დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის მიხედვით შეგვიძლია. მის "გრამატიკის ხელოვნებაში" მოცემულ მეტყველების ნაწილთა შორის განხილულია სახელი, რომელიც წინადადების ბრუნებადი ნაწილია და რომელსაც ხუთი კატეგორია აქვს: სქესი (γένος), სახე (ἔινδος), ნაკვეთი (σχημα), რიცხვი (ἀριθμός), ბრუნვა (ΠαΨωσ). დიონისიოსმა სტოელებისაგან აიღო ბრუნვათა სახელწოდებები, ბრუნვათა სისტემა, მაგრამ აქ არ ჩანს "პირდაპირი" და "ირიბი" ბრუნვები.

<sup>1</sup> მოგვყავს ჩვენეული თარგმანი.

<sup>2</sup> Pfeifer R., op. cit., 202.

<sup>3</sup> Схолий к Дионисию Фракийцу 12, в кн.: Античные теории языка и стиля, 124-125.

დიონისიოსს ჩამოთვლილი აქვს ხუთი ბრუნვა, თან თითოეული ბრუნვისათვის რამდენიმე სახელი აქვს მითითებული.

"სახელების ბრუნვა არის ხუთი: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მიზეზობითი, წოდებითი, წრფელობითს სახელობითსა და ადვილობითსაც უწოდებენ, ნათესაობითს – კუთვნილებითსა და ჩამომავლობითს, მიცემითს – მიმართულებითს, მიზეზობითს – მიზეზის თანახმად უწოდებენ, წოდებითზე მიმართვითსაც იტყვიან".

Πῶσαις ὀνομάτων εἰσὶ πέντε ὀρθή, γενική, δοτική, αἰτιατική, κλητική. Λέγεται δὲ ἡ μὲν ὀρθή ὀνομαστική καὶ εὐθεία, ἡ δὲ γενική κτητική τὲ καὶ πατρική, ἡ δὲ δοτικὴ ἐπισταλτική, ἡ δὲ αἰτιατικὴ κατ' αἰτιατικῆν, ἡ δὲ κλητικὴ προσαγορευτική.<sup>1</sup>

დიონისიოსს თრაკიელის "გრამატიკის ხელოვნების" ("Τέχνη γραμματική") იმ ადგილის კომენტირებისას, რომელიც ბრუნვებს ეხება, სქოლიასტები, ძირითადად, ბრუნვების სახელებზე მსჯელობენ და მათ ეტიმოლოგიას გვანვდიან.

ἐπιθεῖα ტერმინზე მსჯელობისას სქოლიასტი სტეფანოსი აღნიშნავს, რომ იგი წარმომდგარია სიტყვისაგან ἐπιθήματος, თან ἐπιθεῖα პირველი ბრუნვაა იმიტომ, რომ იგი წრფელად (ὀρθή) აღნიშნავს სახელს. ამ ბრუნვაში სახელი განუვრცობელია.

ἐπιθεῖα პირველი ბრუნვაა იმიტომ, რომ მას გრამატიკული ფორმა არ გააჩნია, ხოლო მისგან ნაწარმოებ მომდევნო ბრუნვას გრამატიკული ფორმა აქვს, – მსჯელობს ჰელიოდოროსი.

იგივე ჰელიოდოროსი ამბობს, რომ γενική ჰქვია იმიტომ, რომ იგი წარმომშობია, დედაა ირიბი ბრუნვების – ὅτι γένεσις ἐστὶ ταῖς ἀλλαῖς πῶσαις καὶ τῶν λοιπῶν πλαγίαν μήτηρ.<sup>2</sup>

მესამე ბრუნვის სახელწოდება "მიცემა" ზმნასთან არის დაკავშირებული. დიონისიოსს თრაკიელის კომენტატორთა განმარტებებში ასეთ ახსნას ვპოულობთ: δοτικὴ წარმომდგარია

<sup>1</sup> ქაროსანიძე ლ., op. cit., 102.

<sup>2</sup> ქაროსანიძე ლ., op. cit., 32.

ბრუნვის წინადადებაში ტყუილად მიყვებით ბრუნვაშია.

სხვადასხვა მოსაზრება არსებობს ატიაციურ ბრუნვის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ. ტერმინს ატიაციურ უკავშირებენ, ერთი მხრივ, ზმნას ატიაციამ (ბრალდება) ან სახელს ატიონ (ბრალი), ხოლო, მეორე მხრივ, ატიაციონ (მიზეზი). თანამედროვე მეცნიერებაში უფრო მიღებული თვალსაზრისით, ატიაციურ უნდა დაუკავშირდეს სიტყვას ატიაციონ (მიზეზი). ა. გუდემანი თავის ნაშრომში "კლასიკური ფილოლოგიის ისტორიის საფუძვლები" ("Grundriss der Geschichte der klassischen Philologie") ბერძნულ და ლათინურ ტერმინთა ისტორიას გადმოგვცემს და ბერძნულ ტერმინთა ლათინურ შესატყვისობებზე მსჯელობს. იგი მიუთითებს ატიაციურ ბრუნვის ლათინურ თარგმანზე accusativus, რომ იგი მცდარია და უნდა იყოს causativus, რომელიც ასევე გამოიყენება.<sup>1</sup> ამავე აზრისაა რ. პფაიფერი. იგი მიუთითებს, რომ ბრუნვის სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს მის ფუნქციას. სახელი წარმოდგება სიტყვიდან ატიაციონ, რაც მიზეზს ნიშნავს, ამგვარად, იგი შეეფერება ბრუნვას, რომელიც მოქმედების მიზეზს აღნიშნავს.<sup>2</sup>

კლაციურ-ს სხვაგვარად მიმართებითაც უნოდებენ.

ა. გუდემანს პარალელურად აქვს მოცემული ბრუნვათა ბერძნული და ლათინური სახელწოდებები. ლათინურ ტერმინებში ბოლოს ნახსენებია მეექვსე ბრუნვა ablativus, რომელსაც ავტორი საკუთრივ ლათინურ ბრუნვას (latinus casus) უნოდებს. აქვე მოცემულია მ. ვაროს განმარტება: "რომელიც ლათინური ენის საკუთრებაა" (quia Latinae linguae proprius est).<sup>3</sup> თუმცა აღექსანდრიელ სწავლულებს ეს ბრუნვაც ბერძნული წარმომავლობისად მიაჩნდათ. პრიციანუსის თქმით, "აბლაცივი – რომაელების საკუთარი ბრუნვაა, თუმცა, როგორც ჩანს, ისიც

<sup>1</sup> Gudeman A., op. cit., 97.

<sup>2</sup> Pfeifer R., op. cit., 244.

<sup>3</sup> Gudeman A., op. cit. 97.

უძველესი ბერძენი გრამატიკოსებისაგანაა ნასესხები, რომლებიც მეექვსე ბრუნვად ისეთ ფორმებს მიიჩნევდნენ, როგორიცაა ὀσρανόθειν (ციდან)!<sup>1</sup>

დიონისიოს თრაკიელთან სახელი წარმოდგენილია როგორც ერთი მთლიანი ერთეული. მასში არაა გამოყოფილი ფუძე და ბრუნვის ნიშნები, შესაბამისად, არც ბრუნების ტიპებზეა საუბარი.

რაც შეეხება თვითონ ტერმინ კλίσια, იგი არა მხოლოდ ბრუნებას, არამედ საერთოდ სიტყვის ფორმაცვალებას აღნიშნავს. კლίσია სიტყვათა ფლექსიურ ცვლილებას ნიშნავს ზოგადად (ბრუნებასაც და უღლებასაც). ასეა დიონისიოს თრაკიელის "გრამატიკის ხელოვნებაშიც". მეცამეტე თავში, რომელიც ზმნას ეხება, კლίσია ზმნათა მორფოლოგიურ ცვლილებას აღნიშნავს: უღლება არის ზმნათათვის დამახასიათებელი ფორმაცვალება – Συσγία ἔστιν ἀκόλουθος ῥημάτων κλίσια; ხოლო მეექვსე თავში, რომელიც ბერძნული ბგერების შესახებაა, ბგერათა გარკვეულ ჯგუფზე მსჯელობისას წერია: არ იცვლებიან სახელთა ფლექსიის დროს – ὅτι οὐ μεταβάλλει ... ἐν τοῖς κλίσεισι τῶν ὀνομάτων.<sup>2</sup>

მეთექვსმეტე თავში ართრონზე საუბრისას, ავტორი აღნიშნავს, რომ იგი წინადადების ბრუნებადი ნაწილია, რომელიც ფორმაცვალებადი სახელის წინ ან შემდგომ დგას. აქაც ფორმაცვალებაში ბრუნება იგულისხმება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტერმინმა კლίσია დღემდე შეინარჩუნა თავისი ძველი მნიშვნელობა. თანამედროვე ბერძნულში იგი გამოიყენება როგორც ბრუნების, ისე უღლების სისტემისათვის.

სამწუხაროდ, ანტიკური პერიოდიდან შემორჩენილი ფრაგმენტებისა თუ ნაშრომების საფუძველზე, ჯერ კიდევ ვერ ვისაუბრებთ საკუთრივ ბრუნების სისტემაზე თუ ბრუნების სისტემის ტიპებზე. მაგრამ აქ უკვე ჩანს დაინტერესება ისეთი გრამა-

<sup>1</sup> Присциан, V, 75, в кн.: Античные теории языка и стиля, 124.

<sup>2</sup> ქაროსანიძე ლ., *op. cit.*, 38.

ტიკული საკითხით, როგორც ბრუნებაა. ანტიკური ეპოქის გრამატიკოსებთან ძირითადი აქცენტი გადატანილია საკუთრივ ბრუნვებზე და არა ბრუნების ტიპებზე. კერძოდ, ისინი, ყურადღებას ამახვილებენ, ძირითადად, შემდეგ საკითხებზე:

- ბრუნვის არსი – რა უნდა ჩაითვალოს ბრუნვად;
- მეტყველების რა ნაწილებს აქვთ ბრუნვები;
- ბრუნვების რაოდენობა;
- ბრუნვების სახელწოდებები.

მხოლოდ ერთგან, არისტოფანე ბიზანტიონელთან ვხვდებით ინფორმაციას ბრუნების შესახებ. მეცნიერებაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ არისტოფანეს ანალოგიის წესის მიხედვით დაუმუშავებია ბერძნული მორფოლოგიის საკითხები და დაუდგენია კანკლედობის სახეობანი.<sup>1</sup> თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა თუ წყაროების მიხედვით ეს არ ჩანს.

---

<sup>1</sup> ყაუხჩიშვილი ს., *op. cit.*, 245-246.

ბრუნვების ისტორიისათვის

როგორც წინა თავში წარმოჩნდა, ანტიკური პერიოდის გრამატიკოსები ძირითად ყურადღებას არა ბრუნების სისტემის კლასიფიკაციას, არამედ ბრუნებსა და მათ მნიშვნელობებს უთმობენ. ამიტომ მოკლედ წარმოვადგენთ ბრუნვათა სისტემას ბერძნული ენის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე. მკვლევარნი ვარაუდობენ, რომ პროტობერძულში რვა ბრუნვა გვექონდა: სახელობითი (nominativus, ὀνομαστική), ნათესაობითი (genetivus, γενική), მიცემითი (dativus, δοτική), ბრალდებითი (accusativus, ἀιτιατική) აბლატივი (ablativus, ἀφαιρετική), ლოკატივი (locativus, τοπική), ინსტრუმენტალისი (instrumentalis, ὀργανική) და წოდებითი (vocativus, κλητική). მათგან ძველი ბერძნულის განვითარების ადრეულ ეტაპებზე დარჩა ხუთი (სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი, წოდებითი), ხოლო ახალ ბერძნულში გვაქვს ოთხი ბრუნვა (ხმარებიდან გამოვიდა მიცემითი).<sup>1</sup>

ბერძნული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება. საერთო ინდოევროპული ბრუნება კი საკმაოდ რთულ სისტემას წარმოადგენს, რადგან იგი მოიცავს სქესის, რიცხვისა და ბრუნვის კატეგორიებს. საერთო ინდოევროპულისათვის დამახასიათებელი იყო სამი სქესი: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო; სამი რიცხვი: მხოლობითი, ორობითი და მრავლობითი; რვა ბრუნვა: ნომინატივი, გენეტივი, დატივი, აკუზატივი, ინსტრუმენტალისი, ლოკატივი, აბლატივი, ვოკატივი. უძველეს ბერძნულ ტექსტებში ეს სისტემა უკვე გამარტივებული სახით გვევლინება. გამარტივების ტენდენცია საერთოდ დამახასიათებელია ენების ისტორიისათვის. უკვე თვით ინდოევროპულ ენაში გვხვდებოდა შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ფორმა

<sup>1</sup> გორდუზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., ძველი და ახალი ბერძნული (შედარებითი გრამატიკა), "ლოგოსი", თბილისი 2001, 159.



რამდენიმე ბრუნვაში გამოიყენებოდა. საერთო ინდოევროპულ ენაში, რამდენადაც შედარებითი ენათმეცნიერება მისი აღდგენის საშუალებას გვაძლევს, ათემატური ფლექსიის დროს (მე-3 ბრუნვა) გენეტივი და აბლატივი მხოლოდით რიცხვში დაემთხვა ერთმანეთს, ასე, რომ თუკი ბერძნულში ერთი და იგივე ფორმა  $\kappa\upsilon\nu\delta$  გამოიყენება, როგორც გენეტივი და აბლატივი, ამაში ახალი არაფერია!

მოკლედ წარმოვადგენთ საერთო ინდოევროპულისთვის დამახასიათებელი რვა ბრუნვის ძირითად ფუნქციებს: ნომინატივი ქვემდებარის ბრუნვა იყო, ვოკატივი მიმართვისას გამოიყენებოდა, აკუზატივი პირდაპირი დამატების ბრუნვა გახლდათ, გენეტივს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ, ძირითადად, იგი მსაზღვრელის გამოსახატავად იხმარებოდა და კუთვნილებას აღნიშნავდა. დატივი უპირატესად ირიბ დამატებას გამოხატავდა. აბლატივი ადგილის გარემოების ბრუნვა იყო და პასუხობდა კითხვაზე "საიდან?" ინსტრუმენტალისი გამოხატავდა თუ რით ხდება მოქმედება, ლოკატივი ადგილის გარემოების ბრუნვა იყო და პასუხობდა კითხვაზე "სად?" ძველი ბერძნული ენა ამ სამ უკანასკნელ ბრუნვას არ განასხვავებს, თუმცა მისი კვალი შეიმჩნევა ზმნიზედურ მანარმოებლებში.

ნახევარზმნიზედური მანარმოებლები - $\varphi$  (ინსტრუმენტალისის აღსანიშნავად), - $\theta$  (ადგილის გამოსახატავად), - $\theta\epsilon\nu$  (ათვის ნერტილის აღსანიშნავად), როგორც ჩანს, ადრე ბრუნვების ნიშნებად გამოიყენებოდა. ჰომეროსის ენაში ეს მანარმოებლები ჯერ კიდევ მრავლადაა შემორჩენილი, მაგრამ ბრუნვების სისტემის ქმედით ნაწილს უკვე არ წარმოადგენს და ენის განვითარების შემდგომ პერიოდში საერთოდ ქრება.

ამგვარად, საერთო ინდოევროპული ენიდან ძველ ბერძნულში მხოლოდ ხუთი ბრუნვა შემორჩა: ნომინატივი, გენეტივი,

<sup>1</sup> Шантрен П., Историческая морфология греческого языка, перевод Боровского Я. М., Издательство иностранной литературы, Москва 1953, 13.

დატივი, აკუზატივი, ვოკატივი.<sup>1</sup> ინსტრუმენტალისის, ლოკატივისა და აბლატივის ფუნქციები სხვა ბრუნვებს გადაეცა. უკვე აქ ჩანს სხვადასხვა ბრუნვის გაქრობის ტენდენცია, რის შედეგად ბრუნების სისტემის გამარტივება ხდება.

ცალკე არ შევჩერდებით თითოეული ბრუნვის ფუნქციებსა და მათი გამოყენების არეალზე, ვინაიდან ეს სინტაქსის საგანია და ჩვენ საკვლევ საგანს არ შეესაბამება, განვიხილავთ მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ბრუნვებისა და ბრუნების სისტემის განვითარების თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა, წარმოვადგენთ დატივის გაქრობასთან დაკავშირებულ საკითხებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დატივი ძველ ბერძნულში უპირატესად ირიბი დამატების გამოსახატავად იხმარებოდა, თუმცა მას ჰქონდა სხვა ფუნქციებიც, მაგალითად, არსებობდა "კუთვნილების", "იარალის", "მიზეზის", "მიმართების", "დროის" და აგრეთვე მიცემითი, რომელიც გამოხატავდა საგანს, რომლის სასარგებლოდ ან საზიანოდ ხდებოდა მოქმედება და სხვ.<sup>2</sup> ფუნქციების ეს მრავალფეროვნება, უპირველეს ყოვლისა, გამონვეული იყო იმით, რომ ძველი ბერძნულის დატივი შეიცავს, როგორც სუფთა მიცემითი ბრუნვის ფუნქციებს, ასევე ადგილის და იარალის (ლოკატივი და ინსტრუმენტალისი) ბრუნვებისას.

---

<sup>1</sup> ზოგი მეცნიერი ვოკატივს ბრუნვად არ მიიჩნევს. მაგალითად, ი. სტაჰატაკოსის აზრით, ვოკატივი ბრუნვა კი არ არის, არამედ განსაზღვრული წინადადებაა, რომელიც მიმართვას გამოხატავს. დანვრილებით იხ.: Σταματάκος I., Ιστορική γραμματική της Αρχαίας Ελληνικής και τα πορίσματα της συγκριτικής γλωσσολογίας, τόμος I, Εκδοτικός οίκος Πέτρου Δημητράκου, Αθήναι 1949, 104-105. ვოკატივზე დანვრილებით იხ. Τζατζάνος Α., Νεοελληνική σύνταξις (της κοινής δημοτικής), τόμος Α', Εκδοτικός Οίκος Αδελφών Κυριακίδη, Θεσσαλονίκη 1956, 52; Φλώρος Α Θ., Ιστορικό και συγκριτικό συντακτικό Αρχαίας, Νέας Ελληνικής και Λατινικής, ΗΒΟΣ εκδόσεις, Αθήνα 1988, 122-125; Schwyzer E., Griechische Grammatik, Syntax und Syntactische Stilistik, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München 1966, 59-64.

<sup>2</sup> იხ.: გორდენიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., op. cit., 166-167; Τζατζάνος Α., op. cit., 81-82.

ეს "სინკრეტიზმი", ანუ ხმარებიდან გასული ბრუნვების ფუნქციების ერთ ბრუნვაში გაერთიანება, ადის წინარეინდოევროპულ ენამდე: მას ახასიათებდა *hi* და *m* სუფიქსების შემცველი დაბოლოებები, რომელთაც არ ჰქონდათ მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობები და სტრუქტურა.<sup>1</sup> ზოგი ასეთი დაბოლოება შეიძლება გამოყენებულიყო როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვისათვის. მაგალითად, მრავლობით რიცხვში სანსკრიტს ჰქონდა Instr. - *bhiḥ* და Dat. - *bhyaḥ*, ძველ სლავურში Instr. - *mu* და Dat. - *mu*, თვით ბერძნულში თემატური სახელების ლოკატივის დაბოლოება -*oi* და ინსტრუმენტალისის -*oi*ც თანაბრად გამოიყენებოდა, იმისდა მიუხედავად, თუ რა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებდა. სხვადასხვა დიალექტმა ან ერთი ან მეორე ფორმა განაზოგადა.

მხოლობით რიცხვში ათემატური დატივის დაბოლოება *ī*, მაგალითად, სახელში *πιδί*, ადის ინდოევროპული ძველი დატივის \*-*i* (რომელსაც \*-*ei* ენაცვლება) და ლოკატივის \*-*i* დაბოლოებებამდე. მრავლობით რიცხვში ათემატური ბრუნებისას დატივის ბრუნვის ნიშნად აქვს ან -*oi* ან -*oi* დაბოლოება. ეს დაბოლოებები არ მომდინარეობს ინდოევროპულის დატივის ბრუნვის ნიშნიდან, -*oi*ც ინდოევროპულის ინსტრუმენტალისის -*ois* დაბოლოებაა, ხოლო -*oi*ც ლოკატივისა. ე. ი. დატივი ბერძნულში იყენებს დაბოლოებად ან ინსტრუმენტალისის, (მაგ.: *λύκεις*) ან ლოკატივის ბოლოკიდურს (მაგ.: *λύκοισι*).<sup>2</sup> ამგვარად, ბერძნული დატივი შეითავსებს საკუთრივ მიცემითის, ინსტრუმენტალისის და ლოკატივის ფუნქციებს. ამისდა მიხედვით გვაქვს სუფთა მიცემითი, ადგილის მიცემითი და იარაღის მიცემითი.<sup>3</sup>

<sup>1</sup> იხ.: Порциг В., Членение индоевропейской языковой области, перевод с немецкого Браузе Л. Ю. и Павлова В. М., редакция и предисловие Десницкой А. В., Издательство "Прогресс", Москва 1964, 136-138.

<sup>2</sup> Шантрен П., *op. cit.*, 15.

<sup>3</sup> Μαυρομάτης Ευ., Σyntaxικό της Αρχαίας Ελληνικής γλώσσας, Εκδοτικός Οίκος Απ. Κ. Πατσίδη, Θεσσαλονίκη 1960, 11.

თავდაპირველად დატივთან წინდებულები არ გამოიყენებოდა, მაგრამ კლასიკურ ეპოქაში ხდება ამ ბრუნვის ფუნქციების შესუსტება და ჩნდება მასთან წინდებულების გამოყენების საჭიროება. დატივთან წინდებულები, ძირითადად, იმ შემთხვევებში გამოიყენება, როდესაც დატივი გამოსატყვევებს ადგილმდებარეობას ან თანხლებას. ეს წინდებულებია:  $\acute{\epsilon}\nu$ ,  $\sigma\upsilon\varsigma$ ,  $\acute{\alpha}\nu\acute{\alpha}$ ,  $\acute{\epsilon}\pi\acute{\iota}$ ,  $\acute{\alpha}\mu\phi\acute{\iota}$ ,  $\pi\alpha\rho\acute{\iota}$ ,  $\pi\alpha\rho\acute{\sigma}$ ,  $\acute{\iota}\pi\alpha\rho$  და ზოგიერთი ე. წ. არასაკუთრივ წინდებული.<sup>1</sup> ძვ. წ. IV საუკუნიდან კი დატივი გაქრობას იწყებს. მის ფუნქციებს ითავსებს გენეტივი და წინდებულისანი აკუზატივის აღწერითი ფორმები. სუფთა მიცემითი გენეტივით შეიცვალა, გამონაკლისია ჩრდილოეთ საბერძნეთის დიალექტები, სადაც დატივის ნაცვლად აკუზატივი გამოიყენება. მაგ.:  $\Delta\epsilon\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \gamma\rho\acute{\alpha}\phi\epsilon\iota$ ,  $\delta\epsilon\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \delta\acute{\iota}\delta\omicron\iota\ \tau\acute{\iota}\pi\omicron\tau\epsilon$  –  $\delta\epsilon\ \mu\epsilon\ \gamma\rho\acute{\alpha}\phi\epsilon\iota$ ,  $\delta\epsilon\ \mu\epsilon\ \delta\acute{\iota}\delta\omicron\iota\ \tau\acute{\iota}\pi\omicron\tau\epsilon$  (არაფერს მწერს, არაფერს მადლევს).<sup>2</sup> დატივის გაქრობის შემდეგ წინდებულების გამოყენების არეალიც შეიცვალა: წინდებულები მხოლოდ ორ ბრუნვაზე განაწილდა – გენეტივსა და აკუზატივზე; თითოეული წინდებული მხოლოდ ერთ ბრუნვასთან შეიძლება გამოვიყენოთ, მაშინ, როცა, ძველ ბერძნულში იყო წინდებულები, რომლებიც ორ ან სამ ბრუნვასთან იხმარებოდა.<sup>3</sup> ზოგი წინდებული საერთოდ გამოვიდა ხმარებიდან, მაგალითად, წინდებული  $\sigma\upsilon\varsigma$ , რომელიც მხოლოდ დატივთან გამოიყენებოდა. თანამედროვე ენაში იგი გვხვდება გაქვავებულ გამოთქმებში, მაგალითად,  $\sigma\upsilon\varsigma\ \tau\omicron\iota\varsigma\ \acute{\alpha}\lambda\lambda\omicron\iota\varsigma$  (სხვებთან ერთად),  $\sigma\upsilon\varsigma\ \gamma\upsilon\sigma\alpha\acute{\iota}\xi\ \kappa\alpha\iota\ \tau\acute{\epsilon}\lambda\omicron\upsilon\iota\varsigma$  (ცოლ-შვილთან ერთად) და სხვ.<sup>4</sup>

დატივის გაქრობის პირველი მაგალითები ძვ. წ. IV საუკუნიდან, ანუ ელინისტურ ეპოქაში ჩნდება, მაგრამ ა. წ. VII-VIII საუკუნეებამდე ეს ბრუნვა მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს პოზიციებს.

<sup>1</sup> ძველ ბერძნულში დატივის წინდებულების ფუნქციათა შესახებ იხ.: გორდეზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., *op. cit.*, 172-187.

<sup>2</sup> Χατζηδάκης Γ. Ν., Γλωσσολογικά έρευνα, Τόμος Β', Κέντρος Συστάξεως του Ελληνικού Λεξικού, Αθήναι 1977, 501.

<sup>3</sup> Попова Т. В., Византийская народная литература, "Наука", Москва 1985, 30.

<sup>4</sup> გორდეზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., *op. cit.*, 176.

ეს ფაქტი სხვადასხვა წყაროებით დასტურდება. ბიზანტიურ ტექსტებში დატივი აკუზატივის ადგილას გვხვდება. ასეთი მაგალითები ყველაზე ხშირია "წმინდა ექვთიმეს ცხოვრებაში".<sup>1</sup> კონიეში მომხდარ ცვლილებებზე (მათ შორის დატივის გაქრობაზეც) შეიძლება ვიმსჯელოთ ელინისტური ეპოქის ეპიგრაფიკული ძეგლებისა და პაპირუსების მიხედვით. მაგრამ დიდი სიფრთხილვა საჭირო, რომ ერთმანეთისაგან ენაში მომხდარი ფონეტიკური თუ მორფოლოგიური ცვლილებები გადამწერთა შეცდომებისაგან განვასხვავოთ. ძალიან ხშირად გადამწერთა შორის არაბერძნული წარმომავლობის ადამიანებიც იყვნენ, რომელთაც ეპარებოდათ შეცდომები.<sup>2</sup> ენობრივი ნეოტერიზმების გამოვლენისას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონიეზე დაწერილ ძველ და ახალ აღთქმას. თავდაპირველად დატივის გაქრობის მაგალითები იშვიათია და აქა-იქ გვხვდება, შემდეგ უფრო სისტემურ ხასიათს იღებს და საბოლოოდ მთლიანად ქრება. თუმცა დღესდღეობით ახალ ბერძნულში დატივის ფორმები შემორჩენილია ცალკეულ, გაქვავებულ გამოთქმებში, მნიგნობრულ, საეკლესიო და იურიდიულ ენაში. მაგალითად, δόξα τῆ θεῆ (მადლობა ღმერთს), ἔσπευτα τοῖς ἔκατό (ოთხმოცდაათი პროცენტი) და ა. შ.<sup>3</sup>

რა ედო საფუძვლად დატივის გაქრობას? ამის მიზეზად ორი მოვლენა შეიძლება დავასახელოთ.

- ენა ისწრაფვის გამარტივებისაკენ – უნიფიკაციისაკენ.
- სინთეტურიდან ენა ანალიტიკური ხდება.

ყველა ინდოევროპული ენა ვითარდებოდა ბრუნვების რაოდენობის შემცირებით. ბერძნულში ეს მკვეთრად იყო გამოხატული (შუა საუკუნეებიდან ქრება დატივი, ხოლო მისი გაქრობის ტენდენციები უკვე კონიეში ჩნდება), ანალოგიური

<sup>1</sup> Φλώρος Α.Θ., *op. cit.*, 101.

<sup>2</sup> Ανδριώτης Ν. Π., *Ιστορία της Ελληνικής γλώσσας, Ιστοριούτο Νεοελληνικών Σπουδών, Θεσσαλονίκη 1995*, 41.

<sup>3</sup> იხ.: Thumb A., *Handbuch der Neugriechische Volksprache, Grammatik, Texte, Glossar, Verlag von Karl J. Trübner, Strassburg 1910*, 28; Schwyzer E., *op. cit.*, 170.

ტენდენცია ჩანს ახალ ბერძნულშიც. ბრუნების სხვადასხვა ტიპში მრავლობითი რიცხვის აკუზატივი ემთხვევა ნომინატივს, მრავლობითი რიცხვის გენეტივი ნაკლებად გამოიყენება, მსო-  
ლობითი რიცხვის მამრობითი სქესის -ად და -იჲ-ზე დაბოლოე-  
ბული სახელების პარადიგმები (მაგალითად, *πατέρας*) შემოი-  
ფარგლება მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვის დაპირისპირებით  
დამატების ბრუნვასთან.

ენაში თანდათანობით აღწერითი ფორმების ფართო გამო-  
ყენების ტენდენცია ჩანს. დატივის შემთხვევაშიც უფრო ხშირია  
ანალიტიკური ფორმები. ამან გამოიწვია ჯერ დატივთან წინ-  
დებულის გამოყენება, რაც თავისთავად ბრუნვის გარკვეული  
ფუნქციის დაკარგვას გულისხმობდა, მაგალითად, *ὅν ταύταις  
ταῖς ἡμέραις* (ამ დღეებში), ხოლო შემდეგ დატივის საერთო  
გაქრობა და მის ნაცვლად წინდებულიანი აკუზატივის გამო-  
ყენება, მაგალითად, *Ἡ Μαρία ράβει ἕνα ροῦχο γιὰ τὸ παιδί της*  
(მარია უკერავს თავის ბავშვს ტანსაცმელს).

ბევრ ენაში ბრუნვის კატეგორია საერთოდ არ არსებობს და  
შესაბამისად ფლექსიური ბრუნება საერთოდ არ არის წარ-  
მოდგენილი. ასე, მაგალითად, ინდოევროპული ოჯახის გერმა-  
ნული და იტალიური შტოს ენების უმრავლესობაში ეს კატე-  
გორია არ არსებობს, ამის გამო, რ. იაკობსონის აზრით, როდე-  
საც დასავლეთის ლინგვისტები საუბრობენ ბრუნვათა მნიშვნე-  
ლობების შესახებ იმ ენებში, სადაც კარგად არის განვითარე-  
ბული ბრუნვების სისტემა, ძირითადად შემოიფარგლებიან  
მხოლოდ ბრუნვათა ჩამოთვლითა და მათი ცალკეული მნიშვნე-  
ლობების აღწერით. მათი ლინგვისტური აზროვნებისთვის ამ  
კატეგორიის მნიშვნელობა უცხოა.<sup>1</sup> ასე რომ, თანდათანობით  
შეიძლება ეს კატეგორია სხვა ენებშიც მოიშალოს. ბერძნულში,  
როგორც ვნახეთ, ეს ტენდენცია მკვეთრადაა გამოხატული.

ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, წოდებითის ბრუნვად  
მიჩნევის საკითხი, რამაც დიდი გავლენა იქონია ბრუნების

---

<sup>1</sup> Якобсон Р., К общему учению о падеже, Избранные работы, "Прогресс",  
Москва 1985, 135.

სისტემის კლასიფიკაციის ცვლილებებზე. აქ ვგულისხმობთ ახალი ბერძნულის ბრუნების გ. ბაბინიოტისის კლასიფიკაციას, რომელიც წოდებითი ბრუნვის სრულ უგულებელყოფაზეა აგებული.

წოდებითი ბრუნვა ბევრ ენაში გვხვდება: სანსკრიტში, ძველ ბერძნულში, ლათინურში, ძველ სლავურში, ქართულში და სხვ. მას აქვს საკუთარი ფორმა და განსხვავდება სხვა ბრუნვებისაგან: 1) დაბოლოებით; 2) ართრონის უგულებელყოფით; 3) შორისდებულებითი ნაწილაკის დართვითა და 4) ინტონაციით.

ქართულში, როგორც ცნობილია, დიდი პაექრობა მიმდინარეობდა წოდებითის ბრუნვად მიჩნევა-არმიჩნევის თაობაზე. ჯერ კიდევ 1927 წელს წოდებითის ბრუნვობაში ეჭვი შეიტანა პროფ. არნ. ჩიქობავამ. აქედან მოყოლებული 1933 წლამდე, წოდებითი, როგორც ბრუნვა, არ შესულა ქართული ენის არც პროგრამებსა და არც სასკოლო სახელმძღვანელოებში, ადრინდელ ყველა ქართულ გრამატიკაში, ნ. მარის, ა. შანიძის და დ. კარიჭაშვილის გრამატიკებში წოდებითი ბრუნვადაა წარმოდგენილი.

ვ. თოფურია წოდებითის ადგილს სიტყვათწარმოებაში ვარაუდობს და არა ბრუნვებში. "წოდებითი განსხვავდება სხვა ბრუნვათაგან: 1. ინტონაციით, 2. წარმოშობით (შორისდებულებითი ნაწილაკი უნდა ჰქონდეს დართული), 3. ფუნქციით, 4. რაც ძირითადია, წინადადების წევრებთან სინტაქსური კავშირის უქონლობით და 5. ამის გამო სხვადასხვა ადგილას გვხვდება და მძიმით ან ძახილის ნიშნით გამოიყოფა. ეს საბუთი საკმარისი უნდა იყოს, რომ წოდებითი დაშორდეს ბრუნვებს და სხვა კატეგორიად იქნეს მიჩნეული".<sup>1</sup>

მას არ ეთანხმება ა. შანიძე, მისი აზრით: "წოდებითის ფორმა როგორც სინტაქსური, ისე მორფოლოგიური ნიშნებით ბრუნვათა რიგში დგას, ის ბრუნვის ფორმაა: მას სხვა ბრუნვის ფორმებთან სინტაქსურად აერთიანებს ურთიერთობა სინტაგ-

<sup>1</sup> თოფურია ვ., წოდებითი ბრუნვისათვის, სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ტ. I, თბილისი 1956, 36.

მის ნევრებთან, მორფოლოგიურად კი – ერთნაირი ლექსიკური მნიშვნელობა და მრავლობითი რიცხვის წარმოება".<sup>1</sup>

სხვა ენების მსგავსად ბერძნულშიც მწვავედ დგას საკითხი უნდა მივიჩნიოთ თუ არა ვოკატივი ბრუნვად. ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, სხვადასხვა მოსაზრებას ვხვდებით ამის თაობაზე.

პირველად ტერმინი "ბრუნვა" არისტოტელესთან "პოეტიკაში" დასტურდება, სადაც იგი მეტყველების ნაწილთა სისტემაშია შესული. მაგრამ არისტოტელე ჯერ კიდევ არ მსჯელობს სახელის ცალკეულ ბრუნვათა კლასიფიკაციაზე, შესაბამისად, არც ვოკატივზეა საუბარი.

როგორც ცნობილია, სტოელებს შემუშავებული ჰქონდათ ხუთბრუნვიანი სისტემა. მეხუთე ბრუნვად მათ წოდებითი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ სამწუხაროდ იმ მასალების მიხედვით, რაც თანამედროვე მეცნიერებას გააჩნია, ეს მკაფიოდ არ ჩანს.

გერმანელი მეცნიერი ჰ. შტაინთალი ამტკიცებს, რომ არ შეიძლება სტოელებს მეხუთე ბრუნვად წოდებითი ჰქონოდათ, რადგან ისინი წოდებითის ფორმას ცალკე განიხილავდნენ, როგორც მიმართვასო (προσθετικός).<sup>2</sup>

ალექსანდრიელ ფილოლოგთა ცნობები ბრუნვათა შესახებ საკმაოდ მწირია. აქ არ გვაქვს ინფორმაცია წოდებითი ბრუნვის შესახებ. დიონისიოს თრაკიელი კი წოდებითს ბრუნვათა სისტემაში განიხილავს, აქვე აღნიშნავს, რომ წოდებითს სხვანაირად მიმართვითაც უწოდებენ. "Λέγεται ἢ δὲ κλητικῆ προσθετικῆ".<sup>3</sup> ე. ი. დიონისიოს თრაკიელთან წოდებითი მანც ბრუნვაა.

მაგრამ არც დიონისიოს თრაკიელი და არც სხვა იმდროინდელი გრამატიკოსები არ მსჯელობენ უშუალოდ ვოკატივის პრობლემატიკაზე ანუ იმაზე, უნდა განიხილებოდეს ვოკატივი

<sup>1</sup> შანიძე ა., წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში, სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ტ. 1, 54.

<sup>2</sup> ქაროსანიძე ლ., op. cit., 18.

<sup>3</sup> ქაროსანიძე ლ., op. cit., 102.



ბრუნვათა სისტემაში, თუ მისი ადგილი სინტაქსშია ან სიტყვათწარმოებაში.

ბერძნული ენის ბრუნვათა სისტემაში ვოკატივი განყენებულად დგას. როგორც ძველ, ისე ახალ ბერძნულში ეს არის ბრუნვა, რომელიც მიმართვის ფორმად გამოიყენება.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ წოდებითი ბრუნვა ბევრ ენაში გაქრა, ახალ ბერძნულში იგი შენარჩუნდა და, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, გაამყარა კიდევაც თავისი პოზიციები.<sup>2</sup> ძველ ბერძნულში ვოკატივის ფორმა ძირითადად ნომინატივის ემთხვეოდა, ახალ ბერძნულში კი განსხვავებული ვითარებაა. მხოლოდით რიცხვში იგი ზოგჯერ სახელობითის, ზოგჯერ კი ნათესაობით-ბრალდებითის ფორმებს იმეორებს, ხოლო მრავლობითში კი – ნომინატივ-აკუზატივის, მაგალითად, სახ. *ο πατέρας* – წოდ. *πατέρα* (= ნათ., ბრალდ.), სახ. *η μητέρα* – წოდ. *μητέρα* (= სახ., ბრალდ.), სახ. *οι πατέρες* – წოდ. *πατέρες* (= სახ., ბრალდ.), სახ. *οι μητέρες* – წოდ. *μητέρες* (= სახ., ბრალდ.).<sup>3</sup>

ძველი ბერძნულის მხოლოდ მეორე კანკლედობის *ο* ფუძიან სახელთა ვოკატივის -*ε* არის შენარჩუნებული ახალ ბერძნულშიც, მაგალითად, სახ. *ο άθρπαος* – წოდ. *άθρπαε*. თუმცა აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რიგ შემთხვევებში წოდებითში -*ο* დაბოლოება გვაქვს -*ε*-ს მაგივრად. ძირითადად, -*ο* დაბოლოება აქვთ: ა) საკუთარ სახელებს, რომელთაც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის, მაგალითად, *Αλέκο*, *Γιώργο*, *Χρίστο*, *Πέτρο*, *Σπύρο* და სხვ. ბ) კნინობით-ალერსობით სახელებს, მაგალითად, *Γιαννακό*, *Μανωλίό*, *Δημητρώ* და ა. შ. ეს ფაქტი თავისთავად მიგვიტოთებს იმაზე, რომ გარკვეულწილად ვოკატივი კარგავს თავის ძველ ფუნქციებს, ანუ ბრუნვას აღარ გააჩნია მორფოლოგიური გამომხატველი.

მართალია, ვოკატივის დაბოლოება -*ε* არ წარმოადგენს ბრუნვის ნიშანს, იგი არის ფუძისეული *ο*-ს აბლაუტის *ε* საფეხ-

<sup>1</sup> Φλώρος Α., *op. cit.*, 122.

<sup>2</sup> Φλώρος Α., *op. cit.*, 124.

<sup>3</sup> გორდუზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., *op. cit.*, 171.

ური, მაგრამ ფაქტია, რომ ბრუნვებში იგი მხოლოდ ვოკატივში დასტურდება და, გარკვეულწილად, ბრუნვის ნიშნის როლს ასრულებს. გვხვდება შემთხვევები, მაგალითად, სკიროსის დიალექტში, როდესაც წოდებითში -ე დაბოლოების მქონე სახელებს, სახელობითში აქვთ არა -ოც, არამედ -ეც დაბოლოება, მაგალითად, γαμπαρέζ, άμφιπαεζ.<sup>1</sup>

ახალ ბერძნულში, განსაკუთრებით კი ხალხურ სიმღერებსა და ზღაპრებში, ხშირია ნომინატივის გამოყენება ვოკატივის ნაცვლად, ან ორივეს ერთმანეთის პარალელურად, ერთმანეთის გვერდით ხმარება. მაგალითად, Που είστε του Λάμπρου τα παιδιά (სად ხართ ლამბროსის შვილებო (სახ.) ან Ξυπνάτε, η δόξια συττροφιά και καπετάνε Μήτρο (გაიღვიძეთ, ცბიერო მეგობრებო (სახ.) და კაპიტანო მიტრო (წოდ.).<sup>2</sup>

როგორც ჩანს, ასეთი ტენდენცია საერთოდ დამახასიათებელია ინდოევროპული ენებისათვის, სადაც თავდაპირველად ნომინატივის და ვოკატივის ფუნქციები არ იყო გამიჯნული. ცნობილია, რომ ინდოევროპულ ენებს მრავლობით რიცხვში ნომინატივისა და ვოკატივის სინკრეტიზმი ახასიათებთ. რაც შეეხება მხოლობით რიცხვს, აქ ეს ბრუნვები განსხვავებულია, კერძოდ: ა) სხვადასხვაა ბრუნვების ფუნქციები; ნომინატივს – პირველადი ფუნქცია ახასიათებს, ხოლო ვოკატივს – დამატებითი. ბ) ნომინატივს ვოკატივთან შედარებით გრძელი ხმოვნები ახასიათებს: -ē(r), -ō(r), -ē(n), -ō(n), -ē(s), -ō(s) და არა -er, -or, -en, -on, -es, -os. გ) ამ ორ ბრუნვაში განსხვავებული აბლაუტის საფეხურები გვაქვს: ნომინატივში გვაქვს -os, ხოლო ვოკატივში -e დაბოლოებები, ე. ი. აქ საქმე გვაქვს o/e მონაცვლეობასთან. თუმცა, საერთო ინდოევროპულში, მხოლობითშიც ერთი ფორმა გვექონდა ნომინატივ-ვოკატივის გადმოსაცემად, ე. ი. ეს დაყოფა უფრო გვიანდელია.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Τριανταφυλλίδη Μ., Άπαντα, Δεύτερος τόμος, Ερευνητικά Β', Ίδρυμα Μανόλη Τριανταφυλλίδη, Θεσσαλονίκη 1965, 158.

<sup>2</sup> Τζαρτζάνος Α., op. cit., 83.

<sup>3</sup> დაწვრილებით იხ. Kurylowicz J., The Inflectional Categories of Indo-European, Carl Winter Universitätsverlag, Heidelberg 1964, 197-198.

ძველ ბერძნულში ვოკატივის ფორმებს ხშირად წინ უძლოდა შორისდებული ᾶ. იგი ზედსართავ და არსებით სახელებს, ანუ მსაზღვრელ-საზღვრულს შორისაც შეიძლებოდა დასმულიყო. მაგალითად, Μυκησίνδης, ᾶ φίλαι (მეგობრებო, მიკენელებო). იმ შემთხვევაში, თუ ვოკატივი წარმოდგენილი იყო წინადადებაში, რომელიც გამოხატავდა ბრძანებას, რისხვას, რჩევას, მაშინ ᾶ შეიძლება გამოტოვებულიყო. მაგალითად, Παί λαβέ τὸ βίβλιον καὶ λέγε (შვილო, აილე წიგნი და თქვი).<sup>1</sup>

შორისდებული ᾶ გარკვეულწილად მეგობრულ ტონს გულისხმობს. ამიტომაც პომპროსი არასოდეს არ იყენებს ᾶ-ს მაშინ, როდესაც ადამიანი ღმერთს მიმართავს, მაგალითად, Ζεῦ ἄνα, Δαδναίε, Πελασγικέ, τηλθί ναίωσ (ზევსო, დოდონთა და პელაზგთა უფალო, მკვიდრო).<sup>2</sup>

თუმცა დიონისიოს თრაკიელი ვოკატივის შორისდებულ ᾶ-ს ართრონის წოდებით ბრუნვად ასახელებს, და არა შორისდებულად. რასაც ეწინააღმდეგებიან სქოლიასტები: ᾶ არ არის ართრონი – წერენ სტეფანოსი და ჰელიოდოროსი. ართრონი რომ იყოს, სამივე რიცხვის ფორმა უნდა ჰქონდეს.<sup>3</sup>

ახალ ბერძნულში წოდებით ბრუნვაში ᾶ აღარ მოგვეპოვება. კონიედან მოყოლებული ის სულ უფრო ნაკლებად გამოიყენება. სახარებაში ის მხოლოდ სამჯერ დასტურდება, მაგალითად, ᾶ γύμαι, μεγάλη σοὺς ἢ πίστις (Ματθ. 15, 25) (დედაკაცო, დიდია შენი რწმენა).<sup>4</sup>

XX-XXI საუკუნის ენათმეცნიერთა ნაშრომებში არსებობს სამი ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული თვალსაზრისი:

1) წოდებითს ბრუნვად მიიჩნევენ; ამ აზრს თანამედროვე ენათმეცნიერთა უმრავლესობა ემხრობა. მაგალითად, ამ აზრი-

<sup>1</sup> გორდენიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., *op. cit.*, 171.

<sup>2</sup> Φλώρος Α., *op. cit.*, 124.

<sup>3</sup> ქაროსანიძე ლ., *op. cit.*, 145.

<sup>4</sup> Φλώρος Α., *op. cit.*, 124.

საა ე. შვიციერი,<sup>1</sup> ვ. ბრანდენშტაინი, მ. ტრიანდაფილიდისი, ა. ძარძანოსი, ა. ცოპანაკისი და სხვ.

2) მორფოლოგიურად იგი ბრუნვებში არ შედის და მხოლოდ ფორმალურადაა შენარჩუნებული ბრუნვათა სისტემაში; ამ თვალსაზრისისაა გ. ბაბინიოტისი. მისი აზრით, წოდებითს განსაკუთრებული ფუნქცია გააჩნია – იგი მხოლოდ მოწოდებისას გამოიყენება. ამიტომ წოდებითში დასმული ლექსიკური ერთეული ყველაზე ნათლად სახელის პირველად სახეს გვიჩვენებს. მაგრამ წოდებითს არ შეუძლია წინადადებაში ბრუნვათა ძირითადი ფუნქციების შესრულება (იგი ვერ აკავშირებს ორ სახელს, ზმნისგან არ იმართება და ა. შ.). ამიტომაც იგი ბრუნვათა სისტემაში არ უნდა განიხილებოდეს,<sup>2</sup> თუმცა, არც სიტყვათწარმოებითი ფუნქცია ახასიათებს. აქედან გამომდინარე, წოდებითი ფორმალურადაა მოცემული ბრუნვათა სისტემაში.

3) წოდებითი ბრუნვად არ მიიჩნევა. ამ თვალსაზრისს ი. სტამატაკოსი ემხრობა. მისი აზრით, წოდებითი ბრუნვა კი არ არის, არამედ განსაზღვრული წინადადებაა, რომელიც მიმართვას გამოხატავს.<sup>3</sup>

ჩვენი აზრით, ამ საკითხის გადასაწყვეტად ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი: ერთია სიტყვის სინტაქსური მნიშვნელობა, მეორე – მისი მორფოლოგიური მაჩვენებელი.

სინტაქსური თვალსაზრისით ვოკატივი თავისუფალია, იგი წინადადებაში განყენებულადაა მოცემული, არ იმართვის არც სახელის, არც ზმნის მიერ. შესაბამისად, მისი ადგილიც წინადადებაში არაა განსაზღვრული. გარდა ამისა, სხვა ბრუნვებისაგან ის იმითაც განსხვავდება, რომ მას თავისი ფუნქციიდან გამომდინარე (ვგულისხმობთ მიმართვას) ინტონაცია ახასიათებს.

<sup>1</sup> დანვრილებით იხ. Schwyzer E., op. cit., 59-64.

<sup>2</sup> Κλαίρης Χ., Παμπινιώτης Γ., Γραμματική της Νέας Ελληνικής, δομολεϊτουργική – επικοινωνιακή, I, Το όνομα της Νέας Ελληνικής, Εκδόσεις "Ελληνικά γράμματα", Αθήνα 1998, 50-51.

<sup>3</sup> დანვრილებით იხ. Σταματάκος I., op. cit., 104-105.

მორფოლოგიური მაჩვენებელი ანუ ბრუნვის ნიშანი მას არ გააჩნია, იგი ზოგჯერ სახელობითის, ზოგჯერ კი ნათესაობით-ბრალდებითის ფორმებს იმეორებს. ერთადერთ, გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ o ფუძიან სახელთა ვოკატივი, სადაც -e დაბოლოება არის შენარჩუნებული, მაგრამ აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დაბოლოება ბრუნვის ნიშანი კი არ არის, არამედ აბლაუტის საფეხურია.

გარდა ამისა, ხშირია ვოკატივის ნაცვლად ნომინატივის გამოყენების შემთხვევები, რაც თავის მხრივ გვიჩვენებს, რომ ვოკატივი გარკვეულწილად კარგავს თავის ძირითად, მიმართვის ფუნქციასაც. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერძნულ ენაში ჩანს ვოკატივის გაქრობის ტენდენცია. მისი ფუნქცია შეიძლება რომელიმე სხვა ბრუნვას დაეკისროს.

დატივთან და ვოკატივთან დაკავშირებული პრობლემატიკის ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ბერძნულ ენაში აშკარად ჩანს ბრუნვათა სისტემის გამარტივების ტენდენცია. ენა ისწრაფვის უნიფიკაციისაკენ.

ჰიპოთეზის სახით შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ენა თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე გამარტივების შედეგად თავის პირვანდელ სახეს უბრუნდება. მაგალითად, ინდოევროპული ენის ბრუნების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში აკუზატივისა და დატივის გადმოსაცემად ერთი ფორმა გამოიყენებოდა. ამას ადასტურებს ძველი ხეთური პირველი და მეორე პირის პრონომინალური ფორმები – მაგ: ammuk (მე – ბრალდ., მიც.) tuk (შენ – ბრალდ., მიც.), რომლებიც გვიჩვენებს ინდოევროპული ენის უძველეს მდგომარეობას – როცა იყო ორი ძირითადი სახელადი მანარმოებელი, რომლებიც მოგვიანებით სუბიექტური და საერთობიექტური ბრუნვების სახით გაფორმდა. ამ ბრუნვების საშუალებით ხდებოდა ყველანაირი სინტაქსური ურთიერთობა პრედიკატულ ფორმებთან. თვითონ დატივ-ლოკატივი ჩნდება მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც იშლება ბრუნების ბინარული სისტემა და ჩნდება უფრო რთული ბრუნების ტიპი. დატივის \*-ei და ლოკატივის \*-

i დაბოლოებები ინდოევროპულში არის გარემოებითი ბრუნვის ნიშნის ორი აბლაუტური ფორმა, შესაბამისად, აქტივისა და ინაქტივის კლასის სახელებთან. \*-ei -ზე დაბოლოებული სახელები გამოხატავდნენ აქტივის კლასს, ხოლო \*-i-ზე დაბოლოებულები – ინაქტივის კლასს. ზოგ ინდოევროპულ ენაში დატივი გამოიყენება მხოლოდ პირისა და პერსონიფიცირებული ობიექტების სახელებთან.<sup>1</sup>

ამის შემდეგ ჩნდება საერთო ინდოევროპული რვაბრუვიანი ბრუნების სისტემა, რომელიც ძველ ბერძნულში უკვე შეკვეცილი სახით გვევლინება; დატივი აქ გარდა საკუთარი ფუნქციებისა, დამატებით სამი ბრუნვის (ინსტრუმენტალისი, ლოკატივი, აბლატივი) ფუნქციას ასრულებს. დატივის გაქრობის შემდეგ გვრჩება ოთხბრუვიანი სისტემა. თუ მივემხრობით იმ აზრს, რომ წოდებითი – ბრუნვა არ არის, გამოდის, რომ ახალ ბერძნულში უკვე სამი ბრუნვაა.<sup>2</sup> ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბრუნვების გაქრობის ტენდენცია მორფოლოგიურ დონეზე ახალ ბერძნულშიც იჩენს თავს (მამრობითი სქესის -აც და -იჯ-ზე დაბოლოებული სახელების მაგალითზე), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, შესაძლოა, ისევ მივდივართ ბინარული სისტემისაკენ, ანუ ქვემდებარისა და დამატების ბრუნვების დაპირისპირებისაკენ ან საერთოდ ბრუნვის კატეგორიის დაკარგვისკენ.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, I, Издательство Тбилисского Университета, Тбилиси 1984, 286.

<sup>2</sup> ახალი ბერძნულის უახლეს სახელმძღვანელოებში სახელთა ბრუნების შესწავლისას მხოლოდ სამი ბრუნვაა მოცემული, წოდებითი აქ ბრუნვათა სისტემაში არ შედის. ვგულისხმობთ შემდეგ სახელმძღვანელოებს: Μααροϋλια Σ., Γεωργαντζή Ε., Τα Ελληνικά για ξενόγλωσσους, οπτακοακουστική μέθοδος, 1, 2 βιβλία, εκδόσεις Σάπφω Μααροϋλια, Αθήνα 1995-1999; Μπαμπινιώτη Γ., σε συνεργασία με τους: Αναγνωστοπούλου Α., Αργυρούδη Ε., Κασαβίτς Μ. και Μήτσι Ν., Ελληνική γλώσσα, εγχειρίδιο διδασκαλίας της Ελληνικής ως δεύτερης (ξένης) γλώσσας, Εθνικό Ιδρυμα υποδοχής και αποκατάστασης παλινοσούντων και απόδημων ομογενών Ελλήνων, Αθήνα 1993; Σιόντη Χ., Μαθαίνω την Ελληνική γλώσσα, Πρόγραμμα Interreg II, Ιωάννινα 2001.


<sup>3</sup> ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, პ. მაკრიჯმა, ჩვენი ნაშრომის გაცნობისას აღნიშნა, რომ გამარტივების ტენდენცია მართლაც მკვეთ-

**ბრუნვათა სისტემის ცვლილებები სქემის სახით ასე შეიძლება  
წარმოვადგინოთ:**

ინდოევროპული ენის უძველესი მდგომარეობა	2 ბრ.	Nom.	Acc.						
გარდამავალი პერიოდი, გარემო- ბითი ბრუნვის წარმოშობა	3 ბრ.	Nom.	Acc.	Dat.-Loc.					
ინდოევროპული ბრუნების სრული პარადიგმა (პროტობერძნულის სავარაუდო სისტემა)	6 ბრ.	Nom.	Acc.	Dat.	Gen.	Inst.	Loc.	Abl.	Voc.
ძველი ბერძნული ენა	5 ბრ.	Nom.	Acc.	Dat.	Gen.				Voc.
ახალი ბერძნული ენა	4 ბრ.	Nom.	Acc.		Gen.				Voc.
ახალი ბერძნული ენა (ზოგიერთი ენათმეცნიერის მიერ შემოთავაზებული სისტემა)	3 ბრ.	Nom.	Acc.		Gen.				
სავარაუდო ვარიანტი	2 ბრ.	Nom.	Acc.						

რადაა გამოხატული ბერძნულ ენაში და შესაძლოა, ისევ მივიღივართ ორ-ბრუნვიან სისტემაზე. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ, პურიზმის ფენომენი ენაში. პურიზმმა ძალიან გაზარდა გენეტივის ფორმების გამოყენება არა მხოლოდ კათარევუსაში, არამედ ახალ ბერძნულშიც. პ. მაკრიჯის აზრით, პურიზმმა გარკვეულწილად შეაჩერა ბინარული სისტემისკენ მიბრუნების ტენდენცია. არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ბატონ პ. მაკრიჯს იმაში, რომ გენეტივის ფორმების გაზრდამ, რაც გარკვეულწილად გამოწვეული იყო ფრანგულიდან და დასავლეთის სხვა ენებიდან სინტაქსური კონსტრუქციების შემოტანით, მართლაც ოდნავ შეაჩერა ბრუნვათა სისტემის ცვლილებები. მაგრამ ფაქტია, რომ თანამედროვე ენაში ჩვენ შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ, თუნდაც მორფოლოგიურ დონეზე, ორბრუნვიანი სისტემისკენ მიბრუნების ტენდენციას.

ბრუნვათა ბინარული სისტემისკენ მიბრუნების ტენდენცია





ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის ისტორიულ-  
შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე

§ 1. შუა საუკუნეები

ზოგიერთი ენათმეცნიერის აზრით, შუა საუკუნეებში ლინგვისტიკა გარკვეულ კრიზისს განიცდის. მაგალითად, ბ.გოლოვინი აღნიშნავს: "ევროპაში შუა საუკუნეებს არაფერი ახალი არ მოუტანია ლინგვისტიკის სფეროში. დოგმატიკა და სქოლასტიკა ავინროვებდა ენათმეცნიერებას. მკვლევართა ცოცხალი აზროვნება, რომელიც განვითარდა ძველ ინდოეთში, ძველ საბერძნეთსა და არაბულ აღმოსავლეთში ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, დაჭკნა შუა საუკუნეების დოგმების ზეგავლენით".<sup>1</sup>

ამავე აზრს სხვა ენათმეცნიერებიც ავითარებენ, მათ შორის ი. კონდრაშოვი, რომლის აზრით, შუა საუკუნეებში აზროვნების ყველა სფერო დაკნინებას განიცდის. "ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგის ერთ ნერტილზე გაყინვა, მათ შორის ენათმეცნიერებისაც".<sup>2</sup>

შუა საუკუნეების ლინგვისტიკა ენის ფილოსოფიას შეისწავლის. მასთან არის დაკავშირებული მეცნიერების სხვა დარგები, მათ შორის ეთიკისა და ისტორიის ფილოსოფია. მაგრამ ტრადიციულად, ენის ფილოსოფიას ფილოსოფიის ისტორიას მიაკუთვნებენ და არა გრამატიკის ისტორიას, რაც ერთგვარად უგულვებელყოფს გრამატიკის როლს.

შუა საუკუნეებში გრამატიკას სხვა მეცნიერებებთან შედარებით პრივილეგირებული ადგილი უჭირავს. ეს იმით აიხსნება, რომ ამ პერიოდის ფილოსოფიაც და თეოლოგიაც კარ-

<sup>1</sup> Головин Б. Н., Введение в языкознание, издательство "Высшая школа", Москва 1966, 218.

<sup>2</sup> Кондрашов И. Д., История лингвистических учений, "Просвещение", Москва 1979, 20.

გად განვითარებული ენის თეორიას ეფუძნება. მის გარეშე კი წარმოუდგენელია შუა საუკუნეების გრამატიკული აზროვნების განვითარება და გრამატიკული სისტემის ფორმირება.

შუა საუკუნეების გრამატიკოსებს ისეთი გრამატიკის შექმნა სურდათ, რომელიც ყველა ენას მიესადაგებოდა. ამიტომაც ენის კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ლათინურს. მისმა გაბატონებულმა მდგომარეობამ დალი დაასვა ენათმეცნიერების განვითარებას. ლათინური ენის წესებს ყველა სხვა ენას მიუსადაგებდნენ, ლათინური ენის გრამატიკა ზოგადად გრამატიკის სინონიმად იქცა. ამ დროის ყველაზე ცნობილი ლათინური ენის გრამატიკებია: დონატუსის "გრამატიკის ხელოვნება" ("Ars Grammatica") (IV ს.) და პრისკიანუსის "გრამატიკის სწავლება" ("Institutionum grammaticarum") (VI ს.).

გრამატიკული ტერმინები შემუშავებული იყო ბერძენი გრამატიკოსების მიერ, ამიტომ შუა საუკუნეებში ამა თუ იმ ენისათვის არსებულ ბერძნულ სისტემას იყენებდნენ.

შუა საუკუნეების გრამატიკის ხელოვნება აღინიშნება ენათმეცნიერების ისტორიაში იმით, რომ, ერთი მხრივ, მკაფიოდ ჩანს ბერძნულ-ლათინური ტრადიციის ზეგავლენა, ხოლო, მეორე მხრივ, გრამატიკული ხელოვნების განვითარების ახალი გზები ისახება.

ჯერ კიდევ გვიანანტიკურ ეპოქაში საფუძველი ეყრება ბერძნულ ენათმეცნიერებაში ბრუნების სისტემის კლასიფიკაციას. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, ა. წ. II საუკუნის გრამატიკოსის ჰეროდიანოს აპოლონიოს დისკოლოსის ძის ნაშრომი "ბრუნების შესახებ" ("Περὶ κλίσεως"), სადაც მოცემულია პირველი ცდა სახელთა ბრუნების კლასიფიკაციისა. ჰეროდიანოსი სახელობითი ბრუნვის დაბოლოებებს აწყობს ანბანის რიგზე, -αs, -ης, -οs, -ουs, -ωs და შესაბამისი წესების

მიხედვით გამოყოფს 32 ქვეუნიტს მამრობითი სქესის, 10-ს მდედრობითი და 4-ს საშუალო სქესის სახელთათვის.<sup>1</sup>

V საუკუნეში თეოდოსიოს ალექსანდრიელი მიჰყვება იმავე მეთოდს და გამოყოფს მამრობითი სქესისთვის 35 ქვეუნიტს, მდედრობითისთვის 12, ხოლო საშუალოსთვის 9-ს. ანალოგიურ კლასიფიკაციას ვხვდებით IX საუკუნის გრამატიკოს გ. ქიროზოსკოსთან.<sup>2</sup> ბიზანტიელი გრამატიკოსები აგრძელებენ ამავე გზას, იკვლევენ შესაბამის წესებს, და ბიზანტიური ეპოქის დასასრულს გვთავაზობენ 10 ბრუნებას, 5-ს შერწყმულ სახელთათვის და 5-ს შეურწყმელთათვის.

XI-XII საუკუნეებში ევროპაში იწყება არისტოტელეს ლოგიკის ხელახალი ათვისება, რომელიც მეცნიერების ყველა სფეროში მთავარ განმაპირობებელ ნიშნად იქცევა. საფუძველი ეყრება ლოგისტიკურ გრამატიკას. XII საუკუნის გრამატიკა ჯერ კიდევ ხელოვნებაა. ის ახლოს დგას არა მხოლოდ ლოგიკასთან, არამედ პრაქტიკულ მეცნიერებებთანაც. XIII-XIV საუკუნეში კი გრამატიკა "სპეკულაციურ" მეცნიერებად იქცევა. იქმნება გრამატიკა, რომლის სისტემა სხვადასხვა ენისათვის დამახასიათებელი ელემენტებისაგან შედგება. მას სხვანაირად ფილოსოფიური გრამატიკის კონცეფციას, ანუ უნივერსალურ გრამატიკას უწოდებენ. ე. ი. ამ პერიოდში გრამატიკა "ხელოვნებიდან" "მეცნიერებაში" გადადის. ასე რომ, შუა საუკუნეების ავტორებს დიდი წვლილი მიუძღვით გრამატიკული კულტურის განვითარებაში.

საბერძნეთში შუა საუკუნეები თორმეტ საუკუნეს მოიცავს. ამ პერიოდის ბერძნულ ენას შუასაუკუნეობრივ, ანუ საშუალო ბერძნულს უწოდებენ. ის ბიზანტიაში განვითარდა. თავის მხრივ, საშუალო ბერძნულს ბერძენი ენათმეცნიერები სამ ქვე-

<sup>1</sup> Τσοπανάκης Α., Νεοελληνική γραμματική, Εκδοτικός οίκος αδελφών Κυριακίδη Α. Ε., Βιβλιοπωλείον της Εστίας Ι. Δ. Κολλάρου & Σ<sup>μα</sup>, Θεσσαλονίκη, Αθήνα 1994, 207.

<sup>2</sup> Kühner R., Grammatik der Griechischen Sprache, erster teil, Elementar – und Formenlehre, Hahnsche Buchhandlung, Hannover 1890, 365.

პერიოდად ყოფენ: ა) ადრე ბიზანტიური (VI-XII სს.); ბ) წმინდა ბიზანტიური (XII-XV სს.); გ) პოსტბიზანტიური (XV-XIX სს.);<sup>1</sup>

შუა საუკუნეების ბერძნულ ენაში თავს იჩენს ე. წ. "დიგლო-სია" – განსხვავებული სალიტერატურო და სალაპარაკო ენის აღრევა, ლათინური და ბერძნული ენების ერთდროული ხმარება, ატიციისტური მოძრაობა.

ამ თორმეტსაუკუნოვან პერიოდს აქვს ერთი საერთო ნი-შანი, კერძოდ, ის ახალი ბერძნულის განვითარების და საბოლოო ჩამოყალიბების მთავარი საფუძველია. "ჩვენი ენის შუა საუკუნეების პერიოდი თორმეტ საუკუნეს მოიცავს, მრავალფეროვანი ფაზებით, მაგრამ მისი არსი ერთია. ეს არის პე-რიოდი, როდესაც გრძელდება და სრულდება ახალი ბერძნუ-ლის სისტემის აგება".<sup>2</sup>

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ბიზანტიაში ორი ენა, ბერძნული და ლათინური ფუნქციონირებს. ყოველთვის ნათ-ლად არ ჩანს, სად გამოიყენება ბერძნული და სად ლათინური, ბიზანტიის იმპერიაში მათი გავრცელების არეალიც განსხვავე-ბულია.<sup>3</sup> ბერძნული ენა, ძირითადად, უმაღლესი განათლების

---

<sup>1</sup> Μπαμπινιώτης Γ., Συναπτική ιστορία της Ελληνικής γλώσσας, με εισαγωγή στην ιστοριοσυγκριτική γλωσσολογία, Μ. Ρωμανός ΕΠΕ. Αθήνα 2002, 150. რამდენად მართებულია ბიზანტიის დაცემის შემდეგ მომდევნო პერიოდის მიკუთვნება შუა საუკუნეების ეპოქისათვის, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. თავად გ. ბაბინიოტისი ამის შესახებ წერს: "შეიძლება მი-გვეჩნია, რომ ბიზანტიის დაცემის შემდეგ მომდევნო პერიოდი სრულიად დამოუკიდებელი ეპოქა და ის ახალი საბერძნეთის პერიოდს უკავშირ-დება. მაგრამ თუ საბერძნეთის ისტორიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ეს ეპოქა უფრო წინა პერიოდის დასასრულს წარმოადგენს, ვიდრე ახლის დასაწყისს. ამაში გვარწმუნებს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა საბერძნეთის ისტორიაში – ერთი პოლიტიკური (თურქი დამპყრობ-ლებისაგან გათავისუფლება და ბერძნული სახელმწიფოს დაარსება), ხო-ლო მეორე – სულიერი ("ენობრივი რევოლუცია", რომელსაც შემდგომში დიმოტიკის სახელმწიფო ენად აღიარება მოჰყვა), რომლებიც ახალი ეპოქის დასაწყისს მოასწავებს. ასე რომ, ბიზანტიის დაცემის შემდეგი პერიოდი გარდამავალი პერიოდია და უფრო შუა საუკუნეებს მიეკუთვნე-ბა, ვიდრე ახალს".

<sup>2</sup> Μπαμπινιώτης Γ., *op. cit.*, 149.

<sup>3</sup> Mango G., Βυζάντιο, η αυτοκρατορία της Νέας Ρώμης, Μορφωτικό Ίδρυμα Εθνικής Τραπέζης, Αθήνα 1988, 25.

და კულტურის ენაა, ხოლო ლათინური *lingua legitima*, ე. ი. სახელმწიფო (კანონების) ენა. IV საუკუნის დასასრულიდან ლათინურის პარალელურად, ბერძნული ენის გამოყენებას იწყებენ სასამართლოებში, იურიდიულ საქმეებში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტში. იუსტიციანეს დროს სასამართლო საქმეებში მთავარ ენად ბერძნული იქცევა, თუმცა ლათინური ჯერ კიდევ შენარჩუნებულია სამეფო კარზე. ირაკლის ეპოქაში (610-641 წწ.) ოფიციალურად ორივე ენა თანაბარუფლებიანად ცხადდება. თანდათანობით ლათინური საერთოდ ქრება, თუმცა უამრავი ლათინური ტერმინი დღემდე შენარჩუნებულია ბერძნულ ენაში.<sup>1</sup>

შემდეგ იწყება ბრძოლა სამწერლობო და სასაუბრო ენებს შორის. ხალხური, სასაუბრო ენა ნელ-ნელა იწყებს ლიტერატურულ ენაში შეჭრას, რასაც საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა ხვდება, განსაკუთრებით ქრისტიანულ სასულიერო ლიტერატურაში. თავს იჩენს ე. წ. დიგლოსია: ერთი მხრივ, გამოიყენება ელინისტურ ხანაში ჩამოყალიბებული კოინე, ხოლო მეორე მხრივ – ხალხური, სალაპარაკო ენა.<sup>2</sup>

ბიზანტიურ პერიოდში განსაკუთრებით ვითარდება ლექსიკოგრაფია. იწერება ეტიმოლოგიური, დიალექტური, ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონები, მაგრამ ბიზანტიელები არც გრამატიკულ ნაშრომებს ივიწყებენ, თუმცა, გრამატიკას ამ პერიოდში სხვა დატვირთვა აქვს. მისი მთავარი დანიშნულება კლასიკური ავტორების შესწავლაა.<sup>3</sup> ბიზანტიელებს განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ორთოგრაფიას – ბერძნულად წერა-კითხვის შესწავლასაც – ეთმობა.

ლინგვისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ი. ფილოპონოსის (VI ს.) "სხვადასხვა აღნიშნულისა და აღსანიშნის შესახებ"

<sup>1</sup> Γλυκάτζη – Αρβελέρ Ε., Βυζάντιο, Ιστορία της Ελληνικής γλώσσας, επιμέλεια του Κοπιδάκη Η., Ελληνικό λογοτεχνικό και ιστορικό αρχείο, Αθήνα 1999, 128.

<sup>2</sup> Beck H. G., Η Βυζαντινή χλιετία, Μορφωτικό Ίδρυμα Εθνικής Τραπέζης, Αθήνα 1992, 203.

<sup>3</sup> The Cambridge Medieval History, The Byzantine Empire, vol. IV, part I, Byzantium and its Neighbours, Edited by J. M. Hussey, Cambridge University Press, Cambridge 1979, 46.

("Περὶ τῶν διαφόρων τοιουμένων καὶ διάφορα σημαίωντων"), რომელიც ძირითად სასკოლო გრამატიკას წარმოადგენს. აგრეთვე გრამატიკული ნაშრომების მნიშვნელოვან ავტორად გ. ქორობოსკოსი (IX ს.) შეიძლება ჩაითვალოს. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: "პროსოდის შესახებ", "პოეტური ხერხების შესახებ", "ეპიგრამები", განმარტებები თეოდოსიოს ალექსანდრიელის ნაშრომზე "წესები სახელთა ბრუნებისა და ზმნების უღლების შესახებ" ("Περὶ προσωδίας", "Περὶ τρόπων ποιητικῶν", "Ἐπιμερισμοί", "Κανόνες περὶ κλίσεως ὀνομάτων καὶ ῥημάτων") და სხვ. თეოგნოსტოსმა დაწერა "ორთოგრაფიის სახელმძღვანელო ათასსამი წესის ტიპის შესახებ" ("Ἐγχειρίδιον ὀρθογραφίας ὑπὸ τὸν τύπον χιλίων καὶ τριῶν κανόνων"), რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიზანტიურ განათლებაში. მ. სინგელოსი (IX ს.) ცნობილია თავისი ნაშრომით "წინადადების შედგენის მეთოდი" ("Μέθοδος περὶ τῆς τοῦ λόγου συντάξεως"), ხოლო გრიგორიოსი (XII ს.), კორინთოს მიტროპოლიტი, ნაშრომებით "იდიომებისა და დიალექტების შესახებ" ("Περὶ τῶν ἰδιωμάτων καὶ διαλέκτων") და "წინადადების შედგენის შესახებ ან როგორ არ დაკუშვათ შეცდომები საუბრისას" ("Περὶ συντάξεως τοῦ λόγου ἢ περὶ τοῦ μὴ σολοικίζεω"). კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ი. გლიკისმა (XIV ს.) დაგვიტოვა "დიალოგი გრამატიკის შესახებ" ("Περὶ γραμματικῆς διάλογος"). მნიშვნელოვანი გრამატიკული ნაშრომი წარმოადგინა მ. მოსხოპულოსმა "გრამატიკული კითხვები" ("Ἐρωτήματα γραμματικά"), რომელსაც კითხვა-პასუხის ფორმა აქვს. ანალოგიური სტილით არის დაწერილი ალორძინების პერიოდის პირველი გრამატიკა "ბერძნული ენის კითხვები" ("Ἐρωτήματα τῆς Ἑλληνικῆς γλώσσης") მ. ქრისოლორასის ავტორობით.<sup>1</sup> ა. გუდემანი აღნიშნავს, რომ მ. მოსხოპულოსმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის გრამატიკოსებზე, აქ იგულისხმება არა მხოლოდ მ. ქრისოლორასი არამედ, აგრეთვე ფ. მელანხთონიც.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Χαραλαμπάκης Χ., Βυζαντινά λεξικά και γραμματικές, Ιστορία της Ελληνικής γλώσσας, επιμέλεια του Κοσιδάκη Η., Ελληνικό λογοτεχνικό και ιστορικό αρχείο, Αθήνα 1999, 169.

<sup>2</sup> Gudeman A., op. cit., 149.

ამ ნაშრომების ავტორები, როგორც ჩანს, მიჰყვებიან უკვე არსებულ, ჰეროდოტოსის მიერ შემოღებულ სისტემას.

მიუხედავად ამ გრამატიკების არსებობისა, ბიზანტიაში XIII საუკუნემდე ბერძნული ენის ძირითად გრამატიკად მაინც დიონისიოს თრაკიელის ნაშრომი "გრამატიკის ხელოვნება" ("Τέχνη γραμματική") რჩება.

მოკლედ წარმოვადგენთ შუა საუკუნეების ბერძნულ ენაში არსებულ მორფოლოგიურ ვითარებას. შუა საუკუნეების გრამატიკების მიხედვით, სახელების ბრუნებისას შემდეგ მოვლენებს ვაფიქსირებთ: ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოების ასიმილაცია სახელობითი ბრუნვის დაბოლოებასთან, ძირითადად, პირველი ტიპის<sup>1</sup> ბრუნების სახელებთან. მაგალითად, ὁ τεχνίτης – τὸν τεχνίτη (τὸν τεχνίτου-ს ნაცვლად), ὁ ταμίᾱς – τὸν ταμίᾱ (τὸν ταμίου-ს ნაცვლად), ἡ δόξα – τῆς δόξας (τῆς δόξης-ს ნაცვლად).<sup>2</sup> ამავე პერიოდში პარალელურად იწყება მიცემითი ბრუნვის ფუნქციის გაუქმება და მისი შეცვლა ჯერ ბრალდებითი, ხოლო შემდგომ ნათესაობითი ბრუნვით. საერთოდ, მიცემითი უკვე კლასიკურ ეპოქაში გვიჩვენებს თავისი ფუნქციების შესუსტების ნიშნებს და ჩნდება მასთან ერთად წინდებულის გამოყენების საჭიროება.<sup>3</sup>

მნიშვნელოვანი ცვლილებები პირველი ტიპის და მესამე ტიპის ბრუნების სახელებმა განიცადეს. პირველი ბრუნების სახელებმა მრავლობითი რიცხვის წარმოება მესამე ბრუნების სახელების მსგავსად დაიწყეს, მაგალითად, ταμίαι > ταμίες, χάραι > χάρες, ხოლო მესამე ბრუნების სახელებმა მხოლობითი რიცხვის წარმოება, პირველი ბრუნების სახელთა მსგავსად, მაგალითად, χεῖμας > χεῖμασας, πατρίς > πατρίδα.

<sup>1</sup> შუა საუკუნეების გრამატიკების მიხედვით აღნიშნული მოვლენების აღწერისას გამარტივების მიზნით ვიყენებთ ძველი ბერძნულის გრამატიკებში შემდგომში დამკვიდრებული სამკანკლედობიანი კლასიფიკაციის ტერმინებს.

<sup>2</sup> Μπαμπινιώτης Γ., *op. cit.*, 161.

<sup>3</sup> გორდეზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., *op. cit.*, 166. დანვრილებით დატვივის ფუნქციების შესუსტებისა და გაუქმების შესახებ იხ. ჩვენი ნაშრომის გვ. 50-54.

რაც შეეხება მეორე ბრუნების სახელებს, მათ ტრადიციული ფორმაცვალება შეინარჩუნეს.

გარდა ამისა, მრავლობით რიცხვში -ες დაბოლოება სახელობითი ბრუნვის ანალოგიით ბრალდებით ბრუნვაშიც გამოიყენება. მაგალითად, οἱ πολίτες – τοὺς πολίτες, αἱ χῆρες – τὲς χῆρες.<sup>1</sup>

ეს ცვლილებები უფრო სწრაფად სასაუბრო ენაში მიმდინარეობდა. ნ. ანდრიოტისი აღნიშნავს: "შუა საუკუნეების ბერძნული სასაუბრო ენა ბერძნულ სისხლთან ერთად გადაეცემა თაობიდან თაობას, ვითარდება და უფრო და უფრო უახლოვდება ახალი ბერძნულის სახეს, რის შედეგადაც სამეცნიერო (ლიტერატურული) და სასაუბრო ენები ერთმანეთს გაემიჯნება".<sup>2</sup>

შეიძლება ამის მიზეზი ის არის, რომ მორფოლოგიის სფეროში ლიტერატურული ენა უფრო კონსერვატიულია და, შესაბამისად, სასაუბრო ენის მორფოლოგიური სიახლეები საკმაოდ ძნელად მკვიდრდება სამწერლობო ენაში.<sup>3</sup>

ამგვარად, შუა საუკუნეების გრამატიკებში ძველი ბერძნული ენის ბრუნების სისტემა ძირითადად მიჰყვება გვიანანტიკურ ეპოქაში ჰეროდოტისის მიერ შემოღებულ კლასიფიკაციას, ანუ დაყოფას დაბოლოებათა ანბანური რიგის მიხედვით.

<sup>1</sup> Αργυριάδης Γ., Νεοελληνική γλώσσα, Ιστορικές και γλωσσολογικές διαστάσεις, Εκδοτικός Οίκος αδελφών Κυριακίδη, Θεσσαλονίκη 1990, 167.

<sup>2</sup> Ανδριώτης Ν., *op. cit.*, 76.

<sup>3</sup> გორდუზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., *op. cit.*, 14.



## § 2. ალორძინების ხანა

ეს ეპოქა XV – XVIII საუკუნეებს მოიცავს. ენათმეცნიერების სფეროში ალორძინების ხანა ახალი ლინგვისტური თეორიების შემუშავებით ხასიათდება. ელადის კულტურის ხელახალმა ათვისებამ, ანტიკური ლიტერატურის ძეგლების შესწავლამ კლასიკური ფილოლოგიის განვითარება გამოიწვია. სერიოზული მუშაობა იწყება ბერძნული და ლათინური ტექსტების განმარტებებზე. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის იულიუს კეისარ სკალიგერიუსს, რობერტ სტეფანუსსა და მის შვილს ჰენრი სტეფანუსს, "ბერძნული ენის საგანძურის" ავტორს. რობერტ სტეფანუსი ტექსტების განმარტების გარდა ლათინური ენის გრამატიკაზეც მუშაობდა. მის კალამს ეკუთვნის "ლათინური ენის საგანძური" ("*Thesaurus linguae Latinae*") და ლათინური ენის სრული ლექსიკონი, მისმა შვილმა კი სახელი ბერძნულ ენაზე შექმნილი ნაშრომით გაითქვა: "ბერძნული ენის საგანძური" ("*Thesaurus Graecae linguae*"), რომელსაც ბერძნული ენის სრული ლექსიკონი ჰქონდა დართული. თავისი ნაშრომით მან გაამდიდრა იმ პერიოდის გრამატიკული ლიტერატურა.<sup>1</sup> ბერძნული ენის შესწავლა დაკავშირებულია ფ. მელანხთონის სახელთან. ფ. მელანხთონის ნაშრომი "ბერძნული ენის სწავლება" ("*Instutiones Linguae Graecae*") პირველად 1518 წელს გამოიცა, ხოლო შემდეგი გამოცემა 1622 წელს განხორციელდა.<sup>2</sup>

XVII საუკუნის ლინგვისტიკაში რადიკალური ცვლილებები ხდება; ჩნდება ახალი მიმართულება – რაციონალიზმი. პირველი "ზოგადი და რაციონალური გრამატიკა" შეიმუშავეს ფრანგმა ბერებმა – კლოდ ლანსლომ და ანტონ არნომ პორ-როიალიდან. ეს გრამატიკა 1660 წელს გამოიცა და პორ-როიალის სახელით არის ცნობილი. კ. ლანსლო და ა. არნო ცდილობდნენ, შეემუშავებინათ ყველა ენისათვის უნივერსალური, ზოგადი პრინციპები და დაედგინათ ენებში არსებული

<sup>1</sup> Gudeman A., op. cit., 188.

<sup>2</sup> Schwyzer E., op. cit., 8.

განსხვავებული ფორმების არსებობის მიზეზები. მათი მსჯელობის თეორიული ბაზისი დეკარტეს ფილოსოფია იყო. რაციონალისტები მიიჩნევდნენ, რომ გრამატიკა უშუალოდ უკავშირდება ლოგიკას. თუ ენა აზროვნების გამომხატველია, მაშინ ენის კატეგორიები აზრის კატეგორიებს წარმოადგენს. ამის გამო, გრამატიკა ენის შესწავლის დროს უნდა ეფუძნებოდეს ლოგიკას. ე. ი. გრამატიკა უნდა იყოს ლოგიკური, რაციონალური, თუ კაცობრიობას ერთი ლოგიკა აქვს, მაშინ მას ერთი უნივერსალური გრამატიკაც უნდა ჰქონდეს. გაუმართლებელია სხვადასხვა ენისათვის სხვადასხვა გრამატიკის შექმნა.<sup>1</sup>

გრამატიკული რაციონალიზმის განვითარებას ხელი შეუწყო სხვადასხვა ფაქტორმა:

- გრამატიკაში ლოგიკური იდეების შეტანა და გრამატიკულ სისტემაში მათი როლის ახლებური გაგება;
- რიტორიკის ცნებების გადააზრება და მათი მისადაგება გრამატიკულ აზროვნებასთან;
- ევროპულ ენებში მეტყველების ნორმირება;
- კლასიკური ენების როლის გადააზრება;
- საერთაშორისო ენობრივი კონტაქტების გაფართოება.<sup>2</sup>

ამავე პერიოდს უკავშირდება ხელოვნური ენების შემუშავება. ჩნდება ახალი ენების პირველი გრამატიკები, მაგალითად, უ. უოლისის "ინგლისური ენის გრამატიკა", ლ. ზიზანის "Грамматика словенска" და სხვ; გამოდის მრავალი ლექსიკონი.

როგორც აღვნიშნეთ, ალორძინების ეპოქაში განსაკუთრებული ინტერესი ჩნდება ძველი ბერძნულის შესწავლის მიმართ. ამ დროიდან ბერძნული სხვა ენებზე მეტად ისწავლება და იგი დიდ ზეგავლენას ახდენს ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაზე. XIV საუკუნის შემდეგ, კლასიკური ფილოლოგი-

<sup>1</sup> Кондрашов И., *op. cit.*, 20.

<sup>2</sup> Ольховиков Б. А., Теория языка и вид грамматического описания в истории языкознания, Становление и эволюция канона грамматического описания в Европе, Издательство "Наука", Главная редакция Восточной Литературы, Москва 1985, 134.

სადმი ინტერესის გამოლვიძებამ დიდად შეუწყო ხელი გრამატიკულ სწავლებას. ალორძინების ეპოქის გრამატიკოსები, ძირითადად, დაინტერესებულნი იყვნენ არსებული მასალის სისტემატიზაციითა და არა მისი კვლევით. მათ ვერ შეძლეს "κασιωνικόν" და "μὴ κασιωνικόν"-ის, ე. ი. ანალოგიისა და ანომალიის დადგენა; ისინი არსებულ ტერმინოლოგიას იყენებდნენ და არ იკვლევდნენ, რატომ ხდებოდა ესა თუ ის მოვლენა.<sup>1</sup> კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, ბევრი ბერძენი მეცნიერი იტალიაში გაიხიზნა, რამაც ევროპაში ბერძნული ენისადმი ინტერესის გაზრდა გამოიწვია. XV – XVI საუკუნეში სიცილიაზე გადასახლებული ბერძენი მეცნიერები პოლიგრაფიის სფეროში მნიშვნელოვან მოღვაწეობას იწყებენ. აქ იბეჭდება ძველი ბერძნული ენის სახელმძღვანელოები, როგორცაა, მაგალითად, მ. ქრისოლორასის "ბერძნული ენის კითხვები" ("Ἐρωτήματα τῆς Ἑλληνικῆς"), ალორძინების პერიოდის ბერძნული ენის პირველი გრამატიკა (გამოცემული 1489 წ.)<sup>2</sup> და კ. ლასკაროსის "საუბარი მეტყველების რვა ნაწილის შესახებ" ("Ἐπιτομὴ τῶν ὀκτῶ τοῦ λόγου μερῶν") ანუ "კითხვები" ("Ἐρωτήματα"). თავის ნაშრომში, რომელიც 1495 წელს გამოიცა, კ. ლასკაროსი ბრუნებაზე მსჯელობისას ბრუნების ხუთ ტიპს გამოყოფს ე. წ. შერწყმულ სახელთათვის და ხუთ ტიპს – შეურწყმელთათვის. შერწყმულია, მისი აზრით, ის სახელები, რომელთა ზოგიერთ ბრუნვაში შერწყმა ხდება. მაგალითად, τοῦ Δημοσθένους < Δημοσθέν-εσος < -εος < -ους; αἱ πόλεις < πόλ-εις; οἱ βασιλεῖς < βασιλέ-εις. აქ კლასიფიკაცია ემყარება არა სქესს, არამედ თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობას. კ. ლასკაროსი შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

პირველი ტიპი – მამრობითი სქესის სახელები -ας, -ης ბოლოკიდურიანები. მაგალითად, Αἰνείας, Χρῦστος.

მეორე ტიპი – მდედრობითი სქესის -ა, -η ბოლოკიდურიანები. მაგალითად, ἡ μῦσα, ἡ τιμῆ.

<sup>1</sup> Σταματάκος I., op. cit. 11.

<sup>2</sup> Gudeman A., op. cit., 173.

მესამე ტიპი – მამრობითი და მდედრობითი სქესის ატიკური სახელები, რომლებიც -ας-ზე ბოლოვდება და საშუალო სქესის -ას ბოლოკიდურიანები. მაგალითად, ὁ Μενέλαος, ἡ ἄλως.

მეოთხე ტიპი – მამრობითი და მდედრობითი სქესის -ოს ბოლოკიდურიანი და საშუალო სქესის -ოს ბოლოკიდურიანი სახელები. მაგალითად, ὁ λῆγιος, ἡ ὀδὸς, τὸ ξύλον. ოთხივე ტიპის სახელები თანაბარმარცვლიანია.

მეხუთე ტიპი – არათანაბარმარცვლიანი მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის სახელები, სხვადასხვა დაბოლოებებით. მაგალითად, ὁ Αἶας, ὁ τρυγῶν, τὸ βῆμα. ამის პარალელურად ხუთი ტიპის ბრუნება გამოყოფილია შერწყმულ სახელთათვის, როგორცაა ὁ βασιλεύς, ἡ πόλις და ა. შ.

ანალოგიურ კლასიფიკაციას გვთავაზობს თ. გაზი ნაშრომში "გრამატიკის წიგნები" ("Γραμματικῆς βιβλία"), რომელიც 1525 წელს გამოიცა. თ. გაზისა და კ. ლასკაროსის მიერ შემოთავაზებულ ბრუნების ტიპებს ვხვდებით მოგვიანებითაც XIX საუკუნის გრამატიკებში, კერძოდ, ს. კომიტასის ნაშრომში "ბერძნული ენის პედაგოგიური გაკვეთილები. გრამატიკა" ("Παιδαγωγικὰ μαθήματα ἑλληνικῆς. Γραμματικῆ") (1828 წ.) და კ. კუმასის წიგნში "გრამატიკა სკოლებში" ("Γραμματικὴ διὰ σχολείων") (1825 წ.).<sup>1</sup>

1635 წელს ფ. მელანხთონის მონაფის, ი. ველერუსის გრამატიკის "ბერძნული ენის გრამატიკა" ("Grammatica Graeca") გამოცემის შემდეგ, ბერძნულ ენაში დამკვიდრდა სამბრუნებიანი სისტემა, რომელმაც შემდგომში მსოფლიოში დიდი აღიარება მოიპოვა<sup>2</sup> და ძველი ბერძნული ენის სწავლის პროცესში მთავარ კლასიფიკაციად იქცა, როგორც ევროპაში, ასევე საბერძნეთში.<sup>3</sup> ბერძნულ ენათმეცნიერებაში პირველი გრამატიკა, სადაც მოცემულია ი. ველერუსის მიერ შემოთავაზებული სისტემა, გ. გენადიუს ეკუთვნის, ეს არის "ბერძნული ენის გრა-

<sup>1</sup> Τσοπανάκης Α., *op. cit.*, 207-208.

<sup>2</sup> Kühner R., *op. cit.*, 365.

<sup>3</sup> Τσοπανάκης Α., *op. cit.*, 208.

მატიკა" ("Γραμματική τῆς ἑλληνικῆς γλώσσης"), გამოცემული 1857 წელს.

აღორძინების ეპოქაში ჩნდება ახალი ბერძნულის გრამატიკებიც. ერთ-ერთი ასეთი გრამატიკის ავტორი არის ნ. სოფიანოსი, ცნობილი მეცნიერი კერკირადან. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი: "ბერძენთა საერთო ენის გრამატიკა" ("Γραμματική τῆς κοινῆς τῶν Ἑλλήνων γλώσσης").

ეს ნაშრომი შედგებოდა სამი: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული და სინტაქსური ნაწილისაგან, თან ერთვოდა ლექსიკონი. მათგან მხოლოდ პირველი ნაწილის ხელნაწერი შემორჩა. იგი ბერძნული ენის მორფოლოგიას ეხება. ნ. სოფიანოსის გრამატიკა, ფაქტობრივად, ახალი ბერძნული ენის პირველ გრამატიკად შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც აღწერილია XVI საუკუნის ახალი ბერძნულის მორფოლოგია. ეს გრამატიკა 1870 წელს აღმოაჩინა და გამოსცა ე. ლეგრანმა.

თანამედროვე ბერძნულის გრამატიკის შექმნითა და კლასიკური ნაწარმოებების ახალ ბერძნულად თარგმნით ნ. სოფიანოსი მიზნად ისახავდა მრავალი თაობის აღზრდას. გრამატიკის შესავალში იგი ამბობს: "დიდი ხნის უმძიმესი მონობის პირობებში ჩვენი ერი დაეცა და წინაპრების მემკვიდრეობა დაივიწყა. ამიტომაც, სხვადასხვა წიგნიდან საჭირო ცოდნა შევაგროვე, რათა ბერძენი ხალხი უმეცრებისაგან დამეცვა!"<sup>1</sup>

ნ. სოფიანოსის ნაშრომში მოცემულია სამი კანკლედობა იმ განსხვავებით, რომ ძველი ბერძნულის მესამე კანკლედობის ზოგი სახელი აქ სახელობით ბრუნვას პირველი კანკლედობის მსგავსად აწარმოებს. მაგალითად, ὁ πατήρ – ὁ πατέρας, ὁ βασιλεὺς – ὁ βασιλέας, თუმცა ნათესაობით ბრუნვაში ეს სახელები ძველი ბერძნულისათვის დამახასიათებელ დაბოლოებას იწარჩუნებენ. მაგალითად, τὸν πατέρα, τὸν βασιλέα. თავის მხრივ, პირველი კანკლედობის ზოგიერთი სახელი ნათესაობით ბრუნვას მესამე კანკლედობის სახელის, γυτή – γυναϊκός-ის

<sup>1</sup> Karanizola E., Η πρώτη γραμματική της κοινῆς, Ιστορία της Ελληνικῆς γλώσσας, Επιμέλεια του Κορινθίου Η., Ελληνικό λογοτεχνικό και ιστορικό αρχείο, Αθήνα 1999, 214.

ანალოგიით აწარმოებს. მაგალითად, ἡ κοπέλα – τῆς κοπέλας, ὁ ἀσθέντης – τοῦ ἀσθεντός. მესამე კანკლედობის -ის დაბოლოებიანი მდედრობითი სქესის სახელები მრავლობით რიცხვს პირველი კანკლედობის -ა, -ი-ზე დაბოლოებული სახელების მსგავსად აწარმოებენ. მაგალითად, ἡ φύσις – οἱ φύσεις. (თავდაპირველად ეს ფორმა იწერებოდა φύσις, სადაც αἰ (ახალი ბერძნულის გამოთქმით e) ძველი ბერძნულის პირველი კანკლედობის მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ანალოგიით (αἰ τιμαί) იყო გამოწვეული).<sup>1</sup>

რაც შეეხება პირველი და მეორე კანკლედობის სახელებს, თუ არ ჩავთვლით ბრალდებითი ბრუნვის -ν დაბოლოებას, ეს სახელები ისევე იბრუნვის, როგორც თანამედროვე ბერძნულში. -ი-ზე დაბოლოებულ საშუალო სქესის სახელებს ბრალდებით ბრუნვაში არ აქვთ -ν დაბოლოება. მაგალითად, μαχαίρι, παιδί. გარდა ამისა, ნ. სოფიანოსი საშუალო სქესის სახელების ბრუნებისას გაურბის სინიძესისს. მაგალითად, მას აქვს გამოყენებული ფორმები: τοῦ ψαμίου – τοῦ ψαμιου-ს ნაცვლად, τῶν ψαμίων – τῶν ψαμιων-ის ნაცვლად და ა. შ. ამ პერიოდის ბერძნულში მიცემითი უკვე გასულია ხმარებიდან, მაგრამ ნ.სოფიანოსი ძველი ბერძნულის გრამატიკების ზეგავლენით ჯერ კიდევ საუბრობს ამ ბრუნვაზე.

მრავლობით რიცხვში მდედრობითი სქესის არტიკლის ბრუნებისას ნ. სოფიანოსი პარალელურად ორ ტიპს გვთავაზობს: οἱ და αἱ. αἱ-ს სისტემატური შეცვლა მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის საერთო არტიკლით οἱ, როგორც ჩანს, უკვე შუა საუკუნეებში უნდა დაწყებულიყო (VII-XI სს.). ჰ.ტონე გადმოგვცემს, რომ ნ. სოფიანოსს არტიკლის სქემაში ბრალდებითი ბრუნვის არტიკლად ταις აქვს დასახელებული (რომელსაც დღეს τες ეწოდება)<sup>2</sup> და რომელიც ძველ ბერძნულში მიცემითი ბრუნვის არტიკლად ითვლებოდა.

ალორძინების ხანაში ბერძნული ენის ბრუნების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. კ. ლასკაროსი ბრუნვის

<sup>1</sup> Karantzόλα E., op. cit., 214.

<sup>2</sup> Tonnet H., op. cit., 123.

ათ ტიპს გვთავაზობს: ხუთს შერწყმულ სახელთათვის და ხუთს შერწყმელთათვის. ი. ველერუსს შემდგომში საყოველთაოდ აღიარებული სამბრუნებიანი სისტემა შემოაქვს, იქმნება ახალი ბერძნულის გრამატიკა (ნ. სოფიანოსის), რომელიც მიჰყვება ამ სქემას, თუმცა რამდენადმე შეცვლილი სახით.

## თავი IV

### ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის (XVIII – XIX საუკუნეები)

#### § 1. ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა

XVIII საუკუნემდე ენა ისწავლებოდა, როგორც უცვლელი ფენომენი. ძირითადად ხდებოდა ენაში არსებული ამა თუ იმ პრობლემის აღწერა, ენის განვითარების გათვალისწინების გარეშე. პირველად, 1725 წელს, იტალიელმა მეცნიერმა ჯანბატისტა ვიკომ თავის ნაშრომში "ახალი მეცნიერება" დასვა საკითხი ენის განვითარების ობიექტური კანონზომიერების შესახებ. მაგრამ ევროპაში, უკვე აღორძინების ეპოქიდან სხვადასხვა ენებს შორის კავშირის დამყარების ტენდენციები ჩანდა, რაც თავისთავად ენების შედარების საფუძველს ამზადებდა. ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ერთ-ერთ წინამორბედად პოლანდიელ მეცნიერ ი. სკალიგერს ასახელებენ. მან პირველმა სცადა ევროპული ენების დაჯგუფება. იგი ევროპული ენების თერთმეტ ჯგუფს და ოთხ ძირითად შტოს გამოყოფს. ესენია: ლათინური (რომანული), ბერძნული, გერმანული და სლავური. ასევე მნიშვნელოვანია გ. ლაიბნიცის, რუსი მეცნიერის მ. ლომონოსოვისა და ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნის ვ. ჯოუნზის მიღწევები.

თანდათანობით მეცნიერთა კვლევის საგნად არა ცალკეული ენობრივი მოვლენები, საერთოდ ენა, არამედ კონკრეტული ენები, მათი განვითარების ეტაპები, ისტორიული ცვლილებები და გენეტიკური კავშირები იქცა. *Ars grammatica* გახდა *scientia*. თანდათანობით წარმოიშვა ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. მაგრამ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მეცნიერული ძიებანი თანდათანობით ვითარდებოდა და ამ განვითარების შედეგია ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა: "ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება წარ-



მოიშვა არა როგორც წინა შეხედულებებისა და სამეცნიერო კვლევების ევოლუციის შედეგი, არამედ როგორც ახალი სამეცნიერო მიმართულება, რომელმაც საკვლევო პრობლემების ახალი გზები და ენობრივი ფაქტებისადმი მიდგომის სრულიად ახალი მეთოდები დასახა".<sup>1</sup>

ენის ისტორიულ-შედარებითი კვლევის ისტორიას მეცნიერები რამდენიმე პერიოდად ჰყოფენ:

1. ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ჩამოყალიბებიდან ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლის შეხედულებათა ფორმირებამდე (XIX საუკუნის დასაწყისიდან 1870 წლამდე).
2. ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლის პერიოდი (XIX საუკუნის 70-90 წლები).
3. ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლიდან ფერდინანდ დე სოსიურის "ზოგადი ლინგვისტიკის კურსის" ("Cours de linguistique générale") გამოჩენამდე, ხეთური ძეგლების გაშიფვრამდე (XIX საუკუნის დასასრული - XX საუკუნის დასაწყისი).
4. ფერდინანდ დე სოსიურის იდეების გავრცელებიდან დღევანდელ დღემდე.<sup>2</sup>

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება ბერძნული ენის სხვა ენებთან (უპირველეს ყოვლისა სანსკრიტთან) შედარების საფუძველზე წარმოიშვა. ბერძნული ენის გენეტიკურ მსგავსებაზე ლათინურ, გერმანულ ენებთან და სანსკრიტთან მეცნიერები უკვე ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ჩამოყალიბებამდე მსჯელობდნენ. მეცნიერებაში გადატრიალება მაშინ მოხდა, როცა დაადგინეს არსებულ განსხვავებათა კანონზომიერებანი მონათესავე ენებს შორის. პირველად ეს ფ. ბოპმა გააკეთა. იგი ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ფუძემდებლად ითვლება. 1816 წელს ფ. ბოპმა გამოსცა ნაშრომი "სანსკრიტის უღლების სისტემა ბერძნული, ლათინური, სპარსული და გერმანული ენების სისტემებთან შედარებით" ("Über das

<sup>1</sup> Десницкая А., Предисловие, Понимание историзма и развития в языкознании первой половины XIX века, "Наука", Ленинград 1984, 3-4.

<sup>2</sup> Кондрашов И. Д., *op. cit.*, 39.

Conjugationssystem der Sanskritsprache in Vergleichung mit jenem der griechischen, lateinischen, persischen und germanischen Sprachen"). ეს იყო პირველი სპეციალური ნაშრომი ინდოევროპული ენების შედარებით გრამატიკაში. ფ. ბოპი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ არსებობდა დიდი მსგავსება სანსკრიტს, ბერძნულსა და ლათინურ ენებს შორის. იგი წერდა: "მიმაჩნია, რომ სანსკრიტის მსგავსება ბერძნულ და ლათინურ ენებთან საკმაოდ დიდია... უკვე დიდი ხანია მიზნად მაქვს დასახული სანსკრიტის სხვა ენებთან შედარებითი გრამატიკის დანერა... ბერძნული, ლათინური და გერმანული ენების შესახებ მე საკმაოდ ბევრი რამის თქმა შემიძლია, ფრ. შლიგელზე უფრო მეტის, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება მომდევნო თაობის გრამატიკოსებისათვის".<sup>1</sup>

ფ. ბოპის მთავარი ნაშრომი – "შედარებითი გრამატიკა" ("Vergleichende Grammatik") – 1833 წელს გამოიცა. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორს მიზნად არ ჰქონდა დასახული წინარე ენის ფორმები აღედგინა შედარებითი მეთოდის გამოყენებით, რაც არც თუ ისე იშვიათია ინდოევროპული ენების შედარებითი გრამატიკის მკვლევრებთან. ფერდინანდ დე სოსიურის აზრით, ლინგვისტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას სწორედ წინარე ენის რეკონსტრუქცია უნდა წარმოადგენდეს. "ლინგვისტიკის ამოცანაში შედის: ყველა ენის ისტორიული კვლევა და აღწერა, რასაც მივყავართ ყველა ენათა ოჯახების ისტორიის შექმნისაკენ და რამდენადაც შესაძლებელია მათი წინარეენების რეკონსტრუქციისაკენ".<sup>2</sup> ფ. ბოპი საერთოდ არ მსჯელობს წინარეენის შესახებ; მის მთავარ ამოცანას გრამატიკული ფორმების წარმომავლობის დადგენა წარმოადგენს. მისი განცხადებით, მან შეძლო ეჩვენებინა სანსკრიტის, ბერძნული, ლათინური და გერმანული ენების გრამატიკული ფორმე-

<sup>1</sup> Десницкая А., Франц Бопп – Основоположник сравнительно-исторического изучения языковых структур, Понимание историзма и развития в языкознании первой половины XIX века, "Наука", Ленинград 1984, 111.

<sup>2</sup> Соссюр Ф., Труды по языкознанию, Переводы с французского языка под редакцией Холодовича А. А., "Прогресс", Москва 1977, 44.

ბის მნიშვნელობა და მათი წარმომავლობა. ამ მხრივ საინტერესოა ფ. ბოპის თეორია "ფუძეების შესახებ". მისი აზრით, ფუძეები – უმარტივესი ენობრივი ელემენტები – დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა და მათი შეერთებით ყველა გრამატიკული ფორმა წარმოიშობა. ნებისმიერი სუფიქსი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა. ასე რომ, ბრუნვის ნიშნებსაც, თავისთავად უნდა ჰქონოდათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ფ. ბოპმა პირველმა დაადგინა, რომ სახელობითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვის ნიშანი -s წარმოიშვა ბერძნული ნაცვალ-სახელიდან  $\acute{o}$  (< \*s $\acute{o}$ ). ბრუნვების სხვა ნიშნების წარმომავლობის დადგენისას მისი ჰიპოთეზები ნაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.<sup>1</sup>

ფ. ბოპის მიმდევრები იყვნენ: რ. რასკი, რომელიც სკანდინავიური და სხვა გერმანული ენების ლექსიკას უდარებდა ბერძნულ და ლათინურ ენებს და ი. გრიმი, რომელიც მუშაობდა გერმანული, სანსკრიტისა და ბერძნული ენების ისტორიულ-შედარებით ფონეტიკაზე. ამ ორი უკანასკნელი ენის ნათესაობის აღმოჩენამ XIX საუკუნის ფილოლოგების მსოფლმხედველობაში რევოლუცია მოახდინა. ამ აღმოჩენის საფუძველზე, ვ. ჰუმბოლდტმა განაცხადა, რომ ენა არის არა  $\xi\rho\upsilon\sigma$ , არამედ  $\xi\sigma\rho\upsilon\epsilon\lambda\alpha$ , ანუ ის, რაც მუდმივად იცვლება და ვითარდება. ენის განვითარებაში, მის ისტორიულ ცვლილებებში ჩანს ენის არსი.<sup>2</sup>

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია ა. ფ. პოტის, ტ. ბენფის, გ. კურციუსის, ა. შლეიხერის, ა. ფიკის, ფ. ფორტუნატოვისა და ლაიფციგის გრამატიკოსების: ჰ. ოსტჰოფის, კ. ბრუგმანის, ა. თუმბის სახელებთან.

ა. ფ. პოტის მთავარი ნაშრომია "ეტიმოლოგიური გამოკვლევები ინდოევროპულ ენებში. ბგერების გადასვლა სანსკრიტში, ბერძნულ, ლათინურ, ლიტვურ და გოთურ ენებში".

<sup>1</sup> Десницкая А., *op. cit.*, 113-120.

<sup>2</sup> Широков О. С., *История греческого языка*, издательство Московского Университета, Москва 1983, 5-6.

ამ ნაშრომით მან ეტიმოლოგიის მეცნიერულ შესწავლას ჩაუყარა საფუძველი. გარდა ამისა, მას დიდი წვლილი მიუძღვის ინდოევროპული ენების შედარებითი ფონეტიკის განვითარებაში. "ახალგაზრდა გრამატიკოსები" მას თავის წინამორბედად თვლიდნენ. იმ დროის ცნობილი ენათმეცნიერი აგრეთვე იყო გერმანელი მკვლევარი ა. კუნი, რომელიც ლინგვისტური პალეონტოლოგიისა და შედარებითი მორფოლოგიის ფუძემდებლად გვევლინება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლინგვისტები იწყებენ შედარებითი მეთოდის გამოყენებას ცალკეული ინდოევროპული ენების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სანსკრიტს. თუ აქამდე სანსკრიტის კვლევა მხოლოდ შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისით ხდებოდა, ახლა უკვე საკუთრივ ენის შესწავლა იწყება, რაც ხელს უწყობს ინდური ფილოლოგიის განვითარებას.

შედარებითი ენათმეცნიერების საბაზისო ენად კვლავ სანსკრიტი რჩება. დიდი ხნის განმავლობაში კლასიკური ფილოლოგიის წარმომადგენლები არ იყენებდნენ შედარებით მეთოდს. პირველად ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება გერმანელმა ენათმეცნიერმა გ. კურციუსმა დაიწყო. მისი მთავარი ნაშრომია "ბერძნული ეტიმოლოგიის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები" ("Grundzüge der griechischen Etymologie").<sup>1</sup>

ამავე დროს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ფარგლებში რამდენიმე სკოლა ჩნდება. მათ შორის ნატურალისტური, ფსიქოლოგიური, ლოგიკურ-გრამატიკული, ფორმალურ-გრამატიკული და სხვ.

უფრო დანვრილებით შევჩერდებით გ. კურციუსის "ბერძნული ენის გრამატიკაზე" ("Griechischen Grammatik"). მან არსებითი გავლენა მოახდინა ენათმეცნიერების განვითარებაზე. გარდა ზემოაღნიშნული ნაშრომისა, მან გამოსცა "ბერძნული და ლათინური გრამატიკის გამოკვლევა" ("Studien zur

<sup>1</sup> Кондрашов И. Д., *op. cit.*, 57.

griechischen und lateinischen Grammatik"), მის კალამს ასევე ეკუთვნის: "ბერძნული ენის ზმნა" ("Das Verbum der griechischen Sprache") და "უახლესი ლინგვისტიკის კრიტიკისათვის" ("Zur Kritik der neuesten Sprachforschung").

გ. კურციუსის აზრით, კლასიკური ენების სწავლების დროს მნიშვნელოვანია შედარებითი მეთოდის გამოყენება. მისმა აღმოჩენამ დიდი გავლენა მოახდინა ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაზე და ლინგვისტიკის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა.

"ბოლო ათწლეულის განმავლობაში ენათმეცნიერება ძალიან შეიცვალა. მოხდა არა მხოლოდ შეხედულებების დახვეწა ენის არსსა და ისტორიაზე, არამედ – და ამას ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ – ენების შესწავლის სრულიად ახალი მეთოდი მოიძებნა. ვ. ჰუმბოლდტის, ფ. ბოპისა და ი. გრიმის შრომების წყალობით, რომელთაგან პირველი ცნობილია თავისი ფილოსოფიური გამოკვლევებით, ხოლო უკანასკნელი ისტორიულ-შედარებითით, ენათმეცნიერებაში ახალი ეპოქა დაიწყო" – წერდა იგი.<sup>1</sup>

გ. კურციუსი განსაკუთრებულ ყურადღებას ეტიმოლოგიას უთმობს, ვინაიდან მასში ყველაზე მეტად ჩანს ის ცვლილებები, რომლებიც ენაში ხდება. თუმცა ფორმების ეტიმოლოგიური კვლევა ყოველთვის არ აძლევს საშუალებას ერთნაირ შედეგს მიაღწიოს ლათინურსა და ბერძნულ ენებში.<sup>2</sup>

გ. კურციუსის ნაშრომი – "ბერძნული ენის გრამატიკა" – პრაქტიკულ ხასიათს ატარებს. მას სახელმძღვანელოს დანიშნულება აქვს. ამის გამო, აქ ნაკლებად ვხვდებით სუბიექტურ შეხედულებებსა და მეცნიერებაში არსებულ განსხვავებულ აზრებს ამა თუ იმ საკითხზე. გ. კურციუსის აზრით, "სახელმძღვანელო გამორიცხავს ყველა სუბიექტურ დებულებას, ყველაფერს, რაც ეფუძნება შეხედულებებსა და სათანადო დასკვნების გამოტანას".<sup>3</sup>

<sup>1</sup> Курциус Г., Греческая учебная грамматика, перевод с немецкого Миловидова В., вь Университетской типографии, Москва 1862, 7.

<sup>2</sup> Курциус Г., *op. cit.*, 8.

<sup>3</sup> Курциус Г., *op. cit.*, 9.

გ. კურციუსის გრამატიკის მეორე თავი ბრუნებასა და უღლებას ეთმობა. გ. კურციუსი ბრუნებაზე მსჯელობისას გამოყოფს ბრუნების ორ ტიპს: პირველ ძირითად ბრუნებას და მეორე ძირითად ბრუნებას. იგი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად მხოლოდ ერთი ბრუნება უნდა ყოფილიყო, ამიტომაც ბევრი რამ საერთო შემორჩა ორივე ბრუნებას.

პირველ ძირითად ბრუნებას იგი სხვანაირად ხმოვანფუძიან ბრუნებასაც უწოდებს. აქ შედის  $\alpha$  და  $\sigma$  ფუძიანი სახელები. მეორე ბრუნებას გ. კურციუსი მოიხსენიებს, როგორც თანხმოვანფუძიან ბრუნებას. აქ შედის თანხმოვანფუძიანი, დიფთონგებზე,  $\iota$  და  $\upsilon$  ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები, ზოგი  $\sigma$  ფუძიანი სახელიც.

პირველი ძირითადი ბრუნების სახელებს გ. კურციუსი ორ ქვებრუნებად ყოფს:

- ა) ბრუნება –  $\alpha$  (ჩვეულებრივ, პირველ ბრუნებად წოდებული)
  - ბ) ბრუნება –  $\sigma$  (ჩვეულებრივ, მეორე ბრუნებად წოდებული).
- რაც შეეხება მეორე ძირითად ბრუნებას, აქ იგი სამ პუნქტს გამოყოფს რამდენიმე ქვეპუნქტით. ეს პუნქტებია:

1. თანხმოვანფუძიანი სახელები

- ა) ლაბიალურ-გუტურალურფუძიანი სახელები;
- ბ) დენტალურფუძიანი სახელები;
- გ) ნარნარა ბგერებზე დაბოლოებული სახელები;

2. ხმოვანფუძიანი სახელები

- ა) რბილ ხმოვნებზე ( $\iota$ ,  $\upsilon$ ) დაბოლოებული სახელები;
- ბ) ორხმოვნიან ფუძეებზე დაბოლოებული სახელები;
- გ)  $\sigma$  ფუძიანი სახელები;

3. სახელები, რომელთა ფუძეები ელიზიას ექვემდებარება

- ა)  $\sigma$  ფუძიანი სახელები;
- ბ)  $\tau$  ფუძიანი სახელები;
- გ)  $\nu$  ფუძიანი სახელები;<sup>1</sup>

გ. კურციუსს მოცემული აქვს პირველი და მეორე ძირითადი ბრუნებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები. ესენია:

<sup>1</sup> Kypriyc Γ., op. cit., 36-46.

1. მამრობითი სქესის სახელებს მხოლოდით რიცხვში ორივე ბრუნებაში აქვთ -s დაბოლოება;

2. მხოლოდითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში -i. (პირველ ბრუნებაში სუბსკრიპტუმით);

3. ბრალდებით ბრუნვაში სმოვანფუძიან და დიფთონგებზე დაბოლოებულ სახელებს აქვთ -v;

შენიშვნა: მეორე ბრუნებაშიც თავდაპირველად მხოლოდითი რიცხვის ბრალდებითი ბრუნვის ნიშნად უნდა გვექონოდა -v. იგი თანხმოვანფუძიან სახელებს უერთდებოდა შემაერთებელი ხმოვნის, -a-ს საშუალებით. მაგალითად, ბნბvT-a-v. მოგვიანებით -v გაქრა და ბრუნვის ერთადერთ ნიშნად დარჩა -a: ბნბvT-a.

4. ორობითი რიცხვის ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშანია -lv

(-alv, -olv);

5. მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაშია -av;

6. მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვის ნიშანი თავდაპირველად ყველგან იყო -sv(v);

7. მრავლობითი რიცხვის ბრალდებითი ბრუნვის ნიშანი იყო -vs, ხმოვნების შემდეგ -v ამოვარდა და შეიცვალა -as, -avs დაბოლოებით, თანხმოვნების შემდეგ გვექონდა შემაერთებელი ხმოვანი- a, საბოლოოდ -v აქაც ამოვარდა: ბნბvT-a(v)-s.

8. საშუალო სქესის ყველა სახელს მრავლობითი რიცხვის სახელობით, ბრალდებით და ნოდებით ბრუნვაში აქვს -a დაბოლოება;

აქვე გ. კურციუსი აღნიშნავს, რომ ძირითადი განსხვავებები შეინიშნება მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში, სადაც მეორე ბრუნების სახელებს აქვთ ყოველთვის -os (-as) და მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში, სადაც მეორე ბრუნების სახელებს აქვთ -es დაბოლოება.<sup>1</sup>

გ. კურციუსს განხილული აქვს არანესიერი ბრუნება, სადაც სამ შემთხვევას გამოყოფს:

<sup>1</sup> Kypuiyc Γ., op. cit., 61.

1. ჰეტეროკლასია (ἑτεροκλασία – განსხვავებული ბრუნება), სადაც გვაქვს ორი ფუძის შერევა, რომელთაც სახელობითი ბრუნვის ერთი და იგივე ფორმა გააჩნია. მაგალითად, სახ. σκῆτος, ნათ. σκῆτου (ო ფუძიანი ბრუნება) და σκῆτους (მეორე ძირითადი ბრუნება);

2. მეტაპლაზმოსი (μεταπλασμός – განსხვავებული წარმოება), სადაც ცალკეული ბრუნვების წარმოება სხვადასხვა ფუძიდან ხდება – მაგალითად, მხ. სახ. τὸ δένδριον, მრ. მიც. δένδρεσι(ν);

3. τ ფუძიანი საშუალო სქესის სახელები, მხოლოდითი რიცხვის სახელობით, ბრალდებით და ნოდებით ბრუნვებში მათ აკლიათ τ, ხოლო დანარჩენ ბრუნვებში ρ. მაგალითად, τὸ φρέαρ – φρέατος, τὸ ἥπαρ – ἥπατος.

გარდა ამისა, გ. კურციუსს ანბანის მიხედვით მოცემული აქვს თავისებურად ბრუნებადი სხვა სახელები, მათ შორის ἀνῆρ, γόνυ, γυρή, δόρυ, νῆψ, σῆς, χεῖρ და სხვ.<sup>1</sup>

1879 წელს გამოიცა რ. კიუნერის "ბერძნული ენის გრამატიკა" ("Grammatik der Griechischen Sprache"). ეს ნაშრომი გამოცემულია ორ ტომად, ამათგან პირველში შესულია ბერძნული ენის ფონეტიკა და მორფოლოგია, ხოლო მეორეში – სინტაქსი. რ. კიუნერის გრამატიკა ბერძნული ენის ფუნდამენტურ აღწერას წარმოადგენს. ავტორი თავის ნაშრომში ბრუნების სამ ტიპს გამოყოფს. პირველ ტიპს განეკუთვნება α (-α, -η) ფუძიანი სახელები, მეორეს ο ფუძიანები, ხოლო მესამეს – თანხმოვანფუძიანი ან ხმოვნებზე, ძირითადად, -ι და -υ-ზე დაბოლოებული სახელები. პირველი ტიპის სახელებს თანაბარმარცვლიანი (ἰσοσύλλαβοι κλίσεις), ხოლო მესამე ტიპისას არათანაბარმარცვლიანი (περιττοσύλλαβος) ბრუნება ახასიათებთ. არათანაბარმარცვლიანია ბრუნება, როცა სახელს ირიბ ბრუნვებში მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვასთან შედარებით ერთი მარცვლით მეტი აქვს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Κυρμυς Γ., op. cit., 61-64.

<sup>2</sup> Kühner R., op. cit., 364.



რ. კიუნერი ცალკე განიხილავს თითოეულ ბრუნებას თავისი მაგალითებით. მოცემული აქვს ბრუნების ტიპებისათვის დამახასიათებელი დაბოლოებების სქემები ძველი ბერძნულის დიალექტების მიხედვით.

პირველი ბრუნების დაბოლოებები:  
მედრ. სქესი მხ. რ.

	ბეოტ.	ლესბ.	დორ.	პომ.	პერ.	ატიკ.
Nom.	ა ἄ	ა ἄ	ა ἄ	η (ἄ) ἄ	η ἄ	η ἄ ἄ ἄ
Gen.	ας	ας	ας	ας	ης ἡς	ης ἄς ἡς
Dat.	αι αε η	φ α	φ	η (φ) η	η η	η φ η
Acc.	αυ ἄυ	αυ ἄυ	αυ ἄυ	ηυ (αυ) ἄυ	ηυ ἄυ	ης αυ ἄυ ἄυ
Voc.	α ἄ	ἄ	α ἄ	η ἄ (ἄ) ἄ	η ἄ	η ἄ ἄ ἄ

მამრ. სქესი მხ. რ.

	ბეოტ.	ლესბ.	დორ.	პომ.	პერ.	ატიკ.
Nom.	ας (ἄ)	ας	ας	ης ἄ (ας)	ης	ης ἄς
Gen.	αο	α	α	αο εω (ω)	εω (ω)	ου
Dat.	αι αε η	φ (ἄ)	φ	η (φ)	η	η φ
Acc.	αυ	αυ	αυ	ηυ (αυ)	ηυ	ηυ ἄυ
Voc.			α ἄ	η ἄ (ἄ)	η ἄ	η ἄ α

მრ. რ.

	პეოტ.	ლეშბ.	დოიჩ.	ჰომ.	ჰერ.	ატიკ.
Nom.	აი აე ე	აი	აი	აი	აი	აი
Gen.	აიონ (აი)	აი	აიონ (აი)	აიონ (აი)	აიონ (აი)	აი
Dat.	აი აი	აი(აი)	აი	აი(აი) აი	აი	აი
Acc.	აი	აი	აი აი	აი	აი	აი

ორ. რ.

Nom. Acc. Voc	ა
Gen. Dat	აი

მეორე ბრუნების დაბოლოებები:

მხ. რ.

	ბეოტ.	ლესბ.	დორ.	პომ.	პერ.	ატიკ.
Nom.	ოც	ოვ	ოც	ოვ	ოც	ოვ
Gen.	ა	ა	ა	ა(ა)	ა	ა
Dat.	ოი	ა	ა	ა	ა	ა
Acc.	ოვ	ოვ	ოვ	ოვ	ოვ	ოვ
Voc.	ა	ა	ა	ა(ა)	ა	ა(ა)

მრ. რ.

	ბეოტ.	ლესბ.	დორ.	პომ.	პერ.	ატიკ.
Nom.	ოი	ა	ა	ა	ა	ა
Gen.	ა	ა	ა	ა	ა	ა
Dat.	ა	ა(ა)	ა	ა(ა)	ა(ა)	ა(ა)
Acc.	ა	ა	ა	ა	ა	ა
Voc.	ა	ა	ა	ა	ა	ა

ორ. რ.

Nom. Acc. Voc	ა
Gen. Dat	ა

1 ცხრილებში მოცემული შემოკლებები: ბეოტ. - ბეოტიური დიალექტი, ლესბ. - ლესბოსური დიალექტი, დორ. - დორიული დიალექტი, პომ. - პომეროსის ენა, პერ. - პერიოდოტეს ენა, ატიკ. - ატიკური დიალექტი.

მესამე ბრუნებაზე მსჯელობისას, რ. კიუნერი ცალკე განიხილავს თანხმოვანფუძიან სახელებს, სადაც გამოყოფს:

ლაბიალურ-დენტალურფუძიან სახელებს (π, β, φ, κ, γ, χ, τ, δ, θ);

ლიკვიდურ-ნაზალურფუძიან სახელებს (λ, ρ, ν);

სპირანტულ ანუ σ-ზე დაბოლოებულ სახელებს;

და ცალკე ხმოვანფუძიან სახელებს. აქაც იგი რამდენიმე ქვეპუნქტს გამოყოფს,

კერძოდ:

სახელები -ις, -υς დაბოლებებით, Gen. -ιος, -υος;

სახელები -ις, -υς დაბოლებებით, Gen. -εως;

-ευς, -αυς, -υ დაბოლოებიანი ზედსართავი სახელები.

შემდეგ რ. კიუნერი მსჯელობს მესამე ტიპის თავისებურად ბრუნებად სახელებზე. მათ შორის: γάλα – γάλακτος, γόνυ – γόνυατος, δόνυ – δόνυατος, γυνή – γυναικός, Ζεύς – Διός, Θέμις – Θέμιστος, κύων – κυνός, ναύς – ναύς, οὐς – οὐατος და სხვ.<sup>1</sup>

ამგვარად, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბების შემდეგ, ბრუნების სისტემის ძირითად კლასიფიკაციად – ევლავ ტრადიციული კლასიფიკაცია რჩება, თუმცა რამდენამდე შეცვლილი სახით. მაგალითად, გ. კურციუსი ბრუნების სამ ტიპზე მსჯელობს, მაგრამ მათგან პირველ და მეორე ბრუნებას ერთ ძირითად ბრუნებად აერთიანებს, რომელსაც ხმოვანფუძიან ბრუნებას უწოდებს. ხოლო მესამეს, შესაბამისად, მეორე ძირითად, ანუ თანხმოვანფუძიან ბრუნებას უწოდებს. რაც შეეხება რ. კიუნერის გრამატიკას, იგი ტრადიციული სისტემის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. ზუსტად ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ჩამოყალიბების შემდეგ ამ სისტემამ ფართო გავრცელება მოიპოვა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს კლასიფიკაცია საუკეთესოა ძველი ბერძნულისათვის, რამდენადაც ის ეყრდნობა ლინგვისტურ საფუძველს და კარგად ჩამოყალიბებულ ლოგიკურ სისტემას წარმოადგენს, რაც უადვილებს მსურველებს ძველი ბერძნული ენის შესწავლას.

<sup>1</sup> Kühner R., op. cit., 456-464.

## §2. ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლის ჩამოყალიბება

XIX საუკუნის 70-იან წლებში ენათმეცნიერებაში ჩნდება ახალი მიმართულება, რომელიც ახალგაზრდა გრამატიკული სკოლის სახელით არის ცნობილი. მის წარმომადგენლებს ერთ-ერთმა გერმანისტმა ხუმრობით "ახალგაზრდა გრამატიკოსები" (Junggrammatiker) უწოდა. ეს სახელი შემდგომში გაიმეორა სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, კარლ ბრუგმანმა და იგი მთელი მიმართულების სახელად იქცა.

ახალგაზრდა გრამატიკოსების გამოჩენისას ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევა მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული. თუ კომპარატივისტიკის ჩამოყალიბების პერიოდში წამყვანი მეცნიერები გერმანელები, დანიელები და სლავები იყვნენ, ახლა ლინგვისტური ცენტრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჩნდება. საფრანგეთში 1866 წელს დაარსდა "პარიზის ლინგვისტური საზოგადოება". ამერიკაში მუშაობს ცნობილი ინდოლოგი ვ. უიტნი, რუსეთში – ა. პოტებნია, ი. ბოდუენ დე კურტენე, ფ. ფორტუნატოვი, შვეიცარიაში – ფერდინანდ დე სოსიური, ავსტრიაში – ჰ. შუხარდტი, დანიაში – კ. ვერნერი და სხვ.

ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლას ძირითადად მიეკუთვნებოდნენ ლაიფციგის უნივერსიტეტის ენათმეცნიერები, ამიტომაც მათ ხშირად ლაიფციგის სკოლას უწოდებდნენ. ამ სკოლის წარმომადგენლები არიან: ა. ლესკინი, კ. ბრუგმანი, ჰ. ოსტჰოფი, ჰ. პაული, ბ. დელბრიუკი და სხვ.

ძირითადი ნაშრომები, სადაც ახალგაზრდა გრამატიკოსების კონცეფცია ჩამოყალიბდა, არის კ. ბრუგმანისა და ჰ. ოსტჰოფის "შესავალი მორფოლოგიურ გამოკვლევებში" ("Morphologische Untersuchungen") (მას ხშირად ახალგაზრდა გრამატიკოსების მანიფესტსაც უწოდებენ) და ჰ. პაულის ნიგნი "ენის ისტორიის პრინციპები" ("Prinzipien der Sprachgeschichte"), ახალგაზრდა გრამატიკოსების შეხედულებათა თეორიული ნაწილი, "ახალგაზრდა გრამატიკოსების კატეხიზმო".

ახალგაზრდა გრამატიკოსები, ძირითადად, სამ დებულებას იცავდნენ:

ენაში არსებულ ფონეტიკურ კანონებს არ აქვთ გამონაკლისი;

ახალი ენების წარმოშობის პროცესში და საერთო ფონეტიკურ-მორფოლოგიურ ცვლილებებში მნიშვნელოვანია ანალოგიის როლი;

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თანამედროვე, ცოცხალი ენების კვლევა, ვინაიდან ძველი ენებისაგან განსხვავებით, თანამედროვის შესწავლამ შეიძლება ხელი შეგვიწყოს ლინგვისტური და ფსიქოლოგიური კანონზომიერების დადგენაში.<sup>1</sup>

ახალგაზრდა გრამატიკოსები დიდ ყურადღებას უთმობენ ენის განვითარების შესწავლას. მათი აზრით, ენათმეცნიერების მეთოდი, მისი კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, შეუძლებელია არ იყოს ისტორიული. ენათმეცნიერება არის ისტორიული მეცნიერება და სხვანაირი არც შეიძლება იყოს. ისინი არ უარყოფენ აღწერითი ენათმეცნიერების არსებობას, მაგრამ აღნიშნავენ, რომ აღწერაც უნდა გულისხმობდეს ენის მოვლენებისადმი ისტორიულ დამოკიდებულებას.<sup>2</sup>

ბერძნული ენის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კ. ბრუგმანის "ბერძნული გრამატიკა" ("Griechische Grammatik"), რომელიც პირველად 1885 წელს გამოიცა და ა. თუმბის "ბერძნული დიალექტის სახელმძღვანელო" ("Handbuch der griechischen Dialekte"). ა. თუმბი ძველი ბერძნული ენის დიალექტებს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით იკვლევს; ასევე აქვს გამოკვლევები სანსკრიტსა და ახალ ბერძნულ ენაში.<sup>3</sup> 1895 წელს იგი აქვეყნებს ნაშრომს ახალ ბერძნულ ენაში "ახალი ბერძნული ხალხური ენის სახელმძღვანელო" ("Handbuch der neugriechischen Volkssprache"), სადაც ბერძნული ენის ბრუნების სისტემას პირველად უკავშირებს სქესის კატე-

<sup>1</sup> Кондрашов И. Д., *op. cit.*, 72.

<sup>2</sup> Пауль Г., *Принципы истории языка*, издательство Иностранной Литературы, Москва 1960, 42-43.

<sup>3</sup> Широков О. С., *op. cit.*, 6.

გორიას. ასეთ კლასიფიკაციას შემდეგ მხარს უჭერენ ახალი ბერძნული ენის სხვა მკვლევარებიც, მათ შორის მ. ტრიან-დაფილიდისი, რის შემდეგაც იგი საყოველთაოდ აღიარებული ხდება.<sup>1</sup>

უფრო დანვრილებით შევჩერდებით კ. ბრუგმანის "ბერძნულ გრამატიკაზე". ბრუნებაზე მსჯელობისას კ. ბრუგმანი თითოეულ ბრუნვაში სახელის ფორმაცვალებას ცალკე განიხილავს. იგი აღნიშნავს, რომ სახელის ფლექსია ზოგადად დამოკიდებულია სამ კატეგორიაზე: ბრუნვაზე, რიცხვსა და სქესზე. ძველ ბერძნულში ხუთი ბრუნვაა: სახელობითი, ნოდებითი, ბრალდებითი, ნათესაობითი და მიცემითი. ბრუნების დროს სხვადასხვა სახელს ერთსა და იმავე ბრუნვაში სხვადასხვა დაბოლოება ანუ ბრუნვის ნიშანი შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია ΠΑΠΙΣΙ და ΤΙΜῆΣ. ზოგ სახელს სხვადასხვა ბრუნვაში ერთი და იგივე დაბოლოება აქვს. მაგალითად, ΜΕΙΖΟΥΣ გამოიყენება როგორც სახელობითის, ასევე ბრალდებითი ბრუნვისათვის, ΠΑΠΙΣ სახელობითისა და ნოდებითი ბრუნვისათვის.<sup>2</sup>

კ. ბრუგმანის აზრით, ბრუნებისას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სახელის ფუძეს, რომელიც ბრუნვის, რიცხვისა და სქესის გაგებას მოიცავს. "სახელის ფუძის ფორმა განმსაზღვრელია ბრუნვის, რიცხვისა და სქესის მნიშვნელობისათვის".<sup>3</sup> მაგალითად, ფუძე φσγῆ მოიცავს სახელის სახელობითი ბრუნვის, მხოლობითი რიცხვისა და მდებრობითი სქესის კატეგორიას, ხოლო ფუძე πσιλ – სახელობითი, ბრალდებითი ბრუნების, მხოლობითი რიცხვის და საშუალო სქესის ფორმას.

სახელის ბრუნებისას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ფონეტიკურ კანონებს, მათ შესწავლას. ჯერ კიდევ გ. კურციუსი აღნიშნავდა, რომ ბრუნების დროს ძალიან ხშირია შემთხ-

<sup>1</sup> Τσοπανάκης Α., op. cit., 208.

<sup>2</sup> Brugmann K., Griechische Grammatik, bearbeitet von Thumb A., C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, Oscar Beck, München 1913, 255.

<sup>3</sup> Brugmann K., 256.



ვევები, როდესაც საჭიროა ფონეტიკის საფუძვლიანი ცოდნა და მისი ცალკეული პარაგრაფების ხელახალი გამეორება.<sup>1</sup>

ამავე თვალსაზრისს ავითარებს კ. ბრუგმანი. მისი აზრით, ბრუნების დროს ფონეტიკური მოვლენებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეოდეს აბლაუტს, ხმოვანთა მონაცვლეობას. საუბარი მიდის როგორც კვალიტატურ, ასევე კვანტიტატურ აბლაუტზე. ცნობილია, რომ კვანტიტატური აბლაუტი გულისხმობდა ხმოვნის ხანგრძლივობის, რაოდენობრიობის შეცვლას (მაგალითად, πατήρ – πατέρες), ხოლო კვალიტატური აბლაუტის დროს იცვლებოდა ხმოვნის ხარისხი (მაგალითად, λέγω – λόγος). მაგალითისთვის კ. ბრუგმანს მოცემული აქვს ისეთი ფორმები, როგორიცაა νύμφη – νύμφα, κῆρυξ – κῆρυξ, ἰππός – ἵππε და სხვ.

კ. ბრუგმანი ასევე გამოყოფს ბრუნების ძლიერ და სუსტ ფორმებს (starke und schwache). ბრუნვის ფორმა ძლიერია თუ ფუძე უცვლელად არის დაცული, თუ მისი შეკვეცა არ ხდება (მაგალითად, πατήρ, πατέρα, πατέρι, πατέρες, πατέρας), ხოლო სუსტია, როდესაც ფუძე შეკვეცილია (πατρός, πατρῶν, πατρῶσι).<sup>2</sup>

კ. ბრუგმანი არ მსჯელობს ბრუნების ტიპების კლასიფიკაციაზე. იგი მხოლოდ ბრუნების ნიშნების დართვის შედეგად ფუძეში არსებულ ცვლილებებზე საუბრობს. ცალკე გამოყოფს ნაცვალსახელის ბრუნებას, რომელსაც მრავალი თავისებურება ახასიათებს.

ამავე პერიოდში იქმნება ი. მორის "ბერძნული ენის მოკლე ეტიმოლოგია" ("Краткая этимология греческого языка"), სადაც იგი ბერძნულ ენაში არსებულ ბრუნების სისტემას, ტრადიციისამებრ, სამ ბრუნებად ჰყოფს. ამ ნაშრომში არ ჩანს განსხვავებული კლასიფიკაცია. აქაც პირველ ბრუნებას ა ფუძიანი სახელები განეკუთვნება, მეორეს ო და ა ფუძიანები,

<sup>1</sup> Κυρτις Γ., op. cit., 8.

<sup>2</sup> Brugmann K., op. cit., 256.

ხოლო მესამეს – თანხმოვანფუძიანი, -ი და -უ ხმოვნებზე და დიფთონგებზე დაბოლოებული სახელები.<sup>1</sup>

ანალოგიურ კლასიფიკაციას გვთავაზობს ნ. ფოკოვიც თავის ნაშრომში "ბერძნული ენის სახელმძღვანელო" ("Учебникъ Греческаго языка"). გარდა ამისა, მეორე ბრუნების სახელებთან ავტორს განხილული აქვს ე. წ. შერწყმული ბრუნება. ამ ბრუნებით ის სახელები იბრუნვის, რომელთაც ფუძისეული ი-ს წინ აქვთ ი ან ε, რაც იწვევს ხმოვნების შერწყმას. შერწყმა შემდეგნაირად ხდება:

1. მოკლე იი, ეი, იე-დან ვილებთ იუ-ს;
2. თუ ბრუნვის ნიშანი გვაქვს გრძელი ბგერა ან დიფთონგი (მაგალითად, ა, აუ, იი, იუს), მაშინ გრძელი ხმოვანი უცვლელი დარჩება;
3. მარცვალზე, რომელიც შერწყმის შედეგად წარმოიშობა, შემოსილი მახვილი დაისმის.<sup>2</sup> მაგალითად, ἰ σινς.

ბრ.	მხ. რ.	მრ. რ.	ორ. რ.
Nom.	ἰ σῖος > σινς	ἰί σῖοι > σῖι	τῶ σῖῶ > σῖ
Gen.	τοῦ σῖου > σῖ	τῶν σῖων > σῖν	τοῖν σῖοιν > σῖιν
Dat.	τῷ σῖφ > σῖ	τοῖς σῖοις > σῖის	τῶ σῖῶ > σῖ
Acc.	τὸν σῖον > σῖν	τοὺς σῖους > σῖის	τοῖν σῖοιν > σῖინ
Voc.	ἦ σῖε > σῖ	ἦ σῖοι > σῖι	τῶ σῖῶ > σῖ

მესამე ტიპის ბრუნების განხილვის დროს მოცემულია თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები. ესენია: ἰ ἀνῆρ, ἦ γυαῖ, ἰ Ζεὺς, τὸ γῶς, ἰ κῶς, ἦ αἶς, τὸ σῆμα, ἦ χεῖρ.

საინტერესოა აგრეთვე ე. შვიცერის კლასიფიკაცია, რომელიც მან ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში: "ბერძნული გრამატიკა" ("Griechische Grammatik"). ბრუნების შესახებ მსჯელობისას იგი გამოყოფს სამ ძირითად ტიპს. ესენია: ბრუნების პირველი ტიპი, სადაც ნათლად ჩანს ინდოევროპული ენე-

<sup>1</sup> Морь Я., Краткая этимология греческаго языка, Издание Автора, С.-Петербург 1897, 14-40.

<sup>2</sup> Фокковъ Н., Учебникъ Греческаго языка, Типографія Императорской Академіи Наук, С.-Петербургъ 1871, 23.

ბისათვის დამახასიათებელი კონტრაქცია; აქ შედის *a* და *o* ფუძიანი სახელები. ბრუნების მეორე ტიპი, სადაც კონტრაქცია არ ხდება; აქ შედის ლიკვიდურ-ნაზალური (*λ, ρ, μ, ν*) და ლაბიალურ-დენტალური (*π, β, φ, κ, γ, ξ, τ, δ, θ*) დაბოლოებიანი სახელები. ბრუნების მესამე ტიპი, სადაც გაერთიანებულია სახელები, რომელთაც ახასიათებთ ბერძნული კონტრაქცია; აქ შედის *ι* და *υ* ფუძიანი, დიფთონგზე დაბოლოებული *-ευ-ς, -αυ-ς, -ου-ς* და *-ς*-ზე დაბოლოებული სახელები.

ე. შვიცერის ნაშრომი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ აქ მოცემულია ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელი ბრუნვის ნიშნები, საიდანაც ბერძნული ენის ბრუნვის ნიშნები წარმოიშვა.<sup>1</sup>

ბრუნვა	მხ. რ.	მრ. რ.
Nom.	-s, -∅	-es
Acc.	-m, -m	-ns, -ns
Gen.	-es, -os, -s (sjo)	-om
Abl.	-e/-od	-bh(j)os
Dat.	-ei, -ai	-bh(j)os
Instr.	-bhi	-bhis
Voc.	-s, -∅	-es

მათგან წარმომდგარი ბერძნული ენის ბრუნვის ნიშნებია:<sup>2</sup>

ბრუნვა	მხ. რ.	მრ. რ.
Nom.	-ς	-ες
Acc.	-ν, -α	-νς, -ας
Gen.	-ος, -ας, -οιο	-ως
Dat.	-ει, -ι, -αι, -αι	-ωι

ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლის წარმომადგენლებთან ბრუნების ტიპების გამოყოფა მიჰყვება ი. ველერუსის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, ანუ მოცემულია ბრუნების სამი ტიპი და დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფუძის დაბოლოე-

<sup>1</sup> Schwyzer E., op. cit., 547.

<sup>2</sup> Schwyzer E., op. cit., 549.

ბას. როგორც ჩანს, ეს სისტემა ყველაზე მისაღები აღმოჩნდა ძველი ბერძნულისათვის, და ახალგაზრდა გრამატიკოსებიც არ ცდილობენ რაიმე ახალის შემოთავაზებას და გავრცელებულ კლასიფიკაციას მიჰყვებიან. ერთადერთი ოდნავ განსხვავებული კლასიფიკაცია მოცემულია ე. შვიცერთან. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი პირველ ბრუნებაში იმ სახელებს აერთიანებს, რომლებშიც ნათლად ჩანს ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელი კონტრაქცია; აქ შედის  $\alpha$  და  $o$  ფუძიანი სახელები. ბრუნების მეორე ტიპში ის სახელებია შესული, რომლებშიც კონტრაქცია არ ხდება, ანუ ლიკვიდურ-ნაზალურ ( $\lambda, \rho, \mu, \nu$ ) და ლაბიალურ-დენტალურ ( $\pi, \beta, \phi, \kappa, \gamma, \xi, \tau, \delta, \theta$ ) დაბოლოებიანი სახელები. მესამე ტიპში ის სახელებია, რომელთაც ახასიათებთ ბერძნული კონტრაქცია; აქ შედის  $\iota$  და  $\upsilon$  ფუძიანი, დიფთონგზე დაბოლოებული  $-eu-s, -au-s, -ou-s$  და  $-s$ -ზე დაბოლოებული სახელები. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში აქაც გვაქვს სამი ბრუნება, როგორც ტრადიციულ კლასიფიკაციაში, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ე. შვიცერი გვთავაზობს ახალ პრინციპს ანუ საფუძვლად იღებს არა სახელის ფუძის დაბოლოებას (თუმცა ამასაც ითვალისწინებს), არამედ ფონეტიკურ ფაქტორს, კერძოდ, ხმოვანთა კონტრაქციას.

## თავი V

### ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის ძველი ბერძნული ენის უახლეს გრამატიკულ სახელმძღვანელოებში

XX საუკუნეში ენათმეცნიერებაში რამდენიმე ახალი მიმართულება ჩნდება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ის მიმდინარეობა, რომელიც სტრუქტურალიზმის სახელით არის ცნობილი. იგი ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის წიაღში წარმოიშვა და უშუალოდ უკავშირდება ი. ა. ბოდუენ დე კურტენეს და ფერდინანდ დე სოსიურის სახელებს. მათი თეორიის თანახმად, კვლევის ცენტრალური ობიექტია ენა, როგორც სტრუქტურა, სხვადასხვა ელემენტისაგან შემდგარი მთლიანობა. ამ დროის ლინგვისტები მკაცრად გამოდიან ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლის წინააღმდეგ. XX საუკუნის დასაწყისში ჩნდება ახალი, ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლის საწინააღმდეგო – ენის საზოგადოებრივი ფუნქციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების ტენდენცია. ასე ვითარდება ენათმეცნიერებაში ე. წ. სოციოლოგიური მიმართულება. ამ მიმართულების ფუძემდებელია ფერდინანდ დე სოსიური და მისი მოწაფე ა. მეიე. მათი მიმდევრები იყვნენ ჟ. ვანდრიესი, შ. ბალი, ა. სეშე, ე. ბენვენისტი და სხვ. ამ დროის მნიშვნელოვან მიმართულებებს აგრეთვე წარმოადგენს ე. წ. ეთნოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და არეალური ლინგვისტიკა.<sup>1</sup>

ძველი ბერძნული ენის თანამედროვე გრამატიკებიდან განვიხლავთ ჩვენს ხელთ არსებულთ. ესენია: ვ. ბრანდენშტაინის "ბერძნული ენათმეცნიერება" ("Griechische Sprachwissenschaft"), მ. მაიერ-ბრიუგერის "ბერძნული ენათმეცნიერება" ("Griechische Sprachwissenschaft"), პ. შანტრენის "ბერძნული ენის ისტორიული მორფოლოგია" ("Morphologie historique du Grec"),

<sup>1</sup> Головин Б. Н., op. cit., 308-309.

ა. ძარძანოსის "ძველი ბერძნული ენის გრამატიკა" ("Γραμματική της Αρχαίας Ελληνικής γλώσσης"), ი. სტამატიაკოსის "ძველი ბერძნულის ისტორიული გრამატიკა" ("Ιστορική γραμματική της Αρχαίας Ελληνικής").<sup>1</sup>

აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც უშუალოდ ძველი ბერძნული ენის გრამატიკას არ წარმოადგენს, მაგრამ ბერძნული ენის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანდის. ეს ნაშრომია ჰ. კრაეს "ინდოევროპული ენათმეცნიერება" ("Indogermanische Sprachwissenschaft").

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში გრამატიკების უმრავლესობა მიჰყვება ბრუნების სისტემის ტრადიციულ დაყოფას, ე. ი. ყველგან გამოყოფილია სამი ბრუნება ანუ სამი კანკლედობა, ფუძეთა დაბოლოებების მიხედვით. ერთადერთი განსხვავება, რომელიც ამ გრამატიკებში გვხვდება, ის არის, რომ ზოგიერთი მეცნიერი ბრუნების სამი ტიპის გამოყოფისას მათ სხვადასხვა სახელწოდებას ანიჭებს. ასე, მაგალითად, ი. სტამატიაკოსი გვთავაზობს შემდეგნაირ კლასიფიკაციას: ორი ხმოვანდაბოლოებიანი ბრუნება (α და ο ფუძიანი) და ერთი თანხმოვანდაბოლოებიანი: "ფუძის ბოლო ბგერის საფუძველზე გამოვყოფთ ორ ხმოვანდაბოლოებიან ბრუნებას და ერთ თანხმოვანდაბოლოებიანს".<sup>2</sup> თუმცა, როგორც ჩანს, მკითხველისათვის გასამარტივებლად აქვე მიღებულ, ტრადიციულ დასახელებებს მოიხსენიებს: "ა) ο ფუძიანი ბრუნება, მეორე ბრუნება (როგორც ხშირად უწოდებენ მას); ბ) α ფუძიანი ბრუნება (პირველი ბრუნება); გ) თანხმოვანდაბოლოებიანი ბრუნება (ე. წ. მესამე ბრუნება)".<sup>3</sup>

<sup>1</sup> არ განვიხილავთ ძველი ბერძნული ენის სხვადასხვა სახელმძღვანელოს, რომელიც დიდი რაოდენობითაა გამოცემული, ვინაიდან მათი რიცხვი საკმაოდ დიდია და, ფაქტობრივად, ისინი აღნიშნული გრამატიკების საფუძველზეა შედგენილი, ანუ აქ არ გვხვდება განსხვავებული თვალსაზრისები ბრუნების სისტემასთან დაკავშირებით.

<sup>2</sup> Σταματάκος Ι., Ιστορική γραμματική της αρχαίας Ελληνικής, Εκδοτικός οίκος Πέτρου Δημητράκου Α. Ε., Αθήνα 1953, 111.

<sup>3</sup> Σταματάκος Ι., *op. cit.*, 111.

პ. შანტრენის თანახმად, ბერძნული ენის ბრუნების სისტემა აგრძელებს ინდოევროპულს. ჩვეულებრივ, ფაქტები, რომლებსაც ბრუნების სისტემაში ვხვდებით, სამ ტიპად შეიძლება დაიყოს. ერთ-ერთი მათგანი თემატურ ბუნებას წარმოადგენს (λίκος ტიპი), სადაც თემატური ხმოვანი გვიჩვენებს e/o მონაცვლეობას. ამას უპირისპირდება ათემატური ბრუნება, რომელიც მკვეთრად განსხვავდება თემატური ბრუნებისაგან; აქ დაბოლოებები ადვილად სცილდება ფუძეს და ელემენტი, რომელიც წინ უსწრებს დაბოლოებას, ექვემდებარება რაოდენობრივ მონაცვლეობას, მახვილის ადგილი იცვლება. ეს ტიპია θήρ (θηρός), πούς (πιός), πάλis (πίλιος, πίλεως). მესამე ბრუნებას შეადგენს სახელები, რომლებიც -ა-ზე ბოლოვდება და გარკვეულწილად ათემატური ბრუნების მსგავსად იბრუნვის: ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი იგივეა, ხდება ხმოვნის მონაცვლეობა და იცვლება მახვილის ადგილი. სხვათაგან, იგი თემატურ ბრუნებას მიჰყვება. ასე, მაგალითად, მიცემითი ბრუნვის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა და სახელობითი და მიცემითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ფორმა.<sup>1</sup>

დ. კუდრიავესკის აზრით, სამივე ბრუნება შეიძლება დავიყვანოთ ერთ ბრუნებაზე, სადაც დაბოლოებები ფუძეების შესაბამისად იცვლება. ამას იგი ბერძნული ენის დიალექტების და ინდოევროპული ენების შედარებითი კვლევის საფუძველზე ადგენს. ავტორი ამ ერთი ბრუნების დაბოლოებების სქემასაც გვთავაზობს:<sup>2</sup>

	მამრ./მდედრ.	მამრ./მდედრ.	საშ.
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ. მრ. რ.
Nom.	-, -ς	-ες (οι, -αι)	-, -ν -α
Gen.	-ος, -ς, -(ι)ο	-ων	

<sup>1</sup> Шантрен П., *op. cit.*, 22.

<sup>2</sup> Кудрявский Д., Грамматика древнегреческого языка, Тартуский Государственный Университет, Тарту 1964, 31. მართალია, დ. კუდრიავესკის ნაშრომი სახელმძღვანელოს ნაშრომადგენს, მაგრამ მასში რამდენადმე განსხვავებულ ინფორმაციას ვხვდებით. ამიტომ ჩვენ ამ ნაშრომსაც შევხვებით.

	მამრ./მდედრ.	მამრ./მდედრ.	საშ.
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ. მრ. რ.
Dat.	-αι, -ι	-σι (-οις, -αις)	
Acc.	-ν, -α	-νς, -ας	-α
Voc.	-	= Nom.	

	ორ. რ.
Nom. Acc. Voc.	-ε (-ω, -α)
Gen. Dat.	-οιυ (-αιυ)

XX საუკუნის ძველი ბერძნული ენის გრამატიკებში პირველ ბრუნებას განეკუთვნება *α* ფუძიანი, მდედრობითი და მამრობითი სქესის სახელები. ისინი ორგვარი წარმომავლობის არიან: ერთნი მიმდინარეობენ საერთო ინდოევროპული ფუძე ენის გრძელ *α*-ზე, ხოლო მეორენი – ფუძე ენის მოკლე *-α*-ზე დაბოლოებული სახელებიდან. პირველმა ჯგუფმა ფუძის ბოლოს მოგვცა (ატკიურ დიალექტში *ε*, *ι*, *ρ*-ს შემდეგ *η* კვლავ *α*-ში გადავიდა), ხოლო მეორე ჯგუფმა მოგვცა მოკლე ხმოვანი *α*.<sup>1</sup>

ძველი ბერძნულის უახლესი პერიოდის გრამატიკებში ჩამოყალიბდა კლასიფიკაციის ამგვარი წესი: პირველი ბრუნების სახელებს აქ ჰყოფენ *α purum*-იან ("წმინდა"), ანუ ძლიერი *α*-თი დაბოლოებულ და *α impurum*-იან ("არანმინდა"), ანუ სუსტი *α*-სა და *η*-ზე დაბოლოებულ სახელებად. მაგრამ ასეთი კლასიფიკაცია არ გვხვდება ამ პერიოდის ყველა გრამატიკაში. ასე, მაგალითად, ა. ძარძანოსი საერთოდ არ მსჯელობს *α purum*-იან და *α impurum*-იანი სახელების შესახებ. მართალია, იგი გვთავაზობს პირველი ბრუნების ყველანაირ დაბოლოებებს, მაგრამ არ განმარტავს მათ;<sup>2</sup> დ. კუდრიავსკი პირველი ბრუნების სახელებში სამი ტიპის ბრუნებას გამოყოფს, კერძოდ, *η*-ზე, *α* -სა და *α*-ზე დაბოლოებული სახელების ბრუნებას. თანაც აღნიშნავს, რომ მოკლე *α* ძირითადად *-ja* სუფიქსის შემადგენლო-

<sup>1</sup> გორდეზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., *op. cit.*, 36.

<sup>2</sup> Τζαρτζάνος Α., Γραμματική της αρχαίας Ελληνικής γλώσσης, Οργανισμός Εκδόσεως Διδακτικών Βιβλίων, Αθήνα 1979, 27-29.



ბაში შედის, რომლის საშუალებით მრავალი ზედსართავი ინარმოება.<sup>1</sup>

პირველი ბრუნების გარდა, ძველ ბერძნულში გვექონდა შერწყმული პირველი ბრუნებაც, სადაც გაერთიანებული იყო ის სახელები, რომლებსაც ფუძისეული ხმოვნის წინ ჰქონდათ ისეთი ხმოვანი, რომელსაც, თავის მხრივ, ფუძისეული ხმოვანი ერწყმოდა (მაგ.: ἦ γῆ < γῆα). ამ თვალსაზრისით, არსებულ გრამატიკებში ერთნაირი აზრია დაფიქსირებული.

მეორე ბრუნებას განეკუთვნება ი-ზე დაბოლოებული სახელები, როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი და საშუალო სქესისა. ამ ბრუნებას თემატურ ბრუნებასაც უწოდებენ და იგი ბერძნული ენის სახელის სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ ეს ფლექსია ინდო-ევროპულ ენაში სხვა ტიპებთან შედარებით უფრო გვიან წარმოიშვა. როგორც ჩანს, იგი ბერძნული ენის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა და მისი სფერო ძველი ათემატური (მესამე ბრუნების) სახელების საშუალებით ფართოვდებოდა. მაგალითად, ΠΑΤΑΧΘΣ ΠΑΤΑΓ-იდან, ὕδωρ ὕδωρ-ის ნაცვლად და ა. შ.<sup>2</sup>

ინდოევროპულ ენებში ამ თემატურ ტიპს მიეკუთვნებოდა მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის სახელები. იგივე მდგომარეობა შენარჩუნებულია ბერძნულ ენაში, თუმცა ზედსართავი სახელის სისტემის ზეგავლენის შედეგად დაიწყეს ამ ფლექსიის გაიგივება მხოლოდ მამრობითი სქესის სახელებთან.

ამ ბრუნების მთავარი მახასიათებელი ნიშანი არის ი/ე ბგერების მონაცვლეობა, რომელიც თავს იჩენს წოდებით ბრუნვაში. ამიტომ წოდებით ბრუნვაში -ε დაბოლოება არ უნდა აგვერიოს ბრუნვის ნიშანში. იგი ფუძისეული ი-ს აბლაუტის ε საფეხურია. ი ბგერის ნულოვანი საფეხური ბრუნების დროს თავს არ იჩენს.

<sup>1</sup> Кудрявский Д., *op. cit.*, 34.

<sup>2</sup> Шантрен П., *op. cit.*, 23.

მეორე ბრუნება ანუ კანკლედობა სამი სახისაა: ა) მარტივი, ბ) შერწყმული და გ) ატიკური. თუმცა ეს დაყოფაც ყველა გრამატიკაში ერთნაირად როდია მოცემული. ასე, მაგალითად, ა. კოზარუევსკი მეორე ბრუნებაში რაიმე ქვეპუნქტს არ გამოყოფს. იგი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მეორე ბრუნებას ი ფუძიანი სახელები მიეკუთვნება. ი. სტამატაკოსი მეორე ბრუნებას სამ ნაწილად ჰყოფს, ოღონდ არა ტრადიციულ სახეებად, არამედ სქესის მიხედვით: ჯერ მამრობით სახელებს განიხილავს, შემდეგ მდედრობითსა და საშუალოს.<sup>1</sup>

მეორე კანკლედობის შერწყმულ ბრუნებას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოყოფდა ნ. ფოკოვი.<sup>2</sup> ძველი ბერძნულის უახლეს გრამატიკულ ლიტერატურაშიც მრავალი მეცნიერი მსჯელობს შერწყმულ ბრუნებაზე. რაც შეეხება ატიკურ ბრუნებას, მას განეკუთვნება რამდენიმე არსებითი სახელი, რომელთა ფუძე ბოლოვდება ა-ზე.

მესამე ბრუნებას განეკუთვნება თანხმოვანფუძიანი და ცალკეულ ხმოვნებზე დაბოლოებული სამივე სქესის სახელები:

- ა) ლიკვიდურ-ნაზალურფუძიანი (ν, ρ);
- ბ) ლაბიალურ-გუტურალურფუძიანი (β, π, φ, γ, κ, χ);
- გ) დენტალურფუძიანი (δ, τ, θ);
- დ) საშუალო სქესის ματ ფუძიანი;
- ე) ντ ფუძიანი;
- ვ) σ ფუძიანი;
- ზ) ι ფუძიანი;
- თ) υ ფუძიანი;
- ი) εσ ფუძიანი;
- კ) α ფუძიანი;

მესამე ბრუნებას სხვანაირად ათემატურ ბრუნებას უწოდებენ. იგი უპირისპირდება თემატურ ბრუნებას და მას მეტწილად არქაული ხასიათი აქვს. აქ დაბოლოების წინ ელემენტის გახმოვანება ხდება და მახვილის ადგილი იცვლება. ენის

<sup>1</sup> Σταματάκος I., op. cit., 111-118.

<sup>2</sup> იხ. ჩვენი ნაშრომის გვ. 98.

განვითარების პროცესში მოხდა მისი გამარტივება, ხოლო მოგვიანებით ამ ტიპის ბრუნების დაკარგვის ტენდენცია გაჩნდა. ბუნებრივია, ათემატური ბრუნების ფუძეები ორ ჯგუფად იყოფა: თანხმოვნებსა და ხმოვნებზე დაბოლოებულად. მესამე ბრუნება თითქმის ერთი სახითაა მოცემული ყველა გრამატიკაში. ამ ბრუნების ერთადერთი განსხვავება ქვეჯგუფების თანმიმდევრობაა.

განხილულ გრამატიკებში მოცემულია თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები, თუმცა მათი რიცხვი ხშირად განსხვავებულია. ძირითადად, შემდეგი სახელები გვხვდება: ἡ γυνή, ὁ υἱός, ἡ χείρ, ὁ πούς, ὁ ὀδόν, τὸ ἕναρ, τὸ φῶς, ὁ μάρτυς, τὸ πῦρ, ὁ παῖς და სხვ.

უახლეს პერიოდში ძველი ბერძნული ენის გრამატიკებში ყველგან მოცემულია ბრუნების სისტემის ტრადიციული დაყოფა. ერთადერთი განსხვავება, რომელიც გვხვდება, ბრუნების ტიპების სხვადასხვა სახელწოდებაა.

ახალი ბერძნული ენის ბრუნების სისტემის  
კლასიფიკაციისათვის

§ 1. ახალი ბერძნული ენის ისტორიის მოკლე მიმოხილვა,  
მანოლის ტრიანდაფილიდისი

ახალი ბერძნული ენის პერიოდი იწყება 1453 წლიდან, კონსტანტინოპოლის დაცემიდან. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პირობითი მიჯნაა. ახალმა ბერძულმა რამდენიმე საუკუნით ადრე დაიწყო ფორმირება. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც თანამედროვე ეპოქაში წარმოიშვა, არის ე. წ. ენის საკითხი (γλωσσικό ζήτημα), რასაც მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა მიეძღვნა.<sup>1</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ბიზანტიური ეპოქიდან ბერძულს ახასიათებდა დიგლოსია, ანუ ორი ენობრივი ნორმის არსებობა.<sup>2</sup> პირველი გამოკვლევა სასაუბრო ენის შესახებ ეკუთვნის XVI საუკუნის სასულიერო პირს ნ. სოფიანოსს ("ბერძენთა საერთო ენის გრამატიკა" – "Γραμματική της κοινής τῆς Ἑλλάδος γλώσσης"). ამ გრამატიკაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.<sup>3</sup>

XVIII საუკუნეში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ორი ნორმის – სასაუბრო ხალხურისა და ხელოვნური ლიტერატურულის ურთიერთმორიგების საკითხი. მართალია, XVIII საუკუნეში

<sup>1</sup> ამ საკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: Μπαμπινιώτης Γ., Ἑλληνική γλώσσα, Παρελθόν, Παρόν, Μέλλον, μελετήματα, διαλέξεις και άρθρα, 1977-1993, "Gutenberg", Αθήνα 1994; Κριαράς Ε., Η γλώσσα μας, Παρελθόν και Παρόν, Θεσσαλονίκη 1992; Κριαράς Ε., Λόγιοι και Δημοτικισμός, Εκδοτική Αθηνών Α. Ε., Αθήνα 1987; Κριαράς Ε., Πρόσωπα και θέματα, από την Ιστορία του Δημοτικισμού, Τόμος Α', Εκδόσεις Καστανιώτη, Αθήνα 1986; Μέγα Α. Ε., Ιστορία του Γλωσσικού ζήτηματος, Μέρος Α', Αιώνες γλωσσικών αλλοιώσεων (30 π. Χ. – 1750 μ. Χ.), Εκδόσεις "Δωδώνη", Αθήνα – Γιάννινα 1997; Μέγα Α. Ε., Ιστορία του Γλωσσικού ζήτηματος, Μέρος Β', Αιώνες γλωσσικών αλλοιώσεων (1750 – 1926), Εκδόσεις "Δωδώνη", Αθήνα – Γιάννινα 1997.

<sup>2</sup> იხ. ჩვენი ნაშრომის გვ. 68-69.

<sup>3</sup> იხ. ჩვენი ნაშრომის გვ. 77-78.

საბოლოო გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაგრამ გამოიკვეთა აზრთა დიამეტრული დაპირისპირება სალიტერატურო ნორმის შერჩევის თაობაზე. არსებობდა სამი პოზიცია: ა) ბერძნული სალიტერატურო ენა უნდა ყოფილიყო ძველი ბერძნული; ბ) ბერძნებს ორიენტაცია უნდა აეღოთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენდა ამ ეპოქის ბერძენთა რეალურ საკომუნიკაციო ენას და რომელიც არსებითად განსხვავდებოდა ძველი ბერძნულისაგან; გ) ადამანდიოს კორაისის მიერ შემოთავაზებულ იქნა კომპრომისული ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებდა დიგლოსიის ნეიტრალიზაციას ძველი და ახალი ენობრივი ნორმების სინთეზის გზით, ასე დამკვიდრდა ახალი ენა – კათარევუსა (καθαρεύουσα). თუმცა, შემდგომში ეს ენა თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტად განიცდიდა არქაიზაციას და შორდებოდა ჩვეულებრივ სასაუბრო ენას.<sup>1</sup>

XX საუკუნეში იყო ცდები დიმოტიკი ოფიციალურ სამწერლობო ენად დაემკვიდრებინათ. ბრძოლა დიმოტიკისა და კათარევუსას მომხრეებს შორის განსაკუთრებით გამწვავდა ი. ფსიხარისის ნაშრომის: "ჩემი მოგზაურობა" ("Το ταξίδι μου", 1888) გამოსვლის შემდეგ. დაიწყო ი. ფსიხარისის და მისი მემკვიდრეების ბრძოლა გ: ხაძიდაკისსა და კათარევუსას დამცველებთან. ეს ბრძოლა რამდენიმე ეტაპად წარიმართა:

- მოძრაობა სასაუბრო ენის დასამკვიდრებლად – საგმირო-საბრძოლო პერიოდი (ი. ფსიხარისის გამოჩენა);
- მოძრაობა სასაუბრო ენის სკოლებში დასამკვიდრებლად (საგანმანათლებლო საზოგადოების დაარსება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მ. ტრიანდაფილიდისი);
- მოძრაობა სასაუბრო ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისთვის (განათლების სამინისტრო ქმნის სპეციალურ

<sup>1</sup> დაწვირლებითი ინფორმაციისათვის იხ. გორდუზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., *op. cit.*, 13-17; ბერიკაშვილი ს., შამანიდი ს., ბერძნული განმანათლებლობა, ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, "ლოგოსი", თბილისი 2005, 51-55.

კომისიას, რომლის დახმარებით 1917 წელს სკოლებში პირველად შემოიღეს დიმოტიკის გაკვეთილები).<sup>1</sup>

ბრძოლაში დიმოტიკის დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი ადგილი მ. ტრიანდაფილიდისს უჭირავს. იგი არა მხოლოდ სათავეში ედგა საგანმანათლებლო საზოგადოებასა და განათლების სამინისტროს მიერ მონვეულ კომისიას, არამედ ბერძნული ენის, კერძოდ, დიმოტიკის გრამატიკის შედგენის სულის ჩამდგმელიც იყო. "ახალი ბერძნულის (დიმოტიკის) გრამატიკა" ("Νεοελληνική γραμματική (της Δημοτικής)") რამდენიმე მეცნიერის თანამშრომლობით დაიწერა. ესენი იყვნენ: ა. ძარძანოსი, თ. სტავროსი, კ. ლაკონა-კართეოსი, ვ. ფაბისი, ნ. ანდრიოტისი, მაგრამ გრამატიკის მთავარ ავტორად მაინც მ. ტრიანდაფილიდისი ითვლება. ეს ნაშრომი 1941 წელს გამოიცა.<sup>2</sup>

1976 წელს საბერძნეთში შვიდწლიანი დიქტატურის დაცემის შემდეგ, კ. კარამანლისის მთავრობამ დიმოტიკის სახელმწიფო ენის სტატუსი მიანიჭა. 1982 წელს კი ჩატარდა ე.წ. ორთოგრაფიული რეფორმა, რომელმაც საბოლოოდ გაამყარა დიმოტიკის პოზიციები.

მ. ტრიანდაფილიდისს და მის გრამატიკას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბერძნულ ენათმეცნიერებაში. "ჩვენი თაობა დიდად დავალებულია მანოლის ტრიანდაფილიდისაგან. დიმოტიკური მოძრაობის პერიოდში, როცა დაულაღვად ვშრომობდით ჩვენი ლიტერატურის განვითარებისათვის, გვჭირდებოდა კანონი, წესები, გრამატიკული დისციპლინა, რომელიც, სამწუხაროდ, იმ დროს არ არსებობდა. მანოლის ტრიანდაფილიდისი მხარში ამოგვიდგა, მოგვცა გრამატიკა, რომელიც ასე გვჭირდებოდა; დაგვეხმარა, გავეცუოდით სიტყვებით უაზრო ბრძოლას და ლიტერატურის

<sup>1</sup> Μπαμπινιώτης Γ., Συνοπτική ιστορία της Ελληνικής γλώσσας, με εισαγωγή στην ιστορικοσυγκριτική γλωσσολογία, Μ. Ρωμανός ΕΠΕ, Αθήνα 2002, 20.

<sup>2</sup> Μώρος Γ., Η γραμματική του Μ. Τριανταφυλλίδη, Ιστορία της Ελληνικής γλώσσας, Επιμέλεια του Κοπιδάκη Η., Ελληνικό λογοτεχνικό και ιστορικό αρχείο, Αθήνα 1999, 310.

არსს დაებრუნებოდით" – წერდა 30-იანი წლების ცნობილი ბერძენი მწერალი ი. ვენეზისი.<sup>1</sup>

მ. ტრიანდაფილიდისის ბერძნული ენის გრამატიკას, მიუხედავად ტრადიციული ხასიათისა, შემოაქვს სიახლეებიც "ენათმეცნიერების სულისა და ახალი გრამატიკის მოთხოვნების შესაბამისად".<sup>2</sup> ოროთოგრაფიის თვალსაზრისით, იგი ჯერ კიდევ მიჰყვება ძველ სისტემას, სიტყვების ისტორიულ დაწერილობას.

1949 წელს მ. ტრიანდაფილიდისი გამოსცემს გრამატიკის შემოკლებულ ვარიანტს, ახალი ბერძნული ენის გრამატიკის მოკლე კურსს, რომელიც დღემდე სასკოლო სახელმძღვანელოდ გამოიყენება. მ. ტრიანდაფილიდისის გრამატიკა მხოლოდ მორფოლოგიურ საკითხებს განიხილავს.<sup>3</sup>

ბერძნული ენის ბრუნების სისტემის გამოყოფისას მ. ტრიანდაფილიდისი იზიარებს XIX საუკუნის ენათმეცნიერის ა. თუმბის თვალსაზრისს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბერძნული ენის ბრუნების სქესების მიხედვით დაყოფას.<sup>4</sup> ა. თუმბი ძველი და ახალი ბერძნულის მკვლევარი იყო და როგორც ჩანს, ბერძნულ ენაში ბრუნების სისტემის ტიპების გამოყოფისას საფუძვლად გერმანული ენის პრაქტიკა აიღო. პრობლემა კი ისაა, რომ ახალ ბერძნულში სქესის მიხედვით დაყოფა არ უტოლდება ბრუნების ტიპებს ანუ ის ფაქტი, რომ სახელი არის მამრობითი, მდედრობითი ან საშუალო სქესის არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს ბრუნების ერთი განსაზღვრული ტიპი ამა თუ იმ სქესის სახელებისათვის. ასე, მაგალითად, მ. ტრიანდაფილიდისის სისტემის მიხედვით, | ბრუნებაში ანუ მამრობითი

<sup>1</sup> Βενέζης Η., Ο άσθραπος και η εποχή του, Αθήνα 1959, 1400. არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან: <http://cds.lib.auth.gr/archive.shtml?base=ARC&id=arc-2005-11876>

<sup>2</sup> Μώρος Γ., op. cit., 311.

<sup>3</sup> Mackridge P., Η Νεοελληνική γλώσσα, μετάφραση: Πετρόπουλος Κ., Εκδόσεις Πατάκη, Αθήνα 1990, 52.

<sup>4</sup> Thumb A., Handbuch der Neugriechischen Volkssprache, verlag von Karl J. Brüner, Strassburg 1910, 39-40.

სქესის სახელთა ბრუნებაში სრულიად განსხვავებული ბრუნების პარადიგმებია. აქ შედის:

ა) -აჲ, -იჲ-ზე დაბოლოებული თანაბარმარცვლიანი სახელები;

ბ) -აჲ, -იჲ-ზე დაბოლოებული არათანაბარმარცვლიანი სახელები;

გ) -ეჲ, -ოჲ-ზე დაბოლოებული არათანაბარმარცვლიანი სახელები;

დ) -ოჲ-ზე დაბოლოებული თანაბარმარცვლიანი სახელები.

ეს სახელები სრულიად განსხვავებულად იბრუნვის, რაც ძალიან დამაბნეველია ბერძნული ენის შესწავლის დროს.

მ. ტრიანდაფილიდისის სისტემით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცალკე განიხილება მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის არსებითი სახელები, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა თანაბარმარცვლიან და არათანაბარმარცვლიან სიტყვებად.

თანაბარმარცვლიანებს (ισοσύνλλαβα) მრავლობითი რიცხვის ფორმებში იმდენივე მარცვალი აქვთ, რამდენიც მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში. მაგალითად, μήνας – μήνες, χιρά – χιράς.

არათანაბარმარცვლიანებს (ανισοσύνλλαβα) მრავლობითი რიცხვის ფორმებში მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვასთან შედარებით, აქვთ ერთი მარცვლით მეტი. მაგალითად, περιβόλιος – περιβόλιος, γαγιά – γαγιάδες.<sup>1</sup>

საშუალო სქესის სახელებს ერთი მარცვლით მეტი აქვთ არა მხოლოდ მრავლობით, არამედ მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაშიც, მაგალითად, κύμα – κύματος – κύματα.<sup>2</sup>

პირველი ტიპის ბრუნებაში შედის მამრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც იყოფა ორ ჯგუფად: პირველ

<sup>1</sup> Τριανταφυλλίδης Μ., Νεοελληνική γραμματική (της δημοτικής), Ανατύπωση της έκδοσης του ΟΕΣΒ (1941) με διορθώσεις, Αριστοτέλειο Πανεπιστήμιο Θεσσαλονίκης, Ινστιτούτο Νεοελληνικών Σπουδών, Ίδρυμα Μανόλη Τριανταφυλλίδη, Θεσσαλονίκη 2002, 225.

<sup>2</sup> Τριανταφυλλίδης Μ., *op. cit.*, 226.



ჯგუფს განეკუთვნება მამრობითი სქესის -აჲ, -იჲ, -ეჲ, -ოჲ ბოლოკიდურიანი არსებითი სახელები, მეორე ჯგუფს კი -ოჲ ბოლოკიდურიანები.

თანაბარმარცვლიანები მრავლობით რიცხვს ანარმოებენ -ეჲ დაბოლოებით, არათანაბარმარცვლიანები -ბჲჲ-ით. -ოჲ ბოლოკიდურიანები ყველა თანაბარმარცვლიანია და მრავლობით რიცხვს -ოჲ დაბოლოებით ანარმოებენ.

პირველი ტიპის ბრუნებისას:

1. -აჲ-ზე დაბოლოებულ სახელებს მახვილი მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ბოლო მარცვალზე ექნება;
2. სამ და მეტ მარცვლიან სიტყვებში მახვილი მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ბოლოდან მეორე მარცვალზე გადაინაცვლებს;
3. -იჲ-ზე დაბოლოებული სახელები მიჰყვებიან -აჲ-ზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნებას;
4. -ოჲ-ზე დაბოლოებულ სახელებს წოდებითში ექნებათ -ე.
5. თუ -ოჲ-ზე დაბოლოებულ სახელებს მახვილი ბოლოდან მე-სამე მარცვალზე მოუდის, მხოლობითი რიცხვის ნათესაობით და მრავლობითი რიცხვის ნათესაობით და ბრალდებით ბრუნვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე გადაინაცვლებს.

პირველი ბრუნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

ა) ყველა არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდური -ჲ-ს გარეშე ანარმოებს მხოლობითი რიცხვის ნათესაობით, ბრალდებითსა და წოდებით ბრუნვას (არ იგულისხმება -ოჲ-ზე დაბოლოებული სახელები);

ბ) ყველა სახელს მრავლობითი რიცხვის სამ ბრუნვაში: სახელობითში, ბრალდებითსა და წოდებითში ერთნაირი ფორმა აქვს (არ იგულისხმება -ოჲ-ზე დაბოლოებული სახელები);

გ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მამრობითი სქესის ყველა სახელი ბოლოვდება -ავ-ზე.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Τριανταφυλλίδης Μ., *op. cit.*, 239-240.

მიუხედავად ამ საერთო ნიშნების არსებობისა, ძირითადად, პირველი ტიპის სახელები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ბრუნებისას, თანაც უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ავ საერთოდ დამახასიათებელია ყველა ტიპის სახელებისათვის, მათ შორის მდედრობითი და საშუალო სქესისაც (ერთადერთი გამონაკლისია ამ შემთხვევაში -თქ, -ქქ, -ყყ-ზე დაბოლოებული მეორე ბრუნების მდედრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებსაც არქაული ბრუნება ახასიათებთ და მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში აქვთ არა -ავ, არამედ -ეავ დაბოლოება).

მეორე ტიპის ბრუნებაში შედის მდედრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება -ა, -ი, -ა, -ოც, -ოხ-ზე. თანაბარმარცვლიანები მრავლობითს აწარმოებენ -ეც დაბოლოებით, არათანაბარმარცვლიანები -ბეც ბოლოკიდურით. -თქ, -ქქ, -ყყ-ზე დაბოლოებულები მრავლობითში დაირთავენ -ეიც.

მეორე ტიპის ბრუნებისას:

1) -ა-ზე დაბოლოებულ სახელებს მახვილი ყველა ბრუნვაში თავდაპირველ ადგილზე რჩება, გარდა მრავლობითი რიცხვის ნათესაობითისა, სადაც ის ბოლო მარცვალზე გადაინაცვლებს;

2) -ი-ზე დაბოლოებულ ზოგიერთ სახელში, რომლებსაც მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის, მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში ერთი მარცვლით გადაინაცვლებს;

3) -ა-ზე დაბოლოებული ზოგი სახელი წესს არ ემორჩილება და მახვილს ყველგან ინარჩუნებს;

4) -ი-ზე დაბოლოებული სახელები, რომელთაც მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდით, მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას არ აწარმოებენ;

5) -ი-ზე დაბოლოებული სახელების მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მახვილი ყოველთვის ბოლო მარცვალზეა;

6) -თქ, -ქქ, -ყყ-ზე დაბოლოებულ სახელებს ახასიათებთ ე. წ. არქაული ბრუნება;

7) ე. წ. არქაული ბრუნების სახელებში თუ მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა, მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში ერთი მარცვლით გადაინაცვლებს;

8) -ოც-ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის სახელები მამრობითი სქესის მსგავსად იბრუნვის.

მეორე ბრუნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

ა) ყველა მდედრობითი სქესის სახელი მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვას აწარმოებს სახელობითის ფორმაზე -ფ-ს დართვით;

ბ) ყველა სახელს ორივე რიცხვის სამ ბრუნვაში: სახელობითში, ბრალდებითსა და წოდებითში ერთნაირი ფორმა აქვს;

გ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ყველა სახელი ბოლოვდება -ავ-ზე.<sup>1</sup>

როგორც ვნახეთ, მეორე ბრუნებაშიც უამრავი სახელია, რომელიც განსხვავებულად იბრუნვის, მათ შორის არის არქაული ბრუნების -ოც-ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ არც ერთ წესს არ ემორჩილებიან და მამრობითი სქესის -ოც-ზე დაბოლოებული სახელების მსგავსად იბრუნვის, ამიტომ, ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელია ამ სახელების მეორე ტიპის ბრუნებაში შეყვანა.

მესამე ტიპის ბრუნებაში შედის საშუალო სქესის არსებითი სახელები; იყოფა ორ ჯგუფად: თანაბარმარცვლიანები, რომლებიც ბოლოვდება -ო, -ი, -ოც-ზე და არათანაბარმარცვლიანები -მა, -სიო, -აც, -აფ-ზე.

მესამე ტიპის ბრუნებისას:

1) -ო-ზე დაბოლოებულ სახელებს მახვილი რჩებათ თავდაპირველ მარცვალზე;

2) თუ სამმარცვლიან სიტყვებს, მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის, მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში იგი ერთი მარცვლით გადაინაცვლებს;

<sup>1</sup> Τριανταφυλλίδης Μ., op. cit., 247-248.

3) გამონაკლისის სახით, ზოგიერთ სამმარცვლიან სახელში მახვილი ადგილს არ იცვლის;

4) -ი-ზე დაბოლოებულ სახელებში ორივე რიცხვის ნათესაობითში მახვილი ყოველთვის ბოლო მარცვალზეა;

5) ზოგ სახელს სახელობით ბრუნვაში აქვს -ს დაბოლოება, რომელიც მხოლოებითი რიცხვის გენეტივსა და მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში -ი-თი შეიცვლება.

6) -იფ-ზე დაბოლოებულ საშუალო სქესის სახელებს მრავლობით რიცხვში ექნება -ჟ დაბოლოება.

მესამე ბრუნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

ა) საშუალო სქესის ყველა სახელი ორივე რიცხვში ერთნაირად აწარმოებს სამ ბრუნვას: სახელობითს, ბრალდებითსა და წოდებითს;

ბ) არათანაბარმარცვლიან სახელებს მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მახვილი აქვთ ბოლოდან მეორე მარცვალზე;

გ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ყველა სახელს აქვს -ან დაბოლოება.<sup>1</sup>

მაშასადამე, მ. ტრიანდაფილიდისის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში შეიძლება დავასახელოთ თითოეული ბრუნებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშანი, ეს გახლავთ სამ ბრუნვაში სახელის ერთნაირი ფორმები: | ტიპის სახელებისათვის ეს ბრუნვებია: ნათესაობითი, ბრალდებითი და წოდებითი მხოლოებით რიცხვში, და სახელობითი, ბრალდებითი და წოდებითი მრავლობით რიცხვში; მეორე და მესამე ბრუნებისათვის კი, სახელობითი, ბრალდებითი და წოდებითი ორსავე რიცხვში. მაგრამ, ჩვენი აზრით, ბრუნებისას ორი ფორმის დაპირისპირება: ქვემდებარის და დამატების ბრუნვების, საერთოდ ბერძნული ბრუნებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა და ამიტომაც იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ განმსაზღვრელად ბრუნების ტიპების გამოყოფისას.

<sup>1</sup> Τριανταφυλλίδης Μ., *op. cit.*, 253.

სქემის სახით მ. ტრიანდაფილიდისის სისტემა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

მ. ტრიანდაფილიდისი				
I		II	III	
მამრობითი სქესის სახელები შემდეგი დაბოლოებებით		მდედრობითი სქესის სახელები შემდეგი დაბოლოებებით	საშუალო სქესის სახელები შემდეგი დაბოლოებებით	
-აჲ, -იჲ, -ეჲ, -ოჲ	-ოჲ	-ა, -ი, -ა, -ოჲ, -ოჲ	-ო, -ი, -ოჲ	-ჲა, -ჲაო, -აჲ, -აჲ

როგორც ჩანს, მ. ტრიანდაფილიდისის მიერ შემოთავაზებული სისტემამ საყოველთაო აღიარება იმიტომ მოიპოვა, რომ ის ერთი შეხედვით მარტივია – გვთავაზობს ბრუნების მხოლოდ სამ ტიპს, რომელთა დიფერენციაცია ძალიან ადვილია სახელთა სქესების მიხედვით. მაგრამ ამ საკითხის უფრო ღრმად შესწავლისას ნათელი ხდება, რომ ეს სიმარტივე ილუზორულია და თითოეული ტიპის ფარგლებში ბევრი განსხვავებული ქვეკატეგორიაა. ამიტომ ყველა მეცნიერი ამ კლასიფიკაციას არ იზიარებს და არსებობს ალტერნატიული კლასიფიკაციებიც.

## § 2. ახალი ბერძნული ენის ბრუნების ალტერნატიული კლასიფიკაციები

მ. ტრიანდაფილიდისის გრამატიკის შემდეგ ბერძნულ სინამდილეში რამდენიმე ახალი გრამატიკა დაინერა. 1959 წელს პარიზში გამოვიდა ა. მირამბელის ნაშრომი "ახალი ბერძნული ენა, აღწერა და ანალიზი" ("La langue Grecque moderne, description et analyse"). 1967 წელს გამოიცა გ. ბაბინიოტისა და პ. კონდოსის "ახალი ბერძნულის სინქრონული გრამატიკა" ("Συγχρονική γραμματική της Κοινής Νέας Ελληνικής"), რომელიც მიზნად ისახავდა თანამედროვე ენაში არსებული პრობლემების დასმასა და გადაჭრას.

XX საუკუნის 70-90-იან წლებში ბერძნული ენის ოთხი ახალი გრამატიკა ჩნდება: პ. მაკრიჯის "ახალი ბერძნული ენა" ("The Modern Greek Language"), დ. ჰოლტონის, პ. მაკრიჯისა და ი. ფილიპაკი-უორბურტონის "თანამედროვე ბერძნული ენის ზოგადი გრამატიკა" ("A Comprehensive Grammar of the Modern Language"), ე. პეტრუნისის "ახალი ბერძნული გრამატიკა და შედარებითი ანალიზი" ("Νεοελληνική γραμματική και συγκριτική ανάλυση") და ა. ცოპანაკისის "ახალი ბერძნულის გრამატიკა" ("Νεοελληνική γραμματική"). ამ გრამატიკებიდან ორი ლონდონში, ორი თესალონიკში გამოიცა. სამი მათგანი აღწერითი და ანალიტიკურია, ხოლო მეოთხე, ქრონოლოგიურად ყველაზე ბოლოს გამოცემული, ა. ცოპანაკისის ნაშრომი უფრო სისტემატიზებურ გრამატიკას წარმოადგენს.<sup>1</sup> ამას უნდა დავუმატოთ აგრეთვე ხ. კლერისის და გ. ბაბინიოტისის "ახალი ბერძნული ენის გრამატიკა" ("Γραμματική της Νέας Ελληνικής"), რომელიც 1998, 1999, 2001, 2004 წლებში ოთხ ტომად გამოვიდა, ხოლო 2005 წელს ერთ ტომად.

<sup>1</sup> Κόκολης Ξ., Νέες γραμματικές και παλαιές ανιδράσεις, Ιστορία της Ελληνικής γλώσσας, Επιμέλεια του Κοπιδάκη Η., Ελληνικό λογοτεχνικό και ιστορικό αρχείο, Αθήνα 1999, 317.

განვისილოთ ბრუნების სისტემა ზემოთ აღნიშნულ გრამატიკებში.

როგორც ვნახეთ, ახალ ბერძნულში დღესდღეობით მეტად აქტუალურია საკითხი ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისა. მ. ტრიანდაფილიდისის აღიარებული სისტემა,<sup>1</sup> რომელიც მწემოტექნიკურ პრინციპს ეყრდნობა, თანამედროვე ბერძენი მეცნიერების ნაწილის მიერ მოძველებულადაა მიჩნეული და მრავალი მკვლევრის აზრით, არ შეესაბამება ახალი ბერძნული ენის სტრუქტურას.<sup>2</sup> თანამედროვე მეცნიერებაში მრავალი ალტერნატიული კლასიფიკაცია არსებობს, მაგრამ არც ერთი მათგანი დღესდღეობით არ არის გაზიარებული.

ბრუნების ტიპების გამოყოფისას სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებენ, კერძოდ:

- ა) სქესის გრამატიკული კატეგორია;
- ბ) სახელის<sup>3</sup> ფუძის დაბოლოება;
- გ) სახელის თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობა;
- დ) სახელის ბრუნებისას ბრუნვების ნიშნების რაოდენობა ერთი ტიპის ფარგლებში;
- ე) სახელის რომელიმე ბრუნვის (მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის) ნიშნის მიხედვით კლასიფიკაცია.

---

<sup>1</sup> მ. ტრიანდაფილიდისის კლასიფიკაციის შესახებ დანვრილებით იხ. ჩვენი ნაშრომის გვ. III-IV.

<sup>2</sup> თუმცა ყველა მკვლევარი ამ თვალსაზრისს არ იზიარებს. ასე, მაგალითად, პ. მაკრიჯმა ჩვენი ნაშრომის გაცნობისას აღნიშნა: "არა მგონია შეიძლებოდეს ცალსახად იმის აღნიშვნა, რომ მანოლის ტრიანდაფილიდისის კლასიფიკაცია არ შეესაბამება ბერძნული ენის სტრუქტურას, თუნდაც იმიტომ, რომ მას საფუძვლად უდევს თანამედროვე ბერძნული ენის დიალექტები. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ის, რასაც თქვენ გულისხმობთ, ანუ, ფაქტი, რომ ტრიანდაფილიდისის მიერ აღწერილი დიმორფიკი არ შეიძლება მიეუსადაგოთ თანამედროვე ენას, რომელზეც დღეს საუბრობენ და წერენ, სავსებით მართებულია. შესაძლებელია, ეს მოხდა იმის გამო, რომ ტრიანდაფილიდისმა ბრუნების სისტემაში შეიტანა ისეთი პარადიგმები, რომლებიც არ დასტურდება თანამედროვე ბერძნულ დიალექტებში (მაგალითად, *συχραφάε* – *συχραφεί*, *κινέριψη* – *κινέριψεις*, *πράγμα* – *πράματα*, *έθνος* – *έθνους*)."

<sup>3</sup> ტერმინით "სახელი" ვგულისხმობთ არსებით სახელებს.

ბრუნების ალტერნატიული კლასიფიკაციებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ მ. ფილინდასი, რომელმაც თავის წიგნში "ბერძნული ენის გრამატიკა" ("Γραμματική της Ρωμαϊκής γλώσσας"), პირველმა მოგვცა ახალი კლასიფიკაცია. მან ბრუნების ორი ტიპი შემოგვთავაზა. საფუძვლად აიღო თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობა, ცალკე გამოყო აგრეთვე ზოგიერთი ორმაგი ბრუნების სახელი.<sup>1</sup>

საინტერესოა აგრეთვე ა. მირამბელის კლასიფიკაცია. ბრუნების ტიპების გამოყოფისას იგი საფუძვლად ბრუნვის ნიშნებს იღებს და სამ ბრუნებას გვთავაზობს: 1. ბრუნება ოთხი დაბოლოებით (ბრუნვის ნიშნით); 2. ბრუნება სამი დაბოლოებით; 3. ბრუნება ორი დაბოლოებით. მათგან პირველ ბრუნებას მიეკუთვნება -ო დაბოლოებიანი მამრობითი სქესის სახელები მხოლოდით რიცხვში, მაგალითად, ὁ ἀνδρῶν, τὸν ἀνδρῶν, τὸν ἀνδρῶν; მეორე ბრუნებას ა. მირამბელი მიაკუთვნებს პირის ნაცვალსახელებს, არტიკლს და -ო დაბოლოებიანი მამრობითი სქესის სახელების მრავლობით რიცხვს, მაგალითად, - ἑγὼ, μὲν, ἐγὼ; ὁ, τὸν, τοῦ; οἱ ἀνδρῶν, τῶν ἀνδρῶν, τῶν ἀνδρῶν; მესამე ბრუნებაში კი გაერთიანებულია ყველა დანარჩენი არსებითი სახელი. აქ შედის მამრობითი სქესის -ας და -ης-ზე დაბოლოებული სახელები, მაგალითად, γειμῶνας, πέλτης; მდედრობითი სქესის -ა და -η დაბოლოებულები, მაგალითად, μητέρα, πύλη; საშუალო სქესის -ι, -ο, -μα-ზე დაბოლოებულები, მაგალითად, πουςί, βιουσν, γράμμα.<sup>2</sup>

ა. მირამბელის სისტემა, ჩვენი აზრით, მიუღებელია იმიტომ, რომ:

ა) გაუმართლებელია პირველ ბრუნებაში -ოს დაბოლოებიანი არსებითი სახელების გაერთიანება, თითქოს და იმ ნიშნით, რომ ამ სახელებს აქვთ ოთხი ბრუნვის ნიშანი. წოდებითი

<sup>1</sup> Τσοπανάκης Α., *op. cit.*, 209.

<sup>2</sup> Mirambel A., Η Νέα Ελληνική Γλώσσα, περιγραφή και ανάλυση, μετάφραση Κάριτσα Κ., Έκδοση Αριστοτέλειο Πανεπιστήμιο Θεσσαλονίκης, Θεσσαλονίκη 1988, 89-97.



ბრუნვის -ε დაბოლოება -ο ფუძის აბლაუტის საფეხურია და არანაირად არ შეიძლება მისი მიჩნევა ბრუნვის ნიშნად.

ბ) მესამე ბრუნებაში გაერთიანებულია სრულიად განსხვავებული ტიპის სახელები მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ორი ბრუნვის ნიშანი აქვთ. ეს სახელები სრულიად განსხვავებულად იბრუნვის, როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვში. მაგალითად, ავიღოთ მამრობითი სქესის სახელი ο άντρας და საშუალო სქესის სახელი το γράμμα.

	მს. რ.	მრ. რ.	მს. რ.	მრ. რ.
Ον.	ο άντρας	οι άντρες	το γράμμα	τα γράμματα
Γεν.	του άντρα	των αντρών	του γράμματος	των γραμμάτων
Αιτ.	τον άντρα	τους άντρες	τε γράμμα	τα γράμματα
Κλ.	-- άντρα	-- άντρες	-- γράμμα	-- γράμματα

მართალია, ორივე სახელს ორ-ორი დაბოლოება აქვს ორსავე რიცხვში, მაგრამ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობით, თანაც თუ მხოლოდით რიცხვში პირველი სახელის ბრუნებისას ირიბი ბრუნვების ფორმა ერთია, მეორე სახელის ბრუნებისას სახელობითის ფორმა მეორდება დანარჩენ ბრუნვებში, გარდა ნათესაობითისა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დაბოლოებები მკვეთრად განსხვავდება.

სასურველი იქნებოდა, რომ ავტორს ცალ-ცალკე ტიპები თუ არა, ქვეკატეგორიები მაინც გამოეყო.

პ. მაკრიჯი გამოჰყოფს არსებითი სახელების სამ კატეგორიას. პირველ კატეგორიაში შედის ორი ბრუნვის ნიშნის მქონე არსებითი სახელები. თავის მხრივ, ეს კატეგორია დაყოფილია ორ ქვეკატეგორიად: მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებად. მაგალითად, φύλακας, κλέφτης, παπάς, καφές, συγγαφέας, συγγενής; θάλασσα, γαγιά, κυβέρνηση; მეორე კატეგორიაში გაერთიანებულია ის არსებითი სახელები, რომელთაც ნათესაობით ბრუნვაში აქვთ -ου დაბოლოება. თავის

მხრივ, ეს სახელები სამ ქვეკატეგორიად იყოფა. პირველ ქვეკატეგორიაში შედის -*o*-ზე დაბოლოებული მამრობითი სქესის სახელები (არის რამდენიმე მდედრობითი სქესის სახელიც), მაგალითად, *ἀμφίπαις*; მეორე ქვეკატეგორიაში შედის -*o*-ზე დაბოლოებული საშუალო სქესის სახელები, მაგალითად, *δῆματις*; ხოლო მესამე ქვეკატეგორიაში -*i*-ზე დაბოლოებული საშუალო სქესის სახელები, მაგალითად, *αὔρις*. მესამე კატეგორიაში შედის საშუალო სქესის სახელების რამდენიმე განსხვავებული ჯგუფი, რომლებიც ძირითადად, ორ ქვეჯგუფზე დაიყვანება: არათანაბარმარცვლიან და თანაბარმარცვლიან სახელებზე, მაგალითად, *ὄσιμα*, *πλῆσυμα*, *κρέας*, *παρὸν*, *ἔδαφος*.<sup>1</sup>

პრაქტიკული თვალსაზრისით პ. მაკრიჯის სისტემა შეიძლება მისაღებად ჩაგვეთვალა, მაგრამ ერთადერთი რაც ამ სისტემის ნაკლად მიგვაჩნია ეს არის ის, რომ კლასიფიკაციას აქვს საერთო პრინციპი. პირველ ბრუნებას საფუძვლად უდევს ბრუნვათა ნიშნების რაოდენობა, მეორე ბრუნებას სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, ხოლო მესამეს – სქესის კატეგორია. სასურველი იქნებოდა თითოეული ტიპი ერთ პრინციპზე ყოფილიყო აგებული ან ყველა ტიპის კლასიფიკაცია მოეხდინა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ან სქესების შესაბამისად ან კიდევ ბრუნვათა ნიშნების რაოდენობის მიხედვით.

გ. ზუკისი თავის ნაშრომში "ახალი დიმოტიკის გრამატიკა" ("*Γραμματική της Νεοδημοτικής*"), ძველი ბერძნულის კვალობაზე, ახალ ბერძნულშიც გამოჰყოფს სამი ტიპის ბრუნებას. პირველ ბრუნებას მიაკუთვნებს მამრობითი სქესის -*ας*, -*ης*, -*εις*, მაგალითად, *ταμίας*, *παιτής*, *καφές* და მდედრობითი სქესის -*α*, -*η* ბოლოკიდურთან სახელებს, მაგალითად, *χάρα*, *παγή*; მეორე ბრუნებაში აერთიანებს მამრობითი სქესის -*ος*, -*ους*, მაგალითად, *ἀμφίπαις*, *παπῶν*; მდედრობითი სქესის -*ος*, -*ου*, -*α*, მაგალითად, *μῆμιδος*, *ἀλεπῶν*, *Φιρσῶ* და საშუალო სქესის -*ο*, -*ι* ბოლოკიდურთან სახელებს, მაგალითად, *βίους*, *παῖν*; ხოლო მესამე ბრუ-

<sup>1</sup> Mackridge P., op. cit., 215-219.

ნებაში ათავსებს სამივე სქესის, ისტორიულად ძველი ბერძნულის მესამე კანკლედობის სხვადასხვა დაბოლოების მქონე სახელებს, მაგალითად, *συγγραφέας, κρέας, σάμα*.<sup>1</sup>

გ. ზუკისის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას ვერ გავიზიარებთ, რადგანაც ჯერ ერთი მას საფუძვლად არ უდევს სწორი ლინგვისტური პრინციპი და მეორეც, ეფუძნება არსებით სახელთა ბრუნების მოძველებულ პარადიგმებს. ძველი ბერძნულის ცოდნის გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია ამ სისტემით ხელმძღვანელობა.

სქემის სახით ეს სამი კლასიფიკაცია ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ა. მირამბელი			ბ. მაკრიჯი			გ. ზუკისი		
I	II	III	I	II	III	I	II	III
4 ბრ. ნიშნით	3 ბრ. ნიშნით	2 ბრ. ნიშნით	2 ბრ. ნიშნით	გენ. -ოს დაბოლოებით	საშ. სქესის სახ.	-ας, -ης, -ες, -α, -η	-ος, -ους, -ω, -ο, -ι	III კანკ. სახ.
-ος მხ. რ.	-ος მრ. რ.	-ας, -ης, -α, -η, -ι, -ο, -μα	-ας, -ης, -α, -η	-ος, -ο, -ι	-μα, -σμο, -ας			

დ. ჰოლტონის, პ. მაკრიჯისა და ი. ფილიპაკი-უორზურტონის გრამატიკაში ბრუნების სისტემა მიჰყვება ტრიანდაფილიდისეულ დაყოფას ანუ აქ ბრუნების ტიპები სქესის კატეგორიას უკავშირდება. მ. ტრიანდაფილიდისაგან განსხვავებით, მამრობით, მდედრობით და საშუალო სქესის სახელებთან ცალკე განხილული ზოგადი სქესის სახელები.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Ζούκτας Γ., Γραμματική της Νεοδημοτικής, Βιβλιοπωλείον της "Εστίας", Αθήνα 1963, 47-73.

Holton D., Mackridge P., Φιλίππη- Warburton E., Γραμματική της Ελληνικής Γλώσσας, μετάφραση: Σπυρόπουλος Β., Αθήνα 2000, 51-75.

ბრუნებათა ალტერნატიულ კლასიფიკაციას გვთავაზობს ა. ცოპანაკისი. იგი აღნიშნავს, რომ ბერძნული ენის ბრუნების სისტემა არ შეიძლება დაუკავშირდეს სქესის კატეგორიას. საფუძვლად იგი იღებს არა სქესს, არამედ სხვადასხვა ბრუნვაში საერთო ბრუნვის ნიშნებს.

1956 წელს გამოცემულ წიგნში "ჩვენი ბრუნების სისტემა" ("Το κλιτικό μας σύστημα") იგი გამოჰყოფდა ბრუნების ექვს ტიპს: პირველი ბრუნება – მამრობითი სქესის -α, -ης, მაგალითად, πατέρα, υιότης; მდედრობითი სქესის -α, -ης, -ω ბოლოკიდურიანი თანაბარმარცვლიანი სახელები მაგალითად, καρδιά, ψυχή, Φρόσω; მეორე ბრუნება – მამრობითი და მდედრობითი სქესის -ος, მაგალითად, ουρανός, εγκύκλιος და საშუალო სქესის -ο, -ι ბოლოკიდურიანი სახელები, მაგალითად, βουνό, παιδί; მესამე ბრუნება – მამრობითი სქესის -ς, -ας, -ης, მაგალითად, νοικοκύρης, βιοπάς; მდედრობითი სქესის -α, -ης, -ω ბოლოკიდურიანი არათანაბარმარცვლიანი სახელები, მაგალითად, οίκος; მეოთხე ბრუნება – საშუალო სქესის -ς, -ον, -ο, -α ბოლოკიდურიანი სახელები, მაგალითად, κρέας, παρελθόν, γράψιμο, κύμα; მეხუთე ბრუნება – მამრობითი სქესის -εας, -ης, მაგალითად, συγγραφέας, πρόεδρος; მდედრობითი სქესის -η ბოლოკიდურიანი სახელები, მაგალითად, δύναμη; მეექვსე ბრუნება – საშუალო სქესის -ος ბოლოკიდურიანი სახელები, მაგალითად, μέριος.<sup>1</sup>

მოგვიანებით 1994 წელს გამოცემულ "ახალი ბერძნულის გრამატიკაში" ("Νεοελληνική γραμματική"), ა. ცოპანაკისმა შეცვალა თავისი აზრი და სახელთა თანაბარმარცვლოვანებიდან გამომდინარე, სამი ბრუნება გამოჰყო. პირველ ბრუნებაში მან გააერთიანა თანაბარმარცვლიანი, მამრობითი სქესის -α, -ης, მაგალითად, πάτερ, υιοτήτες და მდედრობითი სქესის -α, -ης, -ω ბოლოკიდურიანი სახელები, მაგალითად, καρδιά, ψυχή, μπάμω; მეორე ბრუნებაში თანაბარმარცვლიანი მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის -ος, მაგალითად, δάσκαλος, εγκύκλιος,

<sup>1</sup> Τσοπανάκης Α., Το κλιτικό μας σύστημα, Έκδοση Αριστοτέλειο Πανεπιστήμιο Θεσσαλονίκης, Θεσσαλονίκη 1956, 123.

μέρος და საშუალო სქესის -ο, -ι ბოლოკიდურიანი სახელები, მაგალითად, δέντρο, νησί; მესამე ბრუნებაში კი ყველა არათანაბარმარცვლიანი სახელი შეიტანა, მაგალითად, νοικοκύρης, αλεπούς, όσιμα, κρέας.<sup>1</sup>

სქემის სახით ეს კლასიფიკაცია ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ა. ცოპანაკისი										
ძველი კლასიფიკაცია (1956)						ახალი კლასიფიკაცია (1994)				
თანაბარმარცვლიანი		არათანაბარმარცვლიანი		არქაული		თანაბარმარცვლიანი		არათანაბარმარცვლიანი		
მამრ. მდედრ.	მამრ. საშ.	მამრ. მდედრ.	საშ.	მამრ. მდედრ.	საშ.	მამრ. მდედრ.	მამრ. მდედრ. საშ.	მამრ. მდედრ. საშ.		
-ας, -ης, -α, -ης, -ω	-ος, -ο, -ι	-ης, -ης, -ας, -α, -ου, -ε	-ς, -ος, -α	-εις, -ης, -η	-ος	-ας, -ης, -α, -ης, -ω	-ος, -ο, -ι	-ας, -ης, -ες, -ας, -ος, -ους, -α, -ου, -ε, -μια, -σιμα, -ας, -οι		

თავისი პირველი კლასიფიკაციის ნაკლს, ერთიანი პრინციპის უქონლობას, თვითონ ავტორიც მიხვდა და შემდგომში, როგორც ვნახეთ, ახალი კლასიფიკაცია შემოგვთავაზა, სადაც საფუძვლად სახელთა თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობა აიღო, თუმცა ეს სისტემაც მოკლებულია ლინგვისტურ საფუძ-

<sup>1</sup> Τσοπανάκης Α., Νεοελληνική γραμματική, Εκδοτικός οίκος αδελφών Κυριακίδη Α. Ε., Βιβλιοπωλείον της Εστίας Ι. Δ. Κολλάρου & Σ<sup>α</sup>, Θεσσαλονίκη, Αθήνα 1994, 213-241.

ველს ანუ არ არის გათვალისწინებული სახელთა ფუძის დაბოლოებები და შესაბამისად სრულიად გაუგებარია -ა-ზე დაბოლოებული სახელების პირველ ბრუნებაში მოხვედრა.

ათენის უნივერსიტეტის ენათმეცნიერებებმა ხ. კლერისმა და გ. ბაბინოტისმა ახალი ალტერნატიული კლასიფიკაცია შემოგვთავაზეს. ბრუნების ტიპების გამოყოფისას ამოსავლად ისინი ბრუნვის ნიშნებს იღებენ და შესაბამისად ორ კატეგორიას განასხვავებენ: ორდაბოლოებიანი და სამდაბოლოებიანი. ორდაბოლოებიანი ბრუნების ტიპი თავის მხრივ ორ ქვეკატეგორიად თანაბარმარცვლიან და არათანაბარმარცვლიან ბრუნებად იყოფა: თანაბარმარცვლიანი ბრუნება ახასიათებს მამრობითი სქესის -აჲ, -ჲჲ, -ეაჲ, მაგალითად, *καὶνάჲ, ἐργάτηჲ, ἀπιστοίεაჲ*; მდედრობითი სქესის -ა, -ჲ, მაგალითად, *σελίδα, βίρσῃ*; და საშუალო სქესის -ო, -ი ბოლოკიდურიან სახელებს, მაგალითად, *πρόσωπο, ψαμί*; ხოლო არათანაბარმარცვლიანი ბრუნება მამრობითი სქესის -აჲ,

-ჲჲ, -ეჲ, -ოსჲ, მაგალითად, *γαλατάჲ, βαρκάρηჲ, παπισὲჲ, καναπέჲ*; მდედრობითი სქესის -ა, -ოს, -ჲ, მაგალითად, *μαμά, ἀλεπὲ, λένῃ*; და საშუალო სქესის -მა, -ეაჲ, -ოს, -სიმო ბოლოკიდურიან სახელებს, მაგალითად, *σάμα, κρέαჲ, καθήκον, δέσιμο*; რაც შეეხება სამდაბოლოებიანი ბრუნების ტიპს, აქ მხოლოდ თანაბარმარცვლიანი -ოს-ზე დაბოლოებული მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები შედის, მაგალითად, *φίσοჲ, ἀμφρωσοჲ, εἶσοδὲ*.<sup>1</sup>

სქემის სახით ეს სისტემა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ხ. კლერისი, გ. ბაბინოტისი								
ორდაბოლოებიანი						სამდაბოლოებიანი		
თანაბარმარცვლიანი			არათანაბარმარცვლიანი			თანაბარმარცვლიანი		
მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ.	მდედრ.	
-აჲ	-ა	-ო	-აჲ	-ა	-მა	-ოს	-ოს	
-ჲჲ	-ჲ	-ი	-ჲჲ	-ოს	-ეაჲ			
-ეაჲ			-ეჲ	-ჲ	-ოს			
			-ოსჲ		-სიმო			

<sup>1</sup> Κλαίρης Χ., Μπαμπονώτης Γ., op. cit., 15-17.

ბ. კლერისისა და გ. ბაბინიოტისის კლასიფიკაცია ლოგიკურ სისტემას წარმოადგენს, სადაც გათვალისწინებულია ბრუნების ტიპების გამოყოფის თითქმის ყველა ფაქტორი, კერძოდ, სახელთა ბრუნვის ნიშნების რაოდენობა, სახელთა თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობა, სახელთა გრამატიკული სქესის კატეგორია. ეს კლასიფიკაცია სამეცნიერო თვალსაზრისით უნაკლოა, შეიძლება ითქვას, რომ უკეთესი კლასიფიკაციის მოფიქრება საკმაოდ რთული იქნებოდა, მაგრამ როდესაც ჩვენ ამოვდივართ პრაქტიკული პრინციპიდან, მაშინ ჩანს, რომ ფართო საზოგადოებისათვის სწავლების დროს ის ძნელად აღსაქმელია, ვინაიდან გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, რაც აბნევს, როგორც სკოლის მოსწავლეს, ასევე ახალი ბერძნული ენის უცხოელ შემსწავლელს.

საინტერესოა აგრეთვე, რ. გორდეზიანის, ი. დარჩიას და ს. შამანიდის მიერ შემოთავაზებული ბრუნების სისტემის კლასიფიკაცია, რომელიც მოცემულია 2001 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "ძველი და ახალი ბერძნული" (შედარებითი გრამატიკა). ავტორების აზრით, ახალ ბერძნულ ენაში ბრუნების კლასიფიკაციის დროს უნდა მოვიშველიოთ ის პრინციპი, რომელსაც ძველი ბერძნულის ტრადიციულ გრამატიკებში ვიყენებთ. ამ შემთხვევაში ახალ ბერძნულში უნდა გამოიყოს ოთხი ბრუნება. მხოლოდითი რიცხვის გენეტივში პირველი ბრუნებისათვის დამახასიათებელი იქნება -აჲ ან -ა, -იჲ ან -ი დაბოლოებები, მეორე ბრუნებისათვის -ოს ბოლოკიდური, მესამე ბრუნებისათვის - ძველი ბერძნულისათვის დამახასიათებელი -იჲ, -იჲჲ, დაბოლოებანი, ხოლო მეოთხე შერეულ ბრუნებაში მოექცევიან ის სახელები, რომლებიც ბრუნებისას გვიჩვენებენ ფუძის ორ ვარიანტს: გავრცობილსა და გაუვრცობელს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> გორდეზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., *op. cit.*, 58.

პირველ ბრუნებას მიეკუთვნება ძველი ბერძნულის პირველი კანკლედობის  $\alpha$  ფუძიანი სახელები, როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესისა, მაგალითად,  $\eta \chi\acute{\alpha}\rho\alpha$ ,  $\omicron \nu\alpha\tau\eta\zeta$ ; ისტორიულად ძველი ბერძნულის მესამე კანკლედობის სახელები, რომელთა ფუძესაც ახალი ბერძნული ინარჩუნებს, მაგრამ სახელობითს ანარმოებს და აბრუნებს ძველი ბერძნულის ანალოგიით, მაგალითად,  $\eta \gamma\upsilon\alpha\acute{\iota}\alpha$ ,  $\omicron \acute{\alpha}\nu\tau\epsilon\alpha\zeta$ ; ისტორიულად მესამე კანკლედობის  $\iota$  და  $\epsilon\upsilon$  ფუძიანი სახელები, რომლებიც მხოლობითში იბრუნვიან ძველი ბერძნულის პირველი, ხოლო მრავლობითში მესამე კანკლედობის სახელთა ანალოგიით, მაგალითად,  $\eta \alpha\pi\acute{\theta}\alpha\sigma\tau\eta$ ,  $\omicron \iota\epsilon\rho\acute{\epsilon}\alpha\zeta$ ;

მეორე ბრუნებას მიეკუთვნება ძველი ბერძნულის მეორე კანკლედობის  $\omicron$  ფუძიანი სახელები მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესისა, მაგალითად,  $\omicron \sigma\upsilon\rho\alpha\acute{\nu}\varsigma$ ,  $\eta \tau\epsilon\omicron\phi\acute{\omicron}\varsigma$ ,  $\tau\omicron \delta\acute{\epsilon}\nu\tau\epsilon\omicron$ ; ცალკე ქვეჯგუფად აქ გამოიყოფა  $-\omicron\nu$  დაბოლოებიანი სახელები, რომელთაც შუა საუკუნეებში ჰქონდათ  $-\iota\nu$  დაბოლოება, ხოლო ახალ ბერძნულში კი დაიტოვეს  $-\iota$ , მაგალითად,  $\tau\omicron \kappa\alpha\lambda\omicron\kappa\alpha\iota\rho\iota\zeta$ ; ისტორიულად ძველი ბერძნულის მესამე კანკლედობის რამდენიმე სახელი, რომელთა ფუძესაც ახალი ბერძნული ინარჩუნებს, მაგრამ რომელთა სახელობითს ანარმოებს და აბრუნებს მეორე კანკლედობის ანალოგიით, მაგალითად,  $\tau\omicron \gamma\acute{\omicron}\nu\alpha\tau\omicron$ .

მესამე ბრუნებას მიეკუთვნება ძველი ბერძნულის მესამე კანკლედობის სხვადასხვაფუძიანი, ძირითადად, საშუალო სქესის სახელები, მაგალითად,  $\tau\omicron \phi\omega\zeta$ ,  $\tau\omicron \chi\rho\acute{\alpha}\mu\alpha$ ; შუა საუკუნეებში ზმნებიდან ნანარმოები ზოგიერთი სახელი, რომელიც ძველი ბერძნულის მესამე კანკლედობის ანალოგიით იბრუნვის, მაგალითად,  $\tau\omicron \nu\tau\sigma\mu\omicron$ .

შერეულ ანუ მეოთხე ბრუნებას მიეკუთვნება სახელები, რომლებიც მხოლობით რიცხვში პირველი ბრუნებით იბრუნვიან, ხოლო მრავლობით რიცხვში ხდება ფუძის გავრცობა, ძირითადად  $-\delta$ -სუფიქსის საშუალებით, მაგალითად,  $\omicron \mu\alpha\nu\acute{\alpha}\beta\eta\zeta$ .<sup>1</sup>

<sup>1</sup> გორდეზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., *op. cit.*, 58-59.



სქემის სახით ეს კლასიფიკაცია ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

რ. გორდეზიანი, ი. დარჩია, ს. შამანიდი			
I	II	III	IV
ა ფუძიანი სახელები	ბ ფუძიანი სახელები	III კანკლედობის საშუალო სქესის სახელები	სახელები, რომელთა მრ. რ.-ში ხდება ფუძის გავრცობა -ნ-ს საშუალებით
ისტორიულად III კანკლედობის სახელები, რომლებიც ძველი ბერძნულის I კანკლედობის ანალოგიით იბრუნვის	-IOV დაბოლოებიანი სახელები	ზმნებიდან ნანარმოები -თჰო დაბოლოებიანი სახელები	
I და EY ფუძიანი სახელები	ისტორიულად III კანკლედობის სახელები, რომლებიც ძველი ბერძნულის II კანკლედობის ანალოგიით იბრუნვის		

ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი კლასიფიკაცია სწორ ლინგვისტურ პრინციპს ეფუძნება ანუ აქ პირველ რიგში გათვალისწინებულია სახელის ფუძის დაბოლოება, თანაც ბრუნების კლასიფიკაციისას მოშველებულია ერთიანი პრინციპი – ნათესობითი ბრუნვის ფორმის მიხედვით ტიპების გამოყოფა. თუმცა სწავლების პროცესში, როდესაც მოსწავლემ არ იცის ძველი ბერძნული ენა, ყოველივე ზემოთქმული ცოტა რთულია აღსაქმელად.

ჩვენი მთავარი ამოსავალი პრინციპი ბრუნების ტიპების გამოყოფისას – მათი პრაქტიკული დანიშნულებაა. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ უფრო მისაღებია ის სისტემა, რომელიც გაუადვილებს ბერძნული ენის შემსწავლელს ბრუნების სისტემის გაგებას.

ამ მიზნით ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტი, ვცადეთ ახალი ბერძნული ენის სწავლებისას გამოგვეყენებინა რამდენიმე სისტემა, კერძოდ, მ. ტრიანდაფილიდისის ტრადიციული სქემა, ხ.კლერისის და გ. ბაბინოტისის კლასიფიკაცია და რ. გორდეზიანის, ი. დარჩიას და ს. შამანიდის ბრუნების ახალი ტიპები.

მოკლედ წარმოვადგინოთ ექსპერიმენტის ჩატარების სქემატურ სურათს:

- ვინაიდან ექსპერიმენტის ჩატარებისას ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ სამი კლასიფიკაცია, ამიტომ მუშაობა მიმდინარეობდა სამ ჯგუფთან.
- მ. ტრიანდაფილიდისის მიღებული კლასიფიკაციით ბრუნების სისტემის ახსნა (გამეორება) მიმდინარეობდა ახალი ბერძნული განყოფილების მე-2 კურსის სტუდენტებთან, სულ 6 კაცი, ასაკი 18-19 წელი; სქესი: 5 გოგო, 1 ბიჭი; ეროვნება – სხვადასხვა; ჯგუფი შერეული: რუსულენოვანი და ქართულენოვანი.
- ხ. კლერისისა და გ. ბაბინოტისის კლასიფიკაციით ბრუნების სისტემის ახსნა მიმდინარეობდა სამი კაცისაგან შემდგარ კერძო მოსწავლეების ჯგუფში, ასაკი – 15, 21, 23 წელი; სქესი – 2 გოგო, 1 ბიჭი; ეროვნება – სხვადასხვა; 1 სკოლის მოსწავლე, 2 სტუდენტი. ჯგუფი ქართულენოვანი.
- რ. გორდეზიანის, ი. დარჩიასა და ს. შამანიდის კლასიფიკაციით ბრუნების სისტემის ახსნა მიმდინარეობდა ახალი ბერძნული განყოფილების პირველი კურსის სტუდენტებთან, სულ 10 კაცი, ასაკი 16-17 წელი; სქესი – 10 გოგო; ეროვნება – სხვადასხვა; ჯგუფი რუსულენოვანი.

ექსპერიმენტის შედეგების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ:

### ა) მ. ტრიანდაფილიდისის სისტემა

ერთი შეხედვით მოსწავლეებს უადვილდებათ ამ სისტემის მიხედვით ბრუნების ტიპების შესწავლა, მაგრამ ეს მხოლოდ იქამდე, სანამ მათ ვთავაზობთ პირველი ტიპის -0<sub>ც</sub>, -ა<sub>ც</sub>, -ი<sub>ც</sub>-ზე დაბოლოებული მამრობითი სქესის თანაბარმარვლიანი სახელების, მეორე ტიპის -ა, -ი-ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის თანაბარმარვლიანი სახელების და მესამე ტიპის -ი, -ო-ზე დაბოლოებული საშუალო სქესის სახელების ბრუნებას. შემდეგ ეტაპზე როდესაც იწყება ისეთი სახელების ბრუნება, როგორცაა: -0<sub>ც</sub>-ზე დაბოლოებულ მდედრობითი სქესის სახელთა, -ა<sub>ც</sub>, -ი<sub>ც</sub>-ზე დაბოლოებულ არათანაბარმარვლიან მამრობითი სქესის სახელთა, -ა<sub>ა<sub>ც</sub></sub>-ზე დაბოლოებულ მამრობითი სქესის სახელთა, -თ<sub>ი</sub>, -ქ<sub>ი</sub>, -ყ<sub>ი</sub>-ზე დაბოლოებულ მდედრობითი სქესის სახელთა და სხვადასხვაფუძიან საშუალო სქესის სახელთა ბრუნება, მოსწავლეს უჭირს ამ სისტემის აღქმა.

### ბ) ნ. კლერისის და გ. ბაბინიოტისის სისტემა

ამ კლასიფიკაციის სწავლების დროს გამოვლინდა, რომ მიუხედავად სისტემის მწყობრი, ლოგიკური ხასიათისა, დამახსოვრების მხრივ ის საკმაოდ რთულია. მ. ტრიანდაფილიდისის სისტემისაგან განსხვავებით, იგი არ ქმნის იმის ილუზიას, რომ მისი დამახსოვრება ადვილია. ბრუნების მეორე ტიპის დამახსოვრება მსმენელთათვის სირთულეს არ წარმოადგენს, ვინაიდან აქ შედის მხოლოდ -0<sub>ც</sub>-ზე დაბოლოებული მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები, სამაგიეროდ ბრუნების პირველი ტიპის სწავლებისას დიდ სირთულეებს ვაწყდებით. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პირველი ბრუნება იყოფა ორ ჯგუფად თანაბარმარცვლიან და არათანაბარმარცვლიან სახელებად. თანაბარმარცვლიან სახელებში ერთადაა წარმოდგენილი -ა<sub>ც</sub>, -ი<sub>ც</sub>, -ა<sub>ა<sub>ც</sub></sub>-ზე დაბოლოებულ მამრობითი სქესის სახელთა ბრუნება, -ა, -ი-ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის სახელთა ბრუნება -ო, -ი, -0<sub>ც</sub>-ზე დაბოლოებული საშუალო სქესის სახელების ბრუნება, რო-

მელთაც სრულიად განსხვავებული ბრუნება ახასიათებს და მოსწავლეებს უჭირთ მათი დამახსოვრება. ჩვენი აზრით, ამ კლასიფიკაციის ნაკლი თვითონ პრინციპშია: სახელების ორდაბოლოებიან და სამდაბოლოებიან ტიპებად დაყოფა.

**გ) რ. გორდეზიანის, ი. დარჩიას და ს. შამანიდის სისტემა**

ჩვენთვის ყველაზე მისაღები იყო ეს კლასიფიკაცია, ვინაიდან:

ა) იგი ეყრდნობა ლინგვისტურ საფუძველს ანუ ფუძისეულ დაბოლოებას, რაც საერთოდ დამახასიათებელია ინდოევროპული ენებისათვის, სადაც კლასიფიკაციების უმრავლესობა ამ პრინციპზეა აგებული და მისაღები უნდა იყოს ბერძნული ენისათვის.

ბ) ძველი ბერძნულის მონაცემებით ახსნილია ახალი ბერძნული ენის სახელების ზოგიერთი ფორმა, რაც უფრო ადვილს ხდის მათ დამახსოვრებას, მაგალითად, ისტორიულად III კანკლედობის *ι* და *ε* ფუძიანი სახელები შერწყმულ ბრუნებას გვიჩვენებენ, მხოლობითში იბრუნვიან ძველი ბერძნულის I კანკლედობის, ხოლო მრავლობითში III კანკლედობის სახელების ანალოგიით. ძველი ბერძნულის ცოდნის გარეშე დამაბნევებელია მრავლობით რიცხვში -*εις* დაბოლოების გაჩენა -*εις* ის ნაცვლად; თუმცა, ისმის კითხვა – რამდენად ამართლებს ეს სისტემა ახალი ბერძნული ენის შემსწავლელთათვის, ვინც არ იცის ძველი ბერძნული ენა? აქ, სწავლების პროცესში მიუხედავად იმისა, რომ მსმენელებმა არ იციან ძველი ბერძნული ენა, ვაკეთებთ მცირე ექსკურს ენის ისტორიაში და ვუხსნით მსმენელებს *ι* და *ε* ფუძიანი სახელების ბრუნებას ძველ ბერძნულში, რის შედეგადაც მსმენელებს უფრო უადვილდებათ ამ ფორმების დამახსოვრება.

გ) ცალკეა გამოყოფილი შერეული ბრუნების ტიპი, სადაც ხდება სახელთა გავრცობა -*δ*-სუფიქსის საშუალებით.

მაგრამ სწავლების პროცესში აქაც ნავანყდით ზოგიერთ პრობლემას, კერძოდ, ის, რაც ჩვენ ამ სისტემის უთუო დადუ-

ბით ნიშნად მიგვაჩნდა – ცალკე გამოყოფილი არათანაბარმარცვლიანი სახელები, რომელთა გავრცობა -ბ- სუფიქსის საშუალებით ხდება, მოსწავლეებისათვის ასევე დამაბნეველი აღმოჩნდა. გარდა ამისა, პირველ ბრუნებაში მოხვედრილი სახელების მრავალფეროვნება ასევე დამაბნეველია მოსწავლისათვის, ამიტომ სასურველი იქნებოდა პირველ ბრუნებაში ქვეკატეგორიები გამოყოფილიყო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, წარმოვადგინე ჩვენეულ სისტემას, რომელიც ძირითადად მიჰყვება რ. გორდეზიანის, ი. დარჩიას და ს. შამანიდის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, მცირედი კორექტივებით. ჩვენი აზრით, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა ბრუნების ხუთი ტიპის გამოყოფა. პირველ ბრუნებაში შევა ა ფუძიანი სახელები – -აჲ, -იჲ-ზე დაბოლოებული მამრობითი სქესის სახელები, მაგალითად, πατέραჲ, νάτηჲ; -ა, -ი-ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის სახელები, მაგალითად, κερδιά, ψυχή და -ეაჲ, -ი-ზე დაბოლოებული სახელები, მაგალითად, თურქაჲ, თურქიჲ, ბάλქაჲ, რომლებიც მრავლობით რიცხვში ძველ ფორმებს გვიჩვენებს; მეორე ბრუნებაში იქნება ისევე ა ფუძიანი სახელები – ოლონდ აქ შევა -აჲ, -იჲ, -ეჲ-ზე დაბოლოებული არათანაბარმარცვლიანი მამრობითი სქესის სახელები, მაგალითად, παπაჲ, βαρκάρჲ, κερძა და -ა-ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის სახელი η γαγιά; მესამე ბრუნება ო ფუძიანი სახელები მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესისა, შემდეგი დაბოლოებებით: -ოჲ, -ო, -ი, მაგალითად, άσθραπოჲ, εϊσθιოჲ, δέντρο, παιδί; მეოთხე ბრუნება – სხვადასხვაფუძიანი თანაბარმარცვლიანი საშუალო სქესის სახელები, რომლებსაც ნათესაობით ბრუნვაში აქვთ -ოჲ დაბოლოება, მაგალითად, εϊნიოჲ, λამბოჲ; მეხუთე ბრუნება – სხვადასხვაფუძიანი არათანაბარმარცვლიანი საშუალო სქესის სახელები, რომლებსაც ნათესაობით ბრუნვაში აქვთ -ოჲ

დაბოლოება, მაგალითად, γράμμα, κρέας, καθήκον, πλίσσιο. სქემის სახით ამ სისტემას შემდეგი სახე აქვს:

ს. ბერეკაშვილი							
I			II		III	IV	V
ა ფუძიანი თანაბარ მარცვლიანი სახელები			ა ფუძიანი არათანაბარ მარცვლიანი სახელები		ო ფუძიანი სახელები	სხვადასხვა ფუძიანი თანაბარ მარცვლიანი სახელები	სხვადასხვა ფუძიანი არათანაბარ მარცვლიანი სახელები
მამრ.	მდე დრ.	მამრ., მდედრ.	მამრ.	მდე დრ.	მამრ., მდედრ., საშ.	საშ.	საშ.
-აჲ, -იჲ	-ა, -ი	-ეაჲ, -იჲ, -ი	-აჲ, -იჲ, -ეჲ	-ა	-ოჲ, -ო, -ი	-ოჲ	-ოჲ, -აჲ, -იჲ, -ეაჲ, -ოჲ, -აჲ, -ეჲ, -იჲ, -იჲ

შევეცადეთ წარმოგვეჩინა თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებული ბრუნების სისტემის ალტერნატიული კლასიფიკაციები და დაგვედგინა ყველაზე უფრო მისაღები ვარიანტი ბრუნების სისტემის შესწავლისას. ვინაიდან, ჩვენ ამოვდით პრაქტიკული მიზნებიდან, ამ მიზნით ჩავატარეთ ექსპერიმენტი და შესაბამისად, ვეცადეთ ჩვენი საკუთარი კლასიფიკაციის წარმოდგენა!

<sup>1</sup> პ. მაკრიჯმა ჩვენი ნაშრომის გაცნობისას აღნიშნა, რომ ენათმეცნიერების უმრავლესობა (მათ შორის ა. თუმბი, მ. ტრიანდაფილიდისი) "ბრუნების სისტემის კლასიფიკაციას სინქრონულ ჭრილში გვთავაზობს, მაშინ, როდესაც თქვენ და თქვენი ქართველი კოლეგები მას დიაქრონული თვალსაზრისით განიხილავთ". ჩვენი აზრით, ენაში მიმდინარე მოვლენები არ შეიძლება განვიხილოთ სტატისტიკურად, მათი ისტორიული განვითარების გათვალისწინების გარეშე. ვინაიდან ისტორიული ცვლილებები ხშირ შემთხვევაში განაპირობებს ენაში ამა თუ იმ გრამატიკული ფორმის არსებობას. ასე, მაგალითად, -ი და -ე ფუძიანი სახელების მრავლობით რიცხვში -ეჲ დაბოლოების გაჩენა -ეჲ-ის ნაცვლად სრულიად დამაბნეველია ენაში მიმდინარე ცვლილებების გაუთვალისწინებლად.

Ռոգորց ընտել, Բրունների սისტեմի կլասիֆիկացիա Բեր-  
 ժնուլ ընտել մեղադ ալիքալուր սակոտեադ Մեյոմլեբա Բաիտա-  
 լոս. Բենի ՆաՄրոմի միՅանի ուր Նարմոգեղինա Բերժնուլի  
 ընի Բրունների սისტեմի կլասիֆիկացիեբի անտիկուրի Ըրո-  
 ըն մոսոլեբուլի ԸլեմԸլե Ըա Ըաղեղեղինա Բրունների սისტե-  
 մի կլասիֆիկացիիսա Րոմեղի Սրինցիոբի Մրո միսաղեբիա.  
 Բերժնուլի ընի Բրունների սისტեմա մանտիկուրի եթոբիԸն մո-  
 սոլեբուլի ԸլԸլ ցղիղեբեբի ցանիցաԸա. տաղԸաթիրղեղաԸ  
 Բերժնուլ ընտել Բրունների սისტեմա ըրԸնԸոթոԸա Ե. Ն. լին-  
 ցիստուր սաղուժղեղ սնու ՄրԸիս Ըաթոլողեբա, ՄեմԸղոմՄի Ըի  
 (սնալ Բերժնուլի) ոցի Ըաղուղեղինա սղեղիս ցրամատիղուլ Ըա-  
 ղեղորիա սնու մա սաղուժղեղաԸ մնեմողեղինուրի Սրինցիոբի Ըա-  
 ըԸո. արսեղեղի մասաղիս Մեսնաղիս սաղուժղեղեղ, Բեն Մեղ-  
 ըլԸա Ըաղասղեղա, Րոմ:

Մղեղ անտիկուրի եթոբի ցրամատիղոսեթան Բանս Ըաինղեղ-  
 սեթա ընեղի ցրամատիղուլի սակոտեղի, Րոգորից Բրունեթա ցա-  
 ղաղե. մարտաղիա, աղ ղեղ ԸլԸլ ար արիս սաղեթարի սակուրիղ  
 Բրունների սისტեմա սա Ըիս ղիթեթեղ, մաղրամ Մղեղ ըղղեղեղի  
 Բրունեթա միսղեղիտ սանղեղա Մորմացղաղեղիս սისტեմատիղա-  
 ղիս ղեղնԸեղցիա.

Բերժնուլ ընտեղեղինեղեթաՄի Բրունների սისტեմի կլասիֆի-  
 կացիա սաղուժղեղի ցղիանտիկուր եթոբաՄի ըրեղեթա. Բրունների  
 կլասիֆիկացիիս Սիրղեղ ցղեթս ա. Ն. ॥ սաղուղիս ցրամա-  
 ղիղոսիս, ՍրողԸաինոսիս աթոլոնիոս Ըիսղոլոսիս ղիս ՆաՄ-  
 Րոմի "Բրունների Մեսաղեղ" ("Περὶ κλίσεως"), սաԸա ց մոցղեղուլիա  
 Սիրղեղի ցղա սանղեղա Բրունների կլասիֆիկացիիսա. ՍրողԸա-  
 ընի սանղեղոթիղի Բրունղիս Ըաթոլողեղեթս աղութս անԸանիս  
 Րիղեղ, -աՏ, -ղՏ, -ոՏ, -ոսՏ, -աՏ Ըա Մեսաթամիսի Նեղեղիս միսղե-  
 ըիտ ցաղուղուղս 32 ղեղեղեղեղեղ մամրոթիղի սղեղիս, 10-ս մղեղ-  
 Րոթիղի Ըա 4-ս սաղուղալո սղեղիս սանղեղաղեղիս.

Մղա սաղուղեղեղիս ցրամատիղոսեթիս Մեսաղեղ սակաղ ցղիղ  
 ցղոթեղի մողեղեղեղեղ, Րոգորց Բանս, ընի միղղեղեղեղ

პეროდინაოსის მიერ შემოღებულ ბრუნების სისტემას, ანუ დაყოფას დაბოლოებათა ანბანური რიგის მიხედვით.

ალორძინების პერიოდში ბერძნული ენის ბრუნების სისტემის კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. კლასკაროსი ბრუნების ათ ტიპს გვთავაზობს: ხუთს შერწყმულ სახელთათვის და ხუთს შეურწყმელთათვის; ი. ველერუსს შემდგომში საყოველთაოდ აღიარებული სამბრუნებიანი სისტემა შემოაქვს; ნ. სოფიანოსის "ახალი ბერძნულის გრამატიკა" მიჰყვება სამბრუნებიან სისტემას, თუმცა არსებითი ცვლილებები შემოაქვს.

XVIII-XIX საუკუნეებში ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბების შემდეგ, ბრუნების სისტემის ძირითად კლასიფიკაციად, ტრადიციული, ანუ სამკანკლედობიანი კლასიფიკაცია გვევლინება, თუმცა რამდენადმე შეცვლილი სახით. ასე, მაგალითად, გ. კურციუსი სამ ბრუნებაზე მსჯელობს, მაგრამ მათგან პირველსა და მეორეს ერთ ძირითად ბრუნებად აერთიანებს, რომელსაც ხმოვანფუძიან ბრუნებას, ხოლო მესამეს, შესაბამისად, მეორე ძირითად, ანუ თანხმოვანფუძიან ბრუნებას უწოდებს. რაც შეეხება, რ. კიუნერის გრამატიკას, იგი ტრადიციული სისტემის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს.

XIX საუკუნის ბოლოს ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლის წარმომადგენლებთან ბრუნების კლასიფიკაცია ტრადიციული სახით არის მოცემული, მაგრამ ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იმ ფონეტიკურ პროცესებზე, რომლებიც ბრუნების დროს იჩენს თავს. ე. შვიცერთან კლასიფიკაცია ოდნავ განსხვავებულია. მკვლევარი საფუძვლად იღებს არა სახელის ფუძის დაბოლოებას, არამედ ფონეტიკურ ფაქტორს, კერძოდ, ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელ კონტრაქციას.

XX საუკუნეში შექმნილი ძველი ბერძნული ენის გრამატიკებში მოცემულია ბრუნების სისტემის ტრადიციული კლასიფიკაცია. ერთადერთი განსხვავება, რომელიც გვხვდება ბრუნების ტიპების სხვადასხვა სახელწოდებაა.



ახალი ბერძნული ენის მიღებული კლასიფიკაცია მ. ტრიანდაფილიდისს ეკუთვნის და იგი სქესის კატეგორიას უკავშირდება. თუმცა ამ სისტემას ყველა მეცნიერი არ იზიარებს და არსებობს ალტერნატიული კლასიფიკაციებიც.

ალტერნატიული კლასიფიკაციებიდან მნიშვნელოვანია მ. ფილინდასის; ა. მირამბელის; ა. ცოპანაკისის; გ. ზუკისის; პ. მაკრიჯის; ხ. კლერის, გ. ბაბინოტისის; რ. გორდეზიანის, ი. დარჩიას, ს. შამანიდის მიერ შემოთავაზებული ბრუნების ტიპები.

ჩვენი აზრით, ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისას უნდა დავეყრდნოთ უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტურ პრინციპს, ანუ ყურადღება უნდა მივაქციოთ ფუძისეულ დაბოლოებას. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ენას ახასიათებს გამარტივების ტენდენცია. უფრო მისაღები იქნება ის კლასიფიკაცია, რომელიც გაუადვილებს ბერძნული ენის შემსწავლელს ბრუნების სისტემის გაგებას.

ვინაიდან ჩვენი მთავარი ამოსავალი პრინციპი ბრუნების ტიპების გამოყოფისას – მათი პრაქტიკული დანიშნულება იყო, ამიტომ ამ მიზნით ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტი, ვცადეთ ახალი ბერძნული ენის სწავლებისას გამოგვეყენებინა რამდენიმე სისტემა, კერძოდ, მ. ტრიანდაფილიდისის ტრადიციული სისტემა, ხ. კლერისის და გ. ბაბინოტისის კლასიფიკაცია და რ. გორდეზიანის, ი. დარჩიას და ს. შამანიდის ბრუნების ახალი ტიპები. ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ პრაქტიკული დანიშნულების მხრივ ყველაზე მისაღებია რ. გორდეზიანის, ი. დარჩიას, ს. შამანიდის კლასიფიკაცია.

თუმცა ჩვენი აზრით, აქაც ზოგიერთი კორექტივია შესატანი, ამიტომ ვეცადეთ წარმოგვედგინა ჩვენი საკუთარი კლასიფიკაცია, რომელიც ძირითადად მიჰყვება რ. გორდეზიანის, ი. დარჩიას, ს. შამანიდის კლასიფიკაციას.

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ბრუნების ტიპების კლასიფიკაციის სხვადასხვა პრინციპი გვხვდება, ძირითადად ეს პრინციპებია: ა) სქესის გრამატიკული კატეგორია; ბ) სახელის ფუძის დაბოლოება; გ) სახელის თანაბარ და არათანაბარ-

მარცვლიანობა; დ) სახელის ბრუნებისას ბრუნვების ნიშნების რაოდენობა ერთი ტიპის ფარგლებში; ე) სახელის რომელიმე ბრუნვის (მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის) ნიშნის მიხედვით კლასიფიკაცია; ვ) ბრუნებისას ფონეტიკური ცვლილები, კერძოდ, ხმოვანთა კონტრაქცია; ზ) სახელის დაბოლოებათა მიხედვით ბრუნების ტიპების ანბანური დაწყობა.

მთავარი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია ბრუნების სისტემის გამოყოფისას, ეს არის ერთიანი პრინციპის შემუშავება. ჩვენი აზრით, ძველი ბერძნულის ბრუნების სისტემის კლასიფიკაციას სწორი პრინციპი უდევს საფუძვლად ანუ აქ გათვალისწინებულია სახელის ფუძის დაბოლოება. ანალოგიური პრინციპი უნდა მოვიშველიოთ ახალ ბერძნულშიც.

# **THE PRINCIPLES OF CLASSIFICATION OF THE DECLENSION SYSTEM IN ANCIENT AND MODERN GREEK**

## **(SUMMARY)**

### **PREFACE**

For different languages there are different types of classification of declension system considered in accordance with language structure. Classifying any declension system the scholars take into account different factors, especially:

- a) the grammatical category of gender;
- b) the stem ending of the noun;
- c) an equal or unequal number of syllables, isosyllabism and anisosyllabism;
- d) the number of case endings;
- e) the ending of one case, e.g. of Genitive, etc.

As a result of historical development of a language, the declension system may be simplified and unified. In some languages it can even disappear.

Since Antiquity the classification of the declension system in Greek language has been essentially changed. Initially the classification of the declension system in Ancient Greek was based on the so-called linguistic principle i.e. on stem endings of nouns. Later in Modern Greek it was connected to the grammatical category of gender i.e. the linguistic principle of classification has been changed to the mnemotechnical one.

Nowadays the issues related with the classification of the declension system in Modern Greek prove quite relevant. The widespread system of M. Triandafyllidis, based on the mnemotechnical principle, is regarded by many scholars as outdated. In their opinion, it does not correspond to the structure of Modern Greek. In contemporary stud-

ies, there are a lot of alternative classifications, but none of them is widely accepted today.

Nowadays the issues in choosing the right principle while classifying declension system and presenting the declension system for different periods of Greek language development are relevant not only to Greek, but also to general diachronic linguistics as well. The problem mentioned above attracts scholars' intense interest all over the world.

This book represents theoretical-linguistic opinions related with declension system in Greek, assesses these theories, reveals the changes and studies the declension and case systems in different historical periods of Greek language. The research mostly focuses on the following:


- 1) the critical assessment of the professional-linguistic or other theories connected with linguistics since Antiquity;
- 2) the study of the modern linguistic conditions in Greek and identification of all development tendencies regarding the declension system;
- 3) the systematization of materials related with the declension system in Greek, the representation of different classifications existing in linguistics and their comparative analysis;
- 4) the historical development of case system and the tendency of its unification in Greek, as Indo-European Language;
- 5) the comparative analysis of the classifications of the declension system based on different principles, identification of the main principle while classifying the declension system and determination of the most applicable version of the classifications.

The conclusive theses are formulated through the study of the existing linguistic theories and the use of comparative analysis related with different classifications of the declension system. The research is also based on the accepted concepts of scholars and different

monographic works. After considering classifications through the comparative analysis and the experimental results, the corresponding conclusions are made.

Despite the enormous range of scientific literature dedicated to the study of different issues of Greek grammar, the problem of the declension system in diachronic way is not thoroughly studied. Unfortunately, neither in Greek nor in foreign scientific literature does not exist any monographic work that one can find useful investigating the issue mentioned above. Consideration of the previous works comes to several articles, which reflect fragmentarily the problems that are interesting to me. Thus the present book is the first attempt in the tradition of Georgian linguistic studies to investigate the classification of the declension system in different periods of Greek language that is relevant nowadays not only for Greek, but also for general diachronic linguistics as well.

According to the case system, an assumption is made that the language as a result of its historical development turns to its initial stage, caused by simplification tendency. This supposition is based on the changing of case system in Indo-European languages, particularly in Greek. While forming the case system in Proto-Indo-European there were only two basic nominal forms which subsequently became the subject and object cases and expressed all the basic predicate-argument relations. A distinct dative-locative case which expressed addressee, direction, and goal appeared when the binary declension system with two basic arguments broke down and a more nominal paradigm rose. Afterwards there appears Indo-European eight-case system presented in Ancient Greek by five, while in Modern Greek by four cases. Taking into account the opinions of some linguists that there is three-case system in Modern Greek, characterized by simplification tendency as well, and, subsequently, we are going to two-case system or binary declension in Greek.



There are many different classifications of the declension system in Modern Greek. The author of the most accepted classification based on mnemotechnical principle is M. Triandafyllidis. Therefore, M. Triandafyllidis' system has a large number of opponents that prefer to turn to alternative classifications. In the book I attempt to propose my own classification which is based on the linguistic principle, i.e. on the stem endings of nouns.

I			II		III	IV	V
Isosyllabic nouns with α stem			Anisosyllabic nouns with α stem		Nouns with ο stem	Isosyllabic nouns of different stems	Anisosyllabic nouns of different stems
Masc.	Fem.	Masc. Fem.	Masc.	Fem.	Masc. Fem. Neut.	Neut.	Neut.
-ας, -ης	-α, -η	-εας, -ης, -η	-ας, -ης, -ες	-α	-ος, -ο, -ι	-ος	-ος, -ως, -μα, -εας, -ον, -αν, -εν, -σιμο

To determine the most applicable classification of the declension system in Modern Greek I carried out an experiment: while teaching

the Modern Greek grammar, I tried to use several systems, especially, the traditional system of M. Triandafyllidis, the classifications of Kh. Kleris, G. Babiniotis (Athens), and the one of R. Gordeziani, I. Darchia and S. Shamanidi (Tbilisi). Taking into account the experiment results, I can conclude that the most applicable classification for practical purposes is the one presented by R. Gordeziani, I. Darchia and S. Shamanidi, but it needs some corrections.

The present research gives an opportunity to individuals interested in Greek linguistics to build an impression on some issues of Greek grammatical thought. The conclusions made in research can be helpful for study of Greek language, especially the declension system. The research can be used as a textbook by various educational institutions for teaching the history of Greek grammar and several issues related to the declension system in Greek. The conclusions provided in the book can be included in the educational course of the Greek linguistics.

The book includes an introduction, six chapters and a conclusion. Some of the chapters are divided into two sub-chapters. The chapters and sub-chapters are supplemented with respective conclusions. The book is attached with the list of the referred literature, name index and tables that expose grammatical terms used by the Ancient authors and declension system classifications in different periods of Greek language development.

## **INTRODUCTION THE BASIS OF GREEK GRAMMAR**

### **THE PHILOSOPHICAL PERIOD OF THE ANCIENT GREEK LINGUISTIC THOUGHT**

Each science has its own history. The same can be stated about linguistics as well. Philology of Ancient India and Ancient Greece has influenced its development greatly. Greek Grammar has been formed at the end of the second and the beginning of the first centuries, but the interest for several linguistic issues has been observed already in the fifth century B.C. The first linguistic observations were made on

the nature of words and etymology. There are two periods of the Ancient Greek grammatical thought to be distinguished: philosophical and grammatical. In the philosophical thought the main issue is the problem of etymology, while the main interest of the philosophers is the following: what are the relations between the subject, the idea about that subject and its name. The philosophical period of the Ancient Greek grammatical thought is divided into four stages, namely: a) the first linguistic observations, which are given in the ancient literary works; b) language philosophy of Plato; c) Aristotle's opinions about language and d) linguistic opinions of Stoic scholars. All of these stages are very important for the formation of the Ancient Greek grammatical thought. Thus Plato's opinions about words' etymology, phonetics and definition of nouns and verbs, Aristotle's observations on eight parts of speech and linguistic opinions of Stoic scholars based on the morphological problems, the new grammatical terms that they have applied were the basis for the formation of linguistics, as a science. At the end of the chapter there are attached tables with the grammatical terms used by Plato, Aristotle and Stoic scholars.

### THE GRAMMATICAL PERIOD OF THE ANCIENT GREEK LINGUISTIC THOUGHT

Finally linguistics was formed as a science in the epoch of Hellenistic Age. The grammatical school of this period is called Alexandrian school. The greatest representatives of this school are: Zenodotus, Callimachus, Aristophanes of Byzantium, Aristarchus and Dionysius Thrax. Unfortunately, the works of the Alexandrian scholars have not reached our days; therefore we can talk about their grammatical ideas by the saved fragments, titles of their works, extracts and quotations made by later scholars. The basic information that is given is taken from the Homer scholia. From these sources is evident that their works cover many areas of grammar, including e. g. various parts of speech, declensions, conjugations, defective verbs and some anomalous words. Thus, we are told about Aristophanes of Byzantium that he discovered recurrent patterns in the Greek declension and stated general rules of regular inflexion. His work "Λέξεις" is considered as the first normative grammar. Only one work of this



period is transmitted in its original form, the Grammar of Dionysius Thrax "Grammatical Art" ("Τέχνη γραμματική"), which is the top of the development of the grammatical art. There are included tables regarding the grammatical terms given by Dionysius Thrax in phonetics and morphology as well.

## CHAPTER I

### THE CASE SYSTEM IN THE WORKS OF ANTIQUE GRAMMARIANS

The chapter considers some information about the case system in the works of Antique grammarians. It is worth saying that in the Antique period there is not yet information about the declension system and its types, but there is a tendency of systematization of noun flexion by the cases. In this case, three lines of Anacreon are quoted as the first example of πολύπτωτον (the use of the same word in various cases). So the name of Cleobulos is given in three cases. This fact has been taken as clear evidence of a three-case system, recognized by Ionian grammarians of the sixth century and applied by the poet.

In the works of antique grammarians the main issue is the case itself and not the declension system, namely, they pay attention to such problems, as:

- 1) the essence of case – what shall be regarded as case;
- 2) which parts of speech have cases;
- 3) the quantity of cases;
- 4) the names of cases.

The chapter includes the definition of grammatical terms πῶσις and κλίσις. The term πῶσις first time appears in the works of Aristotle. A. Gudeman marks out that no one has used this term before. Of course herein we have different sense of the case. According to Aristotle πῶσις means all forms of the word derived from the normal (initial) form. It refers almost to all parts of speech. The Stoic scholars have given that meaning to the term which it has today, according to their opinion πῶσις is grammatical category that is used

only with declinable parts of speech. As to the term κλίσις, it does not mean only the declension, but also the inflexion, the flexible changing of the words (both: declension and conjugation). In such way it is given by Dionysius Thrax in his work "Grammatical Art" ("Τέχνη γραμματική"). I would like to mention that this term has preserved its meaning till today. In Modern Greek is used both for the declension and conjugation of words.

## CHAPTER II

### FOR THE HISTORY OF CASES

The chapter presents the case system on different stages of Greek language history. There are considered only the issues which are important for a case and a declension system development, namely I talk in details about problems of Dative and Vocative in Greek language. At the beginning of the third chapter there are presented the main functions of eight cases in Proto-Indo-European language. It is mentioned that there remained only five cases in Ancient Greek: Nominative, Genitive, Dative, Accusative, Vocative and four cases in Modern Greek: Nominative, Genitive, Accusative and Vocative. According to the opinion of some scholars (e. g. I. Stamatakos considers that Vocative is not a case, but a form of appeal), there are only three cases in Modern Greek. A tendency of decreasing the number of cases is a characteristic one for Indo-European languages and for Greek as well. I can point out two reasons: 1) language simplifies; 2) analytical forms increase in language. Thus, before Dative disappears there is evident tendency of using prepositions with this case. It means that some functions of Dative have been lost. After disappearing of Dative there remained four-case system, which also illustrates the tendency of decreasing.

The ancient condition of Proto-Indo-European language	2 cases	Nom.	Acc.						
Transitional period, forming of the adverbial case	3 cases	Nom.	Acc.	Dat.- Loc.					
The whole paradigm of Indo-European language (possible system of Proto-Greek)	8 cases	Nom.	Acc.	Dat.	Gen.	Inst.	Loc.	Abl.	Voc.
Ancient Greek	5 cases	Nom.	Acc.	Dat.	Gen.				Voc.
Modern Greek	4 cases	Nom.	Acc.		Gen.				Voc.
Modern Greek (system presented by some scholars)	3 cases	Nom.	Acc.		Gen.				
Possible version	2 cases	Nom.	Acc.						

### CHAPTER III

#### FOR THE CLASSIFICATION OF THE DECLENSION SYSTEM UNTIL COMPARATIVE-HISTORICAL LINGUISTICS

##### THE MIDDLE AGES

The peculiarity of the grammatical art of the Middle Ages was caused by the influence of Greek and Latin tradition on the one hand, and appearance of new ways of grammatical thought on the other. The main authors of grammar books in this period are: I. Philoponos,

G. Khiroboskos, Theognostos, M. Singelos, I. Glikis and M. Moschopoulos.

The classification of the declension system begins from the Later Antiquity. The first classification is given by the grammarian of the II century A.D. Herodian, son of Apollonius Dyscolus in his work "About Declension" ("Περὶ κλίσεως"). Herodian puts the endings of Nominative case in alphabetical order -ας, -ης, -ος, -ους, -ως and subsequently gives different types for masculine, feminine and neuter gender. The authors of grammatical works of the Middle Ages repeat the classification given by Herodian.

### THE PERIOD AFTER THE FALL OF CONSTANTINOPOLE

The subchapter presents the following grammar books written in the period of the Renaissance: grammars of Ancient Greek: M. Chrysoloras "Greek Language Questions" ("Ἐρωτήματα τῆς Ἑλληνικῆς"), K. Laskaris "Conversation about Eight Parts of Speech" ("Ἐπιτομὴ τῶν ὀκτῶ τοῦ λόγου μερῶν") or as it's called "Questions" ("Ἐρωτήματα"), J. Weller "Grammar of Ancient Greek" ("Grammatica Graeca") and the first grammar of Modern Greek: N. Sofianos "Greek's Common Grammar" ("Γραμματικὴ τῆς κοινῆς τῶν Ἑλλήνων γλώσσης").

